

ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

ეკონომიკა და ფინანსები

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

Economics and Finance

Quarterly International Referred and Reviewed
Scientific Journal

3

2020

1

ეკონომიკა და ფინანსები
Economics and Finance

N 3, 2020 წელი

სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: გიორგი ცაავა
მთავარი რედაქტორი: დავით ჩახვაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლ. ბახტაძე (თსუ), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ა. ქუთათელაძე (სტუ), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ).

N 3, 2020

Head of the editorial board: Giorgi Tsaava
Editor-in-Chief: David Chakhvashvili

Editorial board:

L. Bakhtadze (TSU), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), A. Kutateladze (GTU), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU),

ყოველკვარტალური საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით 2018 წლიდან

Quarterly international referred and reviewed scientific journal „Economics and Finance“ is issued according to the decision of Business Technologies Faculty of Georgian Technical University and Institute of Economic Research and Development from 1918.

საკონტაქო ინფორმაცია:

ტელ.: +995 599 78 90 03
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

Contact:

Tel.: +995 599 78 90 03
E-mail: eco.fin.geo@gmail.com
www.bpengi.com
www.facebook.com/economics.finance.ge

გამომცემლობა „დან“

ს ა რ ჩ ე ვ ი:

ეკონომიკა და ბიზნესი

თამარ დუდაური - პანდემიის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორზე	5
ნიკოლოზ დარჩიაშვილი - რეგიონალური საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო ეკონომიკური მექანიზმის განვითარების პერსპექტივები	15
ლია პიტიურიშვილი, ნაილი გაგნიძე - კრიპტოვალუტის მომავალი საქართველოს ეკონომიკაში	24
დალი სეხნიაშვილი - ქალთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება არაფორმალურ ეკონომიკაში	32
თათია ბილისიევილი - ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დახმარებით გამყარებული ეკონომიკა (ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი)	42

ფინანსები

მედეა ჭელიძე, გოჩა აბუთიძე - შინამეურნეობათა ფინანსური რესურსები საქართველოში	47
---	----

საბანკო საქმე

გიორგი ცაავა, რატი ზურდიაშვილი - საკრედიტო რისკის მართვის პროცესის ოპტიმიზაციის მიმართულებები	53
გიორგი ცაავა, ვალერი მოსიაშვილი, გრიგოლ ნემსაძე - საკრედიტო რისკების შეფასების მსოფლიოში ცნობილი მეთოდები და მათი მინიმიზაციის ხერხები	63
ანი ბიბილური - რისკის ცნება და მისი ტრანსფორმაცია საბანკო დაკრედიტებაში..	81
ვალერი მოსიაშვილი, ეთერ მამაცაშვილი - ბანკზე მოქმედი დარგობრივი რისკების საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები	91
ზაიკო სურამელი - კომერციული ბანკის საპროცენტო პოლიტიკის ანალიზი	98
ნანა გულიკაშვილი - ელექტრონული ფულიდან კრიპტოგრაფიულ ვალუტამდე ..	108
ალეკო ქუთათელაძე, რუსუდან ნიკურაძე - ფინანსური ინოვაციების ეფექტიანობა ბანკებში და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში	116
რუსუდან ნიკურაძე - ბანკებში და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ფინანსური ინოვაციების მართვის სტრატეგიები	128

მენეჯმენტი

ელიზა ლაშქარაშვილი - მოტივაციის როლი ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვაში	137
დავით ჩახვაშვილი - მენეჯმენტის მოდელების ანალიზი	146

ნობელის პრემიის ლაურეატები

საიმონ კუზნეც	154
ჯონ ჰიკსი	157

Contents:

Economics and Business

Tamar Dudauri - The impact of the pandemic on the real sector of the economy	5
Nikoloz Darchiashvili - Prospects for the development of a financial-economic mechanism for regulating regional investment processes	15
Lia pituriashvili, Naili Gagnidze - Tendencies of Crypto Currency Perspectives in Georgia`s Economy	24
Dali Sekhniashvili - Expanding Women`s Rights and Opportunities in the Informal Economy	32
Tatia Biliseishvili - Strengthened economy with the help of inclusive business incubators (Czech Republic, Poland, Slovakia)	42

Finance

Челидзе Медея Элишуквна, Абутидзе Гоча Гурамович - Финансовые ресурсы домохозяйств в Грузии	47
--	----

Banking

George Tsaava, Rati Burdiashvili - Directions of credit risk management process optimization	53
George Tsaava, Valeri Mosiashvili, Grigol Nemsadze - Credit risk assessment world renowned Methods and ways to minimize them	63
Ani Bibiluri – The concept of risk and its transformation into bank lending	81
Valeri Mosiashvili, Eter Mamatsashvili - Financial-economic indicators of sectoral risks operating on the bank	91
Zaiko Surameli - Commercial Bank Interest Policy Analysis	98
Nana Gulikashvili - From e-money to cryptocurrency	108
Aleko Kutateladze, Rusudan Nikuradze -The effectiveness of financial innovation in banks and non-banks credit institutions	116
Rusudan Nikuradze - Financial innovation management strategies in banks and non-bank credit institutions	128

Managment

Lashkarashvili Eliza - The role of motivation in human resources In effective management	135
Davit Chakhvashvili - Analysis of management models	146

The laureates of the Nobel Prize

Simon S. Kuznets	154
John Richard Hicks	157

პანდემიის გავლენა ეკონომიკის რეალურ სექტორზე
The impact of the pandemic on the real sector of the economy

თამარ დუდაური - ეკონომიკის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
tamro_dudka@yahoo.com

Tamar Dudauri - Academic Doctor of Economy, Associate Professor of Caucasus
International University. tamro_dudka@yahoo.com

Abstract

The world today is facing an unprecedented test. Millions of people are seriously infected with the new coronavirus, and the infection is spreading around the world at an exponential rate. In a word, confusion prevails, and the world economies are in a sharp decline. The International Monetary Fund has revised its growth prospects for 2020 and 2021 and said the world has begun a recession that will be deeper than the recession caused by the global financial crisis in 2009.

Key Words: Economic downturn, coronavirus, recession, crisis, economic growth, forecast.

აბსტრაქტი

მსოფლიო დღეს დგას უპრეცედენტო გამოცდის წინაშე. მილიონობით ადამიანი სერიოზულად არის დაავადებული ახალი კორონავირუსით და ინფექცია მსოფლიოში ვრცელდება ექსპონენციალური სიჩქარით. ერთი სიტყვით გაბატონებულია დაბნეულობა, ხოლო მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკაში აღინიშნება მკვეთრი ვარდნა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადახედა 2020 და 2021 წლების ზრდის პერსპექტივებს და განაცხადა, რომ მსოფლიოში დაიწყო რეცესია, რომელიც იქნება უფრო ღრმა ვიდრე 2009 წელს მსოფლიო ფინანსური კრიზისით გამოწვეული რეცესია.¹

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ვარდნა, კორონავირუსი, რეცესია, კრიზისი, ეკონომიკის ზრდა, პროგნოზი.

რვა თვის განმავლობაში, რომელიც გავიდა „მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები“, ბიულეტენის გამოქვეყნებიდან მიმდინარე

¹ Gita Gopinath. The Great Lockdown: Worst Economic Downturn Since the Great Depression. International Monetary Fund. April 14, 2020. <https://blogs.imf.org/2020/04/14/the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression/>

წლის იანვარში, მსოფლიო კარდინალურად შეიცვალა. კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია დიდი რაოდენობის მსხვერპლი. იმის გამო, რომ ქვეყნები იძულებულნი იყვნენ შემოედოთ კარანტინი და სპეციალური სოციალური დისტანცირების ღონისძიებები, მსოფლიო აღმოჩნდა დიდი თვითიზოლაციის პირობებში. მის მიერ გამოწვეული ეკონომიკური ვარდნის მასშტაბები და სისწრაფე უპრეცედენტოა ჩვენი დროისათვის.

ეს არის კრიზისი, რომლის დროსაც მისი გავლენა ადამიანთა ცხოვრების ღონისა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე განუსაზღვრელია. ბევრია დამოკიდებული ვირუსის ეპიდემიოლოგიაზე, შეკავების ღონისძიებების ეფექტიანობაზე და წამლების შემუშავებაზე, რომელთა პროგნოზირება შეუძლებელია. ამას გარდა ბევრი ქვეყანა აღმოჩნდა მრავალი კრიზისის წინაშე, ისეთების როგორებიცაა: კრიზისი ჯანდაცვის სფეროში, ფინანსური კრიზისი და საბირჟო საქონელზე ფასების ვარდნა, ეს კრიზისები ურთიერთქმედებენ. სახელმწიფო ორგანოები უწყვეტ უპრეცედენტო მხარდაჭერას მოსახლეობას, კომპანიებსა და ფინანსურ ბაზრებს. მართალია ეს ღონისძიებები მნიშვნელოვანია ეკონომიკის აღდგენისათვის, მაგრამ რჩება გარკვეული განუსაზღვრელობა იმის მიმართ, თუ როგორი იქნება ეკონომიკური ლანდშაფტი პანდემიის დასრულების შემდეგ.

კითხვა თუ პანდემია რა პრობლემებს შექმნის მსოფლიო ეკონომიკისათვის? წარმოადგენს მთავარს ყველა ქვეყნის მთავრობებისათვის. წარმოშობილმა ეკონომიკურმა პრობლემებმა მეორე პლანზე გადაწია ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, მაგალითად როგორებიცაა აშშ-ის ულტრა-ლიბერალური პროგრამა და პრეზიდენტის არჩევნები.

თანამედროვე ეტაპზე, კორონავირუსის პანდემიის გამო, მსოფლიო ეკონომიკის დანაკარგები სხვადასხვა ექსპერტების მონაცემებით ძირითადად მერყეობს 4-5 ტრილიონ დოლარის ფარგლებში. როგორი იქნება ეს დანაკარგები რეალობაში გვიჩვენებს მომავალი, მაგრამ უკვე ნათელია, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში მსოფლიო შეეჯახება კორონავირუსის პანდემიის პირდაპირ თუ ირიბ შედეგებს, რომლებიც რეალურად გავლენას მოახდენენ ქვეყნებზე, ადამიანთა საზოგადოების ყველა სფეროზე, ბიზნესის სხვადასხვა სეგმენტებზე, რეგიონალურ ბაზრებსა და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე.

პანდემიის მასშტაბები გაიზარდა ბევრ ქვეყანაში, ასევე მოხდა მათი სტაბილიზაცია ზოგიერთ ქვეყანაში. 2020 წლის შუა პერიოდში პანდემია მნიშვნელოვნად გაიზარდა განვითარებულ ქვეყნებსა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რამაც წარმოშვა მკაცრი თვითიზოლაციის აუცილებლობა და გამოიწვია ამ ქვეყნები ეკონომიკური აქტივობის უფრო მეტად შემცირება, ვიდრე ამას პროგნოზირებდნენ. 2020 წლის ბოლოსათვის პროგნოზირებენ მსოფლიო ეკონომიკის ზრდას 4,9%-ის დონეზე. COVID-19 –ის პანდემიამ მოახდინა უფრო ნეგატიური გავლენა ეკონომიკურ აქტიურობაზე 2020 წლის პირველ ნახევარში, ვიდრე ეს იყო მოსალოდნელი და პროგნოზების მიხედვით აღგენა უფრო ნელი ტემპით მოხდება ვიდრე ამას ვარაუდობდნენ. 2021 წელს ნავარაუდევია მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 5,4%-ის ფარგლებში. შედეგად 2021 წელს მშპ იქნება დაახლოებით 6,5%-ული მუხლით უფრო დაბალი ვიდრე მას პროგნოზირებდნენ 2020 წლის იანვარში პანდემიის დაწყებამდე. განსაკუთრებით ძლიერ უარყოფით გავლენას განიცდიან დაბალ შემოსავლიანი ოჯახური მეურნეობები, რაც დარტყმის ქვეშ აყენებს სიღარიბის დაძლევაში მიღწეულ გარკვეულ პროგრესს.²

მოყვანილი პროგნოზი გამოირჩევა უფრო მაღალი, ვიდრე ჩვეულებრივ, განუსაზღვრელობის ხარისხით. საბაზისო პროგნოზი ეყრდნობა პანდემიის შედეგების საკვანძო ელემენტებს. ეს ელემენტები თავის მხრივ დამოკიდებულია რიგ განუსაზღვრელ ფაქტორებზე, მათ შორის ისეთებზე, როგორებიცაა:

- პანდემიის ხანგრძლივობა და თვითიზოლაციის რეჟიმების აუცილებლობა.
- ნებაყოფლობითი სოციალური დისტანცირება, რომელიც გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს.
- სამსახურიდან დათხოვნილების მიერ ახალი სამუშაოს მოძიების შესაძლებლობა.
- საწარმოების დახურვით გამოწვეული ხანგრძლივადიანი ზარალი და შრომის ბაზრიდან უმუშევართა გასვლა, რამაც შესაძლოა გაართულოს საწარმოს აქტიურობის აღდგენა პანდემიის ჩაქრობის შემდეგ.

² UN News. The economic consequences of the pandemic - in the forecasts of the World Bank. 9 Jun 2020. <https://news.un.org/ru/story/2020/06/1379762>

- ცვლილებების გავლენა, რომლსაც ახორციელებენ სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების განმტკიცებისათვის და იწვევენ განსაკუთრებულ დანახარჯებს საწარმოსათვის, ისეთებს როგორებიცაა მუშაობის მცურავი გრაფიკი, ჰიგიენის ნორმების გამკაცრება და სმენებს შორის დეზინფექციის ჩატარება, მუშაობის ახალი მეთოდების დანერგვა კონვეიერზე მომუშავეთათვის დისტანციის დაცვის უზრუნველსაყოფად.

- მიწოდების გლობალური ჯაჭვის მოდიფიკაცია, რომელიც აისახება მწარმოებლობაზე.


- შიდა მოთხოვნის შემცირების და ფინანსების დეფიციტის შედეგად გამოწვეული ტრანსსასაზღვრო მეორადი ეფექტების ხარისხი.

ქვეყნებში, რომლებსაც უჭირთ ინფექციის შეკავების ამოცანის გადაწყვეტა, უფრო ხანგრძლივი იქნება თვითიზოლაციის პერიოდი, რაც გამოიწვევს ეკონომიკური აქტივობის დამატებით შესუსტებას. განუსაზღვრელობის მაღალი ხარისხის გამო, ნათელია, რომ შედეგები შესაძლოა იყოს განსხვავებული წინასწარ გაკეთებული პროგნოზებისაგან, და არა მხოლოდ როგორც პანდემიის განვითარების შედეგი. ბოლო პერიოდში საფინანსო ბაზრებზე სიტუაცია გაუმჯობესდა, რაც როგორც ჩანს დაკავშირებულია ცვლილებებთან საბაზო ეკონომიკურ პერსპექტივებში, როგორც ეს აღნიშნულია 2020 წლის ივლისის გლობალური ფინანსური სტაბილურობის საკითხების შესახებ მოხსენების ბიულეტენში და იგი ქმნის ფინანსური პირობების მეტად გამკაცრების შესაძლებლობას, რაც იგულისხმებოდა საბაზო სცენარში.³

განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფში მთლიანი წარმოების მოცულობის ცვლილებები პროგნოზის მიხედვით 2020 წელს იქნება -8.0%. ზარალი რომელსაც განიცდის ეკონომიკური აქტიურობა, იქნება უფრო ღრმა ვიდრე იყო მოსალოდნელი, ვინაიდან ნებაყოფლობითი დისტანცირება შეინიშნებოდა ჯერ კიდევ თვითიზოლაციის შემოღებამდე. სინქრონიზებული ჩავარდნები და ეკონომიკური ვარდნას პროგნოზირებენ აშშ-ში (-8,0%), იაპონიაში (-5,8%), დიდ ბრიტანეთში (-12,2%), გერმანიაში (-7,8%), ესპანეთსა და იტალიაში (-12,8%). 2021 წელს ზრდის ტემპი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, საერთაშორისო სავალუტო

³ International Monetary Fund. World Economic Outlook Update, June 2020. A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery.
<https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/06/24/WEOUpdateJune2020>

ფონდის მიერ გაკეთებული პროგნოზის მიხედვით გაიზრდება 4,8%-მდე, შედეგად ამ ქვეყნების მშპ 2021 წელს იქნება 4%-ით უფრო დაბალი ვიდრე 2019 წელს. (იხ. დიაგრამა 1)




წყარო: დიაგრამა შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბიულეტენის: მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები. 2020 წლის ივნისი.⁴

დიაგრამა 1. ეკონომიკური ზრდის პროგნოზები განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში. (%-ში)

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური აქტიურობის შეფერხება შიდა შეზღუდვების გამო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით, ახლოს იქნება უარყოფით

⁴ International Monetary Fund. World Economic Outlook Update, June 2020. A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/06/24/WEOUpdateJune2020>

სცენართან, რომელიც განიხილება ამავე კვლევაში. ამ ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობის შემცირება ასევე ასახავს შიდა ბაზრის მოთხოვნის შემცირების ძლიერ მეორად ეფექტს. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემცირების მიმართულებით გადახედვა 2020-2021 წლებში (2.8%-ული პუნქტით) უფრო მეტია ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში (1.8%-ული პუნქტი). მთლიანობაში აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში 2020 წელს შემცირება პროგნოზირებულია 3.0%-ით. (იხ. დიაგრამა 2)



წყარო: დიაგრამა შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბიულეტენის: მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები. 2020 წლის ივნისი.⁵

დიაგრამა 2. ეკონომიკური ზრდის პროგნოზები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. (%-ში).

როგორც დიაგრამიდან ჩანს 2020 წელს პირველად ყველა რეგიონს, პროგნოზის მიხედვით ექნება ნეგატიური ზრდა. ამასთან, ცალკეულ ქვეყნებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც ასახავს მათში

⁵ International Monetary Fund. World Economic Outlook Update, June 2020. A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/06/24/WEOUpdateJune2020>

პანდემიის ევოლუციასა და შეკავების სტრატეგიის ქმედითუნარიანობას, განსხვავებას ეკონომიკურ სტრუქტურებში (მაგალითად ეკონომიკის დამოკიდებულება ისეთ ძლიერ დაზიანებულ დარგებზე, როგორებიცაა ტურიზმი და ნავთობი), გარე ფინანსურ ნაკადებზე დამოკიდებულება, მათ შორის ფულად გადმორიცხვებზე. ჩინეთში სადაც მიმდინარეობს აღდგენის პროცესი, მას შემდეგ რაც 2020 წლის პირველ კვარტალში მოხდა მნიშვნელოვანი ვარდნა ეკონომიკის ზრდას პროგნოზირებენ 1.0%-ის დონეზე, ძირითადად სტიმულირების ღონისძიებების გატარების ხარჯზე. ინდოეთის ეკონომიკა პროგნოზის მიხედვით შემცირდება 4.5%-ით, თვითიზოლაციის ხანგრძლივი პერიოდისა და უფრო ნელი აღდგენის გამო. ლათინურ ამერიკაში სადაც ქვეყნების უმეტესობა განიცდის სიძნელეებს ინფექციის გავრცელების შეკავებაში, ორი უმსხვილესი ქვეყნის ბრაზილიისა და მექსიკის ეკონომიკა აღნიშნული პროგნოზის მიხედვით შემცირდება შესაბამისად 9.1 და 10.5%-ით. 2021 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, პროგნოზის მიხედვით გაიზრდება 5.9%-ით, ხოლო ჩინეთში მოსალოდნელია ეკონომიკის 8.0% -ით ზრდა. ამრიგად სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით 2021 წელს ამ ჯგუფის ქვეყნებში შშპ იქნება ოდნავ ნაკლები 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე.


როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე რთული მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოშიც. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით 2020 წლის იანვარ-ივლისში ეკონომიკა შემცირდა 5.8%, მაშინ, როდესაც 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა გაიზარდა 5.1%-ით, ხოლო 2021 წელს ეკონომიკის ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 4.0%-ს. უფრო ოპტიმისტურია აზიის განვითარების ბანკის პროგნოზი, მისი მიხედვით 2021 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა იქნება 4.5%-ის ტოლი (იხ დიაგრამა 3).⁶

საქართველოში ეკონომიკური ზრდის შემცირება გამოწვეულია COVID-19 პანდემიის გამო შეზღუდვების დაწესებით, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ტურიზმის სექტორის ფაქტობრივი გაჩერება და მოხმარების შემცირება.

⁶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. თბილისი 2020. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/2020/main_economic_indicators_geo_08_2020.pdf

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ტურიზმიდან მიღებული შემოსულობები, ხელისუფლება არ ჩქარობს საზღვრების გახსნას, რადგან ამ შემთხვევაში დიდია ინფექციის გავრცელების ტემპის გაზრდის რისკი.

საქართველომ ბოლო პერიოდის განმავლობაში აიღო დაახლოებით 6 მილიარდი ლარის საგარეო და 1.8 მილიარდი ლარის საშინაო ვალი. ამჟამად ქვეყნის საგარეო ვალი შეადგენს 27 მილიარდ ლარს. მართალია მოყვანილი ციფრები საკმაოდ შემამფოთებელია, მაგრამ ჩვენს მეზობლებთან შედარებით არც ისე კატასტროფულად გვაქვს საქმე.⁷



წყარო: დიაგრამა შედგენილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3. ეკონომიკური ზრდა საქართველოში (%-ში)

საქართველოს ეკონომიკაში მოსალოდნელია შემდგომი ვარდნა. ამიტომ საშუალო და ხანგრძლივადიან პერსპექტივაში ხელისუფლებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს რეალური სექტორის ზრდაზე, ხოლო პერსპექტივაში პანდემიის დასრულების შემდეგ კი უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრარულ სექტორს. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია,

⁷Transparency International Georgia. Short analysis of 6-month performance report of Georgia's 2020 state budget. 22 September, 2020. <https://transparency.ge/ge/blog/2020-clis-saxelmcpo-biujetis-6-tvis-shesrulebis-mokle-analizi>

მუშაობა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ ქვეყანა სურსათის იმპორტიორი ქვეყნიდან გადაიქცეს მწარმოებელ და ექსპორტიორ ქვეყნად.

საქართველოში ტურიზმის წილი ქვეყნის ეკონომიკაში უფრო დიდია, ვიდრე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. ამჟამად, უცხოელი ტურისტებისათვის ქვეყნის გახსნა უნდა დავიწყებულ იქნას და ყურადღება გამახვილდეს შიდა ტურიზმზე, რაც მართალია სრულად არ დააკომპენსირებს ტურიზმის დანაკარგებს, მაგრამ სწორი ორგანიზაციის პირობებში შესძლებს აღნიშნული დარგის გადარჩენას გაკოტრებისაგან.

2019 წელს ტურიზმის წილმა ქართულ ეკონომიკაში შეადგინა 11%. უცხოელმა ტურისტებმა გასული წლის განმავლობაში დახარჯეს 3.4 მილიარდი ლარი, ხოლო 2020 წელს ცნობილი მოვლენების გამო ბიუჯეტმა ტურიზმიდან შემოსულობების მიუღებლობის გამო დაკარგა ერთი მილიარდი დოლარი.⁸

საქართველოს კვლევით ცენტრმა PMCG-მა გამოკითხა 50 მეცნიერი და მკვლევარი რათა შეეფასებინა საქართველოში ეკონომიური სიტუაცია. მათმა შეფასეს ის შესაძლებლობები, რომლებიც არსებობს ქვეყანაში ეკონომიკის აღდგენისათვის, პანდემიის ჩაქრობის შემდეგ. მათმა დიდმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკის აღსადგენად და ძველ მაჩვენებლებზე დასაბრუნებლად საქართველოს დასჭირდება დაახლოებით წელიწად ნახევარი.

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება გამოყოფს სუბსიდიებს და დახმარებებს ქართული ბიზნესის დასახმარებლად, რათა ლიკვიდირებულ იქნას პანდემიის შედეგები. შემუშავებულია 2020 წლის საგანგებო ბიუჯეტი, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ნაციონალური პროექტები. ნათელია, რომ რიგი პროექტებისა იქნება გადავადებული. ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას პროექტებზე მაქსიმალური ეფექტიანობით და იმ დარგების მხარდაჭერაზე, რომლებიც იძლევიან მოგებას და უზრუნველყოფენ მოსახლეობის დასაქმებას, ასეთად ჩვენ მოვიაზრებთ აგრარულ და გადამამუშავებელ სექტორებს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფო ინვესტიციების სწორად მიმართვას, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ დასაქმების დონის შენარჩუნებას, რამედ იმპულსს მისცემს ეკონომიკურ ზრდასაც.

⁸ საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. აგვისტო 2020. [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q3_geo .pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q3_geo.pdf)

ამჟამად, მსოფლიო გვაგონებს ტრასაზე გაჩერებულ ავტომობილს ჩამქრალი ძრავით. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჩქარა დაიქოქება ძრავი. რაც უფრო მალე შესძლებს ჩვენი ქვეყანა ძრავის ამოშავებასა და დაძვრას ადგილიდან, მით მეტად იზრდება წარმატების შანსი. ამისათვის აუცილებელია არსებული რესურსების სწორი კონცენტრაცია და ყურადღების გამახვილება სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებებზე. კრიზისი იძლევა წარმატებისა და ეკონომიკის განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას და ეს შანსი ქვეყანამ უნდა გამოიყენოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gita Gopinath. The Great Lockdown: Worst Economic Downturn Since the Great Depression. International Monetary Fund. April 14, 2020. <https://blogs.imf.org/2020/04/14/the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression/>
 2. UN News. The economic consequences of the pandemic - in the forecasts of the World Bank. 9 Jun 2020. <https://news.un.org/ru/story/2020/06/1379762>
 3. International Monetary Fund. World Economic Outlook Update, June 2020. A Crisis Like No Other, An Uncertain Recovery. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/06/24/WEOUpdateJune2020>
 4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. თბილისი 2020. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/2020/main_economic_indicators_geo_08_2020.pdf
 5. Transparency International Georgia. Short analysis of 6-month performance report of Georgia's 2020 state budget. 22 September, 2020. <https://transparency.ge/ge/blog/2020-clis-saxelmcpo-biujetis-6-tvis-shesrulebis-mokle-analizi>
- საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული პოლიტიკის ანგარიში. აგვისტო 2020. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/moneratyfiscal/2020/2020q3_geo.pdf

რეგიონალური საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო
ეკონომიკური მექანიზმის განვითარების პერსპექტივები
Prospects for the development of a financial-economic mechanism for
regulating regional investment processes

ნიკოლოზ დარჩიაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

nikoloz.darchiashvili.1@iliauni.edu.ge

Nikoloz Darchiashvili - PhD in Business Administration

nikoloz.darchiashvili.1@iliauni.edu.ge

Abstract

Transformations related to the transition to a market economy are accompanied by difficulties in adapting to new forms of economic activity and in the regions of Georgia.

In regulating regional investment processes, great importance is attached to the analysis of financial economic mechanisms and financial instruments of investment policy used by the state to ensure the attraction of local and foreign investment in the country's economy. It should also be noted that each of these tools is effective only in a defined specific situation. In this case, the task arises to determine which tools and under what specific conditions should be used and which will be ineffective.

Keywords: Regional Investment, Investment processes, financial economic, foreign investments

რეგიონალურ ეკონომიკაში საინვესტიციო პროცესების წარმატებით განვითარებაში მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ამ პროცესების ჰარმონიზაცია ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში, ჯერ კიდევ სუსტადაა უზრუნველყოფილი. საინვესტიციო პროცესებს ეროვნულ დონეზე გააჩნიათ საკმაოდ დაბალანსებული რეგიონალური საფუძველი.

თანამედროვე ეტაპზე ობიექტურად დასაბუთებულია ქვეყნის ხანგრძლივადიანი ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულებები. შერჩეულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელი. განსაზღვრულია რეგიონების განვითარების ორიენტირები, რომლებიც წარმოადგენენ საინვესტიციო პოლიტიკის საფუძველს, ის კი თავის მხრივ არის რეგიონებში საინვესტიციო პროცესის დაფინანსების მარეგლამენტირებელი პირდაპირი და ირიბი ინსტრუმენტების ნაკრები.

საქართველოს რეგიონებში საინვესტიციო პროცესების თავისებურებები განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურას, სადაც ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო მიმართულების წარმოება. ობიექტურად და ისტორიულად ჩამოყალიბდა რეგიონების ბიუჯეტების დოტაციური ხასიათი, საკუთარი საინვესტიციო სახსრების

დეფიციტი განსაზღვრავს რეგიონების დამოკიდებულებას გარე ფაქტორებზე.⁹

ქვეყანაში ეკონომიკური გარდაქმნები მოითხოვენ რეგიონებში არსებული სამურნეო სუბიექტების საწარმოო და სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთო სახელმწიფოებრივ და რეგიონალურ ინტერესებთან. ამ მიმართებით კი მნიშვნელოვანია რეგიონებში საკუთრების სხვადასხვა ფორმებისათვის საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ქმედითი ფინანსური მექანიზმების შექმნა. ამ პირობებში საქართველოსა და უცხოეთის, როგორც წამყვან კომპანიებში, ისე რეგიონებში ინვესტიციების მართვის სისტემის განვითარების გამოცდილების განზოგადება და ინტერპრეტირება თანამედროვე ეტაპზე საკმაოდ აქტუალურია. ისინი იძლევიან საშუალებას რეგიონებში საინვესტიციო პროცესების სისტემის განვითარება გახდეს გეგმაზომიერი, თანმიმდევრული და ეფექტიანი. ინვესტიციების სფეროში დაგროვილი ქვეყნისა და უცხოეთის გამოცდილების ანალიზი, საშუალებას მოგვცემს შემუშავებულ იქნეს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ერთიანი პრინციპები, მეთოდები და ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც რეგლამენტირებული იქნება ამ სახეობის საქმიანობის მარეგულირებელი ქვეყანაში მოქმედი ნორმებითა და წესებით.¹⁰

საზოგადოდ, რეგიონებში საინვესტიციო პროცესების რეგულირების ყველაზე ქმედით საფინანსო მექანიზმს წარმოადგენს ქვეყნის საგადასახადო სისტემის დახვეწა და ინვესტორების წახალისებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება. რეგიონალურ დონეზე ინვესტორთა მხარდაჭერისათვის საგადასახადო შეღავათების გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარდამავალი რეგიონალური ეკონომიკების პირობებში, როდესაც არსებობს ხანგრძლივადიანი საკრედიტო რესურსების დეფიციტი, შიდა საფინანსო ბაზრების ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისი დონე, რეგიონალურ ბაზრებზე შესვლის მაღალი ადმინისტრაციული ბარიერები და სხვა შემაფერხებელი ფაქტორები.

საგადასახადო შეღავათები წარმოადგენენ ქვეყნის რეგიონებში საინვესტიციო პროცესების საკმაოდ გავრცელებულ და ეფექტიან ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც გამოირჩევა მაღალი ფისკალური ეფექტიანობით.¹¹

⁹ Грибков А.Б. Инвестиционная привлекательность региона: Автореф. дис. канд. экон. наук // РГСУ; Науч. рук. В.А. Шаховой - М.:, 2006. - 24с. http://elibrary.sgu.ru/VKR/2016/38-03-01_017.pdf

¹⁰ The Future Now for Achieving Sustainable Development. Global Sustainable Development Report 2019. https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/24797GSDR_report_2019.pdf

¹¹ Nathan B.B. Effectiveness and Economic Impact of Tax Incentives in the SADC Region. Arlington, Virginia. February 2004. Pp. 34. (169). <https://www.nathaninc.com/wp->

საგადასახადო სისტემა, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რომელთა ეფექტიანობა დადასტურებულია ეკონომიკის წარმატებით განვითარების მრავალწლიანი გამოცდილებით, შეიცავს ერთ მნიშვნელოვან წეს, რომლის უპირობოდ შესრულებაც წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის განვითარების საწინდარს, რომლებიც იყენებენ მას. იგი ჟღერს შემდეგნაირად: საწარმოებიდან და რეგიონებიდან ამოღებული საგადასახადო მოსაკრებლის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შემოსავლების მოცულობას, რომელსაც იღებენ საწარმოები თავისი საქმიანობის პროცესში.

ქვეყნის რეგიონების საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის შესწავლა და ანალიზი გვამღევეს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ რეგიონების საინვესტიციო სფეროს ფინანსური უზრუნველყოფის შევსების გზების შერჩევა და არსი განისაზღვრება, პირველ რიგში, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების არჩეული მოდელის ძირითადი მიმართულებებით.

სახელმწიფოს მიერ ქვეყნის რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის ფინანსური რეგულირებისა და მართვის პროცესი წარმოადგენს მათი წარმატებული განვითარების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას. თანამედროვე ორგანიზაციების უნარი აითვისონ ახალი ინოვაციები დამოკიდებულია, პირველ რიგში, თამაშის ისეთი წესების არსებობაზე, რომლებიც წაახალისებენ ნოვატორულ საქმიანობას.¹²

ქვეყნის რეგიონების ეკონომიკის ინოვაციურ-საინვესტიციო რელსებზე გადასვლისათვის მნიშვნელოვანია შეიქმნას საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი ფინანსური მექანიზმები, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეს არის მართვის სუბიექტის გააზრებული ზემოქმედება მართვის ობიექტზე, რომლის დროსაც იცვლება ამ უკანასკნელის მდგომარეობა და ხდება დასახული მიზნების რეალიზაცია.

ასეთ მექანიზმად, შეგვიძლია განვიხილოთ ადმინისტრაციული, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ფორმები, მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლებიც ობიექტურად განსაზღვრავენ ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ფორმის გამოყენების აუცილებლობას, და რომელიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის, რათა განხორციელდეს ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკის შემდგომი განვითარება. ასეთი ფინანსური მექანიზმი მოიცავს მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც გამომდინარეობენ საინვესტიციო

<content/uploads/2017/10/Effectiveness and Economic Impact of Tax Incentives in the SADC Region.pdf>

¹² Бланк И.А. Основы инвестиционного менеджмента: В 2 т. Т. 2. К. Эль-га: Ника-Центр, 2010. 129 с. <https://www.twirpx.com/file/26652/>

საქმიანობის პროცესის სამი შემადგენლიდან, ესენია: მისი მიზანი, სუბიექტი და ობიექტი.¹³

ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების ობიექტს წარმოადგენს საინვესტიციო რესურსები და დანახარჯები. საინვესტიციო რესურსები მოიცავენ: ფულად სახსრებს, ფინანსურ ინსტრუმენტებს, მატერიალურ ფასეულობებს, ინტელექტუალურ და სხვა უფლებებს, ხოლო საინვესტიციო დანახარჯები კი ძირითადად შედგებიან საბრუნავი კაპიტალისაგან, ფასიანი ქაღალდებისაგან, მიზნობრივი ანაბრებისა და არამატერიალური აქტივებისაგან.

საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების სუბიექტად გვევლინებიან: სახელმწიფო, კორპორატიული და ინდივიდუალური სუბიექტები.¹⁴

ამრიგად, საინვესტიციო საქმიანობა ქვეყნის რეგიონებში წარმოადგენს პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ინვესტირების ობიექტში კაპიტალდაბანდებების რეალიზაციასთან, რომელიც ტრადიციულად ხორციელდება მაკრო და მიკრო დონეებზე. საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფო ინოვაციური სისტემის ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული ერთიანობის უზრუნველყოფა, რომელიც შეძლებდა გარანტირებული ეფექტიანი კავშირების დამყარებას სახელმწიფოს მართვის ორგანოებსა და რეგიონებს შორის. რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის ფინანსური მექანიზმის ქვეშ განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ერთობლიობა.

ეკონომიკის გლობალიზაცია იწვევს ქართულ სოფლის-მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდას, რითაც მოსალოდნელია ექსპორტის გაზრდა, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ რეგიონების ეკონომიკის განვითარებისათვის უნდა აირჩიოს ორი სტრატეგიიდან ერთ-ერთი, ესენია შიდა მოთხოვნილების გაზრდის აქტივიზაცია საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით, მაგრამ საბიუჯეტო სახსრები არ არის უსაზღვრო. ამიტომ უნდა გაიზარდოს რეგიონებში საინვესტიციო კლიმატი, რათა მოზიდულ იქნეს უფრო მეტი ინვესტიცია რეგიონებში, ასევე მოიხსნას ზოგიერთი ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესს.


საქართველოში რეგიონებში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველო მსოფლიოში ბიზნესის წარმოების რეიტინგში მსოფლიოს 190 ქვეყანაში

¹³ Крозье М. Блокированное общество. Нью-Йорк, Лондон, 1998. с. 57;

https://iphras.ru/uplfile/root/biblio/1997/Spiridonova_1.pdf

¹⁴ Горегляд В.П. Инновационный путь развития. Центр социально-экономических проблем федерализма Института экономики РАН. М.: Наука, 2005. 343 с.

იმყოფება 7 ადგილზე, ამ რეიტინგს ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ბანკი. (იხ. დიაგრამა 3.1.).¹⁵



წყარო: დიაგრამა შედგენილია Doing Business-ის 2019 მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.1. Doing Business-ის 2019 წლის რეიტინგის ტოპ-10.

აქედან, გამომდინარე საქართველოს გააჩნია დიდი საინვესტიციო პოტენციალი, აქვე უნდა აღინიშნოს ის თავისებურებაც, რომ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების 80% მოდის თბილისზე. რეგიონებში საინვესტიციო პროცესის განვითარებისათვის აუცილებელია ისეთი საფინანსო ინსტრუმენტების გამოყენება, რომლებიც წახალისებენ, როგორც ადგილობრივ ბიზნესს, ასევე უცხოელ ინვესტორებს განხორციელონ საინვესტიციო საქმიანობა. რეგიონებში ამ მხრივ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის წახალისება, მათზე საგადასახადო შეღავათების გავრცელება, რაც გახდება სტიმული რეგიონებში საინვესტიციო პროცესების განვითარების.

იმისათვის, რომ განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაცია და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება რეგიონებში, აუცილებელია რიგი რადიკალური ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიმართულნი იქნებიან, როგორც მთელს ქვეყანაში ასევე მის რეგიონებში, საბაზრო ურთიერთობის განვითარებისათვის პირობების შექმნაზე და უშუალოდ შეუწყობენ ხელს ინვესტიციების მოზიდვის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას. ამ ღონისძიებებს მიეკუთვნებიან: ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება; რადიკალური ბრძოლა დამნაშავეობასთან ინფლაციის შემცირება; საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმირება; ფიზიკური და იურიდიული პორებით თავისუფალი ფლადი სახსრების მოზილიზაცია საინვესტიციო პროცესებში ჩასართავად;

¹⁵ World Bank. Doing Business -2019. <https://russian.doingbusiness.org/ru/rankings>

ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ხანგრძლივადიან ინვესტიციებს, საგადასახადო შეღავათების დაწესება; ლარის კურსის გასამაგრებლად პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

რეგიონში საინვესტიციო პროცესების რეგულირების ფინანსური მექანიზმების შექმნისა და ფუნქციონირების პრობლემატიკის შესწავლაზე მრავალი მეცნიერი მუშაობს, რომლებიც განიხილავენ საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ფინანსური მექანიზმების ცალკეულ შემდგენელ ნაწილებს და გამიზნულნი არიან ბაზარზე ინოვაციების დანერგვის პროცესის აქტივიზაციაზე. ამის მიუხედავად საინვესტიციო პოლიტიკის ფინანსური მექანიზმის კონცეფცია, რომელიც დააკავშირებდა ინოვაციური აქტიურობის ერთიან პროცეს მის სხვადასხვა დონესთან, კერძოდ რეგიონალურ და ეროვნულ დონეებთან, თანამედროვე ეტაპზე არასაკმარისად ეფექტიანია. სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირების პრაქტიკული ამოცანა, რომელიც მიმართულია საინვესტიციო პროცესის აქტივიზაციაზე, არა მხოლოდ რეგიონალურ, არამედ ყველა დონეზე, დაკავშირებულია ფინანსური მექანიზმის ფუნქციონირების ეფექტიანობასთან, რომელიც მოწოდებულია საინვესტიციო საქმიანობის გაფართოებაზე, არა მხოლოდ როგორც ინოვაციური ბიზნესის, არამედ როგორც ქვეყნისა და მისი რეგიონების ეკონომიკის განვითარების ფაქტორის. სწორედ ინსტრუმენტების ასეთი სისტემა წარმოადგენს განსახილველ ფინანსურ მექანიზმს.¹⁶

ნათქვამიდან გამომდინარე, საინვესტიციო პოლიტიკის ფინანსური მექანიზმი განხილულ უნდა იქნას, როგორც ეკონომიკის სხვადასხვა დონეებზე საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ფორმა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფორმირებით. ამასთან, აღნიშნულ ინსტრუმენტების კომპლექსი არ წარმოადგენს დახურულს და ახალი ინსტრუმენტების გამოჩენა იქნება ბუნებრივი მოვლენა, რომელიც გამოწვეული იქნება, როგორც განვითარების ეტაპის ცვლილებით, ისე მათი ახალ პირობებში გამოყენების შესაძლებლობით. ასეთი ინსტრუმენტები აყალიბებს, მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების ეკონომიკის სამართლებრივ, საინვესტიციო და ორგანიზაციულ ფუნქციონალურ უზრუნველყოფას, საბაზრო კატეგორიების: რესურსების, მოთხოვნის, წინადადების, კონკურენციის და სხვათა შესაბამისად.

¹⁶ Jacobson St., Bergek A. Innovation system analysis and sustainability transition: Contributions and suggestions for research. Environmental Innovation and Societal Transitions. 2011. №1. P. 41–57.
<https://isiarticles.com/bundles/Article/pre/pdf/28089.pdf>

სამართლებრივი უზრუნველყოფა ახდენს, მეცნიერული მიზნის და მისი შედეგების დანერგვის, შესაძლებლობის ფორმირებას, სამეცნიერო იდეისა და ინოვაციური პროდუქტის დაცვას. ინვესტიციური უზრუნველყოფა ქმნის ინოვაციურ საქმიანობაში სახსრების ჩადებისათვის ეფექტიან და უსაფრთხო პირობებს, სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაციის მიზნით. ხოლო ორგანიზაციული უზრუნველყოფა, ინოვაციური პროცესის კონკრეტული ეტაპისათვის აფორმირებს ინსტრუმენტების, ფორმებისა და მეთოდების ერთიან სისტემას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საინვესტიციო პროცესის ფინანსური მექანიზმი ფუნქციონირებს მაკრო, მეზო და მიკროდონეებზე და წყვეტს შემდეგ მნიშვნელოვან ამოცანებს:

- მაკროდონეზე ხდება სახელმწიფო საინვესტიციო სტრატეგიის ფორმირება; იქმნება ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი ეკონომიკისათვის; ხდება სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების რეალიზაცია.
- მეზოდონეზე ხდება იგივე ამოცანების მიზმა განსაზღვრული რეგიონების თავისებურებებზე.
- მიკროდონეზე საწარმოო სტრუქტურების სამეწარმეო ინიციატივას წარმართავს ინვესტიციური პრიორიტეტების ჩარჩოებში.

ჩამოყალიბებული დონეების იერარქია გთავაზობს ინოვაციურ-საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირების განსაზღვრულ თანმიმდევრობას. ამასთან, ფინანსური მექანიზმის ინსტრუმენტების სისტემა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია მოწოდებულია ეკონომიკის საინვესტიციო შემადგენლის გაძლიერებაზე და ეკონომიკური ზრდის ინოვაციურ ტიპზე გადასვლაზე.

როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონალური ინოვაციური პოლიტიკა უნდა იქნას მიმართული ფინანსური მექანიზმის ინსტრუმენტების განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციურ განვითარებაში საწარმოებისა და კერძო კონკრეტული ინიციატივების სახელმწიფო მხარდაჭერას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამეცნიერო კვლევებსა და შემუშავებებს, დაგროვილი სამეცნიერო პოტენციალის გადაქცევას, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვისათვის, მდგრადი ეკონომიკის ზრდასა და ხელსაყრელი პირობების შექმნაში, დაბალანსებული ინოვაციური სტრუქტურის განვითარების საშუალებით.

თანამედროვე ეტაპზე პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს ქვეყნისა და მისი რეგიონების საინვესტიციო-საინოვაციო პირობების შენარჩუნება და შემდგომი გაძლიერება, მისი საწარმოს ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ზემოქმედების ხარისხის ამაღლება. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ქვეყნისა და მისი რეგიონების მდგრადი განვითარება, რაც განსაზღვრავს ყველა დონეზე საინვესტიციო საქმიანობის

რეგულირების ფინანსური მექანიზმების გამოყენების ამოცანის მასშტაბურობას.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარება მოითხოვს დიდ დანახარჯებს, ვინაიდან საწარმოების შექმნა და განვითარება უნდა მოხდეს, საწარმოების საინვესტიციო ინტერესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების მთელი სისტემის ცვლილების ფონზე, ამიტომ ადგილი უნდა ჰქონდეს არა ერთი ცალკეული საწარმოს ინვესტიციური მიმზიდველობის ზრდას, არამედ რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებას.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების ეკონომიკის განვითარება დამოკიდებულია საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების საფინანსო მექანიზმების გამოყენებული ინსტრუმენტების ეფექტიანობის დონეზე, მათ მიეკუთვნებიან: საგადასახადო, საბაჟო, ფულად-საკრედიტო და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც დამახასიათებელია ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისათვის.

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია განვსაზღვროთ პარამეტრები, რომლებიც პასუხობენ რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის პირობებს, საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ფინანსური მექანიზმების ცალკეული ინსტრუმენტების ფორმირებისა და გაუმჯობესების მეთოდურ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს, კერძოდ, სახელმწიფოს საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობას, რომელთა გამოყენებამ პრაქტიკაში ხელი უნდა შეუწყოს შემდეგი პარამეტრების ფორმირებამ და დახვეწამ:

- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული პრიორიტეტული მიმართულებების და ხანგრძლივადიანი სამეცნიერო პროგნოზებისა და პროგრამების რეალიზაცია;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია;
- ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროდუქტების სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების რეალიზაცია;
- რეგიონების ეკონომიკის მოდერნიზაციის სტიმულირებისათვის საბიუჯეტო სუბსიდირება;
- ინოვაციური საქმიანობისათვის საგადასახადო შეღავათები;
- საინვესტიციო საქმიანობაში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა.

შედეგად ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია მივიდეთ დასკვნამდე, რომ საქართველოს რეგიონების ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი გამოირჩევა მასში სამეცნიერო ძიებისა და თეორიული საფუძვლების პრაქტიკული აპრობაციის, ასევე საინვესტიციო სტრუქტურისა და ობიექტის მართვის სისტემის დახვეწის თეორიული საკითხებთან დაკავშირებული მწვავე პრობლემით. ეს განპირობებულია

რეგიონებში ახალი საწარმოების შექმნის აუცილებლობით, იმ ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებიც მოითხოვენ დიდ ინვესტიციებს. განხორციელებული კაპიტალდაბანდებები, არ მოიტანენ სასურველ შედეგს, თუ არ იქნებიან ორიენტირებულნი ინოვაციური სისტემის ფორმირებაზე.

რეგიონებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური განვითარების დონე პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის განვითარების ხანგრძლივადიანი სტრატეგიის განხორციელებას, რომელიც ეფუძნება ძირითადად შიდა წყაროებს. საქართველოს რეგიონების განვითარების ერთადერთი გზა არის ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის რეალიზაცია. სწორედ ინოვაციური გარღვევა საშუალებას მისცემს მათ უზრუნველყონ ეკონომიკური განვითარების მაღალი და მდგრადი ტემპები.

რეგიონებში ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია, სახელმწიფოსაგან მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო მხარდაჭერით, წარმოადგენს რეგიონების ეკონომიკის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას.

ინოვაციური გარდაქმნების სტრატეგიის შექმნის და რეალიზაციის აუცილებლობა დაკავშირებულია საფინანსო მხარდაჭერასა და საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტიან გამოყენებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Грибков А.Б. Инвестиционная привлекательность региона: Автореф. дис. канд. экон. наук // РГСУ; Науч. рук. В.А. Шаховой - М., 2006. - 24с.

http://elibrary.sgu.ru/VKR/2016/38-03-01_017.pdf

2. The Future Now for Achieving Sustainable Development. Global Sustainable Development Report 2019.

https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/24797GSDR_report_2019.pdf

3. Nathan B.B. Effectiveness and Economic Impact of Tax Incentives in the SADC Region. Arlington, Virginia. February 2004. Pp. 34. (169). https://www.nathaninc.com/wp-content/uploads/2017/10/Effectiveness_and_Economic_Impact_of_Tax_Incentives_in_the_SADC_Region.pdf

4. Бланк И.А. Основы инвестиционного менеджмента: В 2 т. Т. 2. К. Эль-га: Ника-Центр, 2010 . 129 с. <https://www.twirpx.com/file/26652/>

5. Крозье М. Блокированное общество. Нью-Йорк, Лондон, 1998. с. 57;
https://iphras.ru/uplfile/root/biblio/1997/Spiridonova_1.pdf

6. Горегляд В.П. Инновационный путь развития. Центр социально-экономических проблем федерализма Института экономики РАН. М.: Наука, 2005. 343 с.

7. World Bank. Doing Business -2019.
<https://russian.doingbusiness.org/ru/rankings>

8. Jacobson St., Bergek A. Innovation system analysis and sustainability transition: Contributions and suggestions for research. Environmental Innovation and Societal Transitions. 2011. №1. P. 41–57.

<https://isiarticles.com/bundles/Article/pre/pdf/28089.pdf>

კრიპტოვალუტის მომავალი საქართველოს ეკონომიკაში Tendencies of Crypto Currency Perspectives in Georgia`s Economy

ლია პითურიშვილი - ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
l.pitiurishvili@seu.edu.ge

ნაილი გაგნიძე - ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
n.gagnidze@seu.edu.ge

Lia piturishvili- Associate Professor, Georgian National University, SEU;
l.pitiurishvili@seu.edu.ge

Naili Gagnidze - Associate Professor, Georgian National University, SEU;
n.gagnidze@seu.edu.ge

რეზიუმე. სტატიაში განხილულია კრიპტოვალუტის განვითარების ტენდენციები საქართველოში. კრიპტოვალუტის თემა მსოფლიოშიც ერთ-ერთი აქტუალურია. კრიპტოვალუტა სხვადასხვა სახეობის ციფრული ფულია, რომლის არსი დევს ტექნოლოგია კრიპტოგრაფიაში; ის არსებობს მხოლოდ ელექტრონულად და ახასიათებს ანონიმურობა, დეცენტრალიზება და დაცულობა.

კრიპტოვალუტის დახმარებით მილიონობით ადამიანს შეუძლიათ ფულის ეკონომია, პროცენტების გამომუშავება, დაგროვილი სახსრების ინვესტირება, კრედიტები აღება, ფულის გადაგზავნა და ბევრი სხვა სამეურნეო ოპერაცია. ეს არის ციფრული ვალუტა, რომლის ერთეულსაც მონეტები წარმოადგენს. ის დაცულია გაყალბებისგან, დაფარულია მის შესახებ ინფორმაცია, შეუძლებელია მისი ასლის გადაღება.

კრიპტოვალუტა არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება უბრალო ვალუტებს ან სახელმწიფო სისტემებს. კრიპტოვალუტას შეუძლია გადაჭრას ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - ინფლაციის დარეგულირება.

ბაზარზე სხვადასხვა კრიპტოვალუტებს შევხვდებით, როგორცაა მაგალითად, ბიტკოინი, ლაიტკოინი, ეფირიუმი, სატოში და ა.შ. მათგან ყველაზე პოპულარული ბიტკოინია.

კრიპტოვალუტები სულ ვითარდებიან, კიბერფულის რაოდენობა შეუფერხებლად იზრდება. ბიტკოინის პოპულარობამ განაპირობა სხვა კრიპტოვალუტების შექმნა, რომლებიც ვითარდება ბიტკოინის გვერდით, მაგრამ მათი პოპულარობა და პოტენციალი ჯერ კიდევ ცოტა შედარებით უმნიშვნელოა.

სტატიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა კრიპტოვალუტის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად მზადაა საქართველოს მოსახლეობა ასეთი ინოვაციის მისაღებად.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, კრიპტოვალუტა, ბიტკოინი, ვირტუალური ვალუტა.

Abstract. In the article it has been discussed tendencies of crypto currency development in Georgia. This topic is one of the actual topics in the world. Crypto currency is different types of digital money. Its essence is in its technology-cryptography. It exists only in electronic version and is characterized with anonymity, decentralization and protection. By means of crypto currency millions of people can save money, get percents, invest earned money, take credits, transfer money and do other operations. It is digital currency with monetary units-coins. It is protected from falsification. Information about it is anonymous. It's impossible to copy it. Crypto currency is not connected with simple currency or state system. Crypto currency can solve one of the most important problems-regulation of inflation. On the market you can meet different crypto currency such as bitcoins, lite coins, satoshi,etc. Bitcoin is the most popular among them. Crypto currency is being constantly developed. Number of cyber money is being growing. Popularity of bitcoin has caused creation of other crypto currency but their popularity and potential is not so great as bitcoin. In the article we tried to introduce crypto currency with its positives and negatives. Besides we tried to analyze level of population's readiness for such innovation in Georgia.

Key words: inflacion, electronic money, bitcoin, virtual currency

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების ფონზე ელექტრონული კრიპტოვალუტის თემა ყველაზე აქტუალურია და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კრიპტოვალუტა ელექტრონული ფულია, იგი არ შეიძლება შევადაროთ ფულს ან სახსრებს, რომელიც არის საბანკო ანგარიშზე. კრიპტოვალუტას არ არეგულირებს ცენტრალური ბანკი, მისი კურსი არ არის დამოკიდებული რომელიმე ქვეყნის ეკონომიკაზე, იგი განსაკუთრებული ტიპის ფინანსური და საგადასახადო აქტივია, რომელიც არის წარმოდგენილი, როგორც ფინანსური სფეროს მარეგულირებელი.

ჩვენი აზრით, შეიძლება კრიპტოვალუტის განვითარების სამი გზა გამოვყოთ:

- კრიპტოვალუტის როგორც საგადასახადო რესურსის, გავრცელება.
- კრიპტოვალუტის ინსტრუქციული და სხვა მსხვილი ინვესტიორების, აგრეთვე მოწინავე სახელმწიფოების მთავრობების მხრიდან აღიარება.
- კრიპტოვალუტის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ყველა მსურველს შეუძლია დაიწყოს კრიპტოვალუტის გამომუშავება, თუ ხელთ აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც პასუხისმგებელია ამოხსნას ალგორითმები, მოიზიდოს მონეტები, რაც ინახება მომხმარებლის კრიპტოსაფულეში. ყველა ტრანსაქცია ანონიმურია. კრიპტოვალუტას აქვს დეცენტრალიზებული ხასიათი - არ არის ერთიანი ბანკი, გამორიცხულია ყველა სახის კონტროლი.

კრიპტოვალუტა დამოუკიდებლად გაჩნდა და ის არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება უბრალო ვალუტებს ან სახელმწიფო სისტემებს. ყველა მსურველს შეუძლია დაიწყოს კრიპტოვალუტის გამომუშავება, თუ აქვს ხელთ სპეციალური მოწყობილობა. ეს გამომთვლელი მოწყობილობა პასუხისმგებელია ამოხსნას ალგორითმები, მოიზიდოს მონეტები ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ- დაფარული ინფორმაცია. კრიპტოვალუტას აქვს დეცენტრალიზებული ხასიათი - არ არის ერთიანი ბანკი, გამორიცხულია ყველა სახის კონტროლი გადასახადებისა და განხორციელებული ტრანზაქციების. კრიპტოვალუტა არ ექვემდებარება ისეთ პროცესებს როგორცაა ინფლაცია, მაღალია ასევე დაცვის დიდი დონე - ვალუტას არ შეიძლება ასლი გაუკეთო. მას აქვს მინიმალური საკომისიო.

თანამედროვე ბაზრის ყველაზე ცნობილი კრიპტოვალუტებია: ბიტკოინი, ლაიტკოინი, ეფირიუმი, სატოში, DASH, PRIMECOIN და ა.შ.

კრიპტოვალუტას შეუძლია გადაჭრას ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რომელიც განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის წინაშე დგას - ინფლაციის ზრდა. ინფლაციის დროს სახელმწიფოები ბეჭდავენ ძალიან დიდი ოდენობით ფულის მასას. მაგალითად, ასეთი სიტუაცია შეიქმნა ვენესუელაში, სადაც ჰიპერინფლაციამ მიაღწია 600%-ს. ათასობით ვენესუელმა გამოძებნა გამოსავალი ჰიპერინფლაციას გაგეოდნენ მაინინგ ბიტკოინის ნულიდან დაწყებით. ისინი მოიხმარდნენ იაფიან ელექტრობას თავიანთ ქვეყნებში კრიპტოვალუტის გენერაციისთვის, შედეგად იღებენ ფულს, რომლის კურსი იზრდება ფასში, ეს იმ დროს, როცა ნაციონალური ვალუტა აგრძელებს დეფლაციას, მაგრამ ყველაზე პოპულარულია ვენესუელაში ეთერიუმის ნადავლია, იმიტომ, რომ მისი მაინინგი უბრალოა და არ ითხოვს სპეციალურ მოწყობილობებს.

კრიპტოვალუტის გამოყენება იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი დონის ინფლაციაა - ეს დააგროვებას ნიშნავს. 37%-მდე მომხმარებელი Bitfinance ზომიერებაში იყენებს ბიტკოინს შემნახველი ანგარიშის სახით. ის ინფლაციისთვის ნაკლებად მისაწვდომია, ვიდრე ადგილობრივი ვალუტა, რომელიც გაუფასურდა ქვეყნის ფინანსური სისტემის კრახის შედეგად.

ასეთი ტენდენცია ჩანს აფრიკის სხვა ქვეყნებშიც, ადგილობრივი ფინანსისტები ნიგერიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში თვლიან, რომ კრიპტოვალუტებს შეუძლიათ ეკონომიკის დასტაბილურება და მომხმარებლის საშუალო ფენას მიაწოდონ ამ ქვეყნის საგადასახადო სახსრებთან წვდომა. დეცენტრალიზებული ქსელი ხსნის შესაძლებლობას სახელმწიფო კონტროლს გვერდი აუაროს, რაც ამნელებს სახელმწიფოს მიერ ზემოქმედებას ციფრულ აქტივებზე. მეორე საშუალება, რომლის დახმარებით კრიპტოვალუტა შეძლებს დაეხმაროს განვითარებად, ქვეყნებს ესაა ემიგრანტების მიერ ფულადი სახსრების გაგზავნა საკუთარ ქვეყნებში. განვითარებადი ქვეყნების მცხოვრებნი, ძირითადად მიგრანტები, თავიანთ ოჯახებს ყოველწლიურად მიახლოებით 26 მილიარდ დოლარს უგზავნიან. ძალიან დიდი ნაწილი ამ ფულის მიდის საერთაშორისო გადარიცხვების საშუალებით. ისეთი კომპანიები, როგორცაა Coins.ph, ცდილობენ შეცვალონ ეს სიტუაცია იმ სისტემის შექმნით, რომლის დანიშნულებაცაა გაგზავნოს კრიპტოვალუტა მსოფლიოს ყველა წერტილში ბლოკჩეინით.

პირველად კრიპტოვალუტა, კერძოდ, ბიტკოინი გამოიყენებოდა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ადამიანთა მიერ, რომლებიც მისი დააარსების წყაროსთან იდგნენ. შემდეგ, რამოდენიმე წელიწადში, ის

გადაიქცა გიგანტურ მამსტაბურ სისტემად მთელს მსოფლიოში. დღესდღეისობით ოპერაციებს კრიპტოვალუტით აწარმოებენ არა მარტო უმრავლეს ბირჟებსა და ინტერნეტში, არამედ ბევრ კომპანიაში, მაღაზიებში, სერვის ცენტრებსა და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში. მაგალითად, აშშ-ში ცნობილი ფაქტია, რომ ხელფასის გაცემა სახელმწიფო მოხელეებზე ხდება ბიტკოინებში, ბიტკოინს იღებენ რესტორანში გადახდის მიზნით, ასევე მაღაზიებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში ბიტკოინები სავაჭარო აქტიურად გამოიყენება, როგორც საბანკო გადასახადის და პლასტიკური ბარათების არტერნატივა, რადგანაც საბანკო მომსახურება ამ ქვეყნებში ძალიან ძვირია.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიტკოინ ბანკომატები უკვე დააყენეს გერმანიაში, კანადაში, შვეიცარიაში, სლოვაკეთში, ჩეხეთში და უკრაინაში.

ვეროკავშირის სასამართლომ ბიტკოინები და სხვა კრიპტოვალუტები ტრადიციულ ფულს გაუტოლა. ამის გარდა, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ გარიგებები, რომლებიც ხორციელდება ტრადიციული ვალუტის გაცვლით ბიტკოინზე და სხვა კრიპტოვალუტაზე, არ უნდა დაიბეგროს დამატებული ღირებულებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვეროსასამართლო უმაღლესი ინსტანციამ სასამართლოსი და მისი გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული.

იურიდიულ დაბრკოლებებთან ერთად კრიპტოვალუტა არ შეიძლება მივაკუთვნოთ ფასიან ქალაქებს, რადგან ფასიანი ქალაქი, კრიპტოვალუტისგან განსხვავებით, არ შეიძლება დაუსრულებლად იყოფოდეს, როგორც არ უნდა იყოფოდეს ფასიანი ქალაქის პაკეტი. ამის გარდა, კრიპტოვალუტა შეიძლება ფაქტიურად გაანადგურო, მაგრამ არადოკუმენტური ქალაქის - არანაირი მდგომარეობით. არსებობს კიდევ ფორმალური მიზეზი, რომ შეუძლებელია კრიპტოვალუტა არადოკუმენტურ ფასიან ქალაქს მიუერთო. ფასიანი ქალაქად შეიძლება ვადიაროთ მხოლოდ ის ობიექტი, რომელიც დასახელებულია ამ მიზეზით კანონში ან აღიარებულია ასეთად მიღებული კანონის საფუძველზე. შესაბამისად, სანამ არ იქნება საკანონმდებლო აქტი, რომელიც აღიარებდა კრიპტოვალუტას არადოკუმენტური ფასიანი ქალაქის პოზიციაში, ასეთი კვალიფიკაცია შეუძლებელია.

იმ ქვეყნებში, სადაც კრიპტოვალუტა არის დაკანონებული ერთეული, იმით შეიძლება გადავიხადოთ ყველანაირი საქონლის ფასი და მომსახურების საფასური. ამის გარდა, ის შეიძლება გადავიტანოთ

ბარათზე, ესე იგი, შეიძლება გავცვალოთ ჩვეულებრივ ფულზე ან გავყიდოთ ბირჟებზე ან გადასახურდავებელ პუნქტებში უფრო მაღალი კურსით და კურსთა შორის სხვაობა იქნება მოგება.

საქართველოში 2017 წელს პირველი ელექტრონული ბირჟა შეიქმნა coinmania.ge, სადაც ინტერნეტ მომხმარებლებს ბიტკოინით ვაჭრობის შესაძლებლობა აქვთ. საქართველოში დიდი ინტერესია კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით და დაინტერესებული პირები ბიტკოინის გამომშუშავებლების ე.წ. მაინინგის მფლობელებს უფასოდ, ავტომატურად ეხსნებათ ბიტკოინის ლარის შესანახი საფულეები, საიტზე რეგისტრაციაც უფასოა. განსაკუთრებით მაღალი ინტერესია ბიტკოინის მიმართ, თუმცა კონკრეტულ საიტზე მომხმარებლის აქტივობა დაბალია.

კრიპტოვალუტის საკანონმდებლო რეგულირება ცალკეულ სახელმწიფოში არაერთმნიშვნელოვანია. არსად მსოფლიოში კრიპტოვალუტები არ არის აღიარებული ნამდვილი ვალუტის თვისებით. თუმცა არიან ქვეყნები, რომლებშიც სამართლებრივად მას ანიჭებენ უპირატესობას და აღიარებენ გადახდის ერთ-ერთ საშუალებად, ტექნოლოგიის სიძნელე, განსაკუთრებით მისი კონტროლის ნაწილში, იძულებულს ხდის მთავრობას ან დახუჭოს თვალი ბიტკოინის ადა მის ანალოგის რსებობაზე ან მიანიჭოს მას შუალედური სტატუსი.

საქართველოში არ არსებობს რეგულაცია კრიპტოვალუტის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს ქართველ მომხმარებელს თავისუფლად შეიძინონ ელექტრონული ფული და განახორციელონ კრიპტო ტრანსაქციები, თუმცა ჩვენთან ბიტკოინისა და სხვა კრიპტოვალუტების გამოყენების არეალი საკმაოდ მცირეა. საქართველოში კრიპტოვალურის აპარატები რამდენიმე ადგილასაა განთავსებული. ბანკომატებით შეიძლება, როგორც ბიტკოინის განაღდება, ასევე სხვა პოპულარული კრიპტოვალუტების ფულზე გადაცვლა. ბიტკოინით შეიძლება ინტერნეტში ნივთების შექმნაც, თუ საიტს ექნება ბიტკოინით ანგარიშსწორების ფუნქცია.

რისკები რასაკვირველია აქაც არსებობს. ძნელია იმის განსაზღვრა, გაიზრდება თუ არა კონკრეტული კრიპტოვალუტის ღირებულება. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჩვენი კრიპტოვალუტის ყიდვა არავის უნდა. სწორად ვერ განვსაზღვრავთ ღირებულების ცვლილებებს ან გავყიდით თუ არა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ფული დაიკარგოს. იმის რისკიც არსებობს, ფასი იგივე დონეზე დარჩება ან დაეცეს.

კრიპტოვალუტის დაუცველობა მისი ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა. ჰაკერების თავდასხმით შეიძლება ფირმებმა დაკარგონ მომხმარებლებზე კუთვნილი კრიპტოვალუტა და მისი ღირებულებაც შეიძლება უგზო-უკვლოდ დაიკარგოს. ასევე ისეთი ორგანიზაციებიც არსებობენ, რომლებიც თაღლითური გზით ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები ინვესტიცია ჩადონ სხვადასხვა კრიპტოვალუტებში

კრიპტოვალურის ყიდვა გრძელვადიანი ინვესტიციაა, დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება ვერ მივიღოთ მოგება. ვაჭრობა მოითხოვს დიდ ინვესტიციას და დროის დათმობას, რადგან ფასთა ცვლილების განსაზღვრა რთულია, კრიპტოვალუტით ვაჭრობა რისკიანი ინვესტიციად მიიჩნევა.

საქართველოში ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა ბიტკოინის ღირებულების ზრდა, იყო მისი პოპულარობა, რაც მეტ ადამიანს ჰქონდა მისი შეძენის სურვილი, ის მით მეტად ძვირდებოდა. ფასმა როდესაც გარკვეულ ნიშნულს მიაღწია, ის აღარ იყო ბევრისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად მოთხოვნამ იკლო და ღირებულებაც შემცირდა. ასე რომ, კრიპტოვალუტის ბაზარი დამოკიდებულია ბიტკოინის ღირებულებაზე. თუ ბიტკოინის ფასი ეცემა, მას მთელი რიგი კრიპტოვალუტების ფასის დაცემა მიჰყვება.

ჩვენი აზრით, სახელმწიფომ საჭიროა:

- გააკონტროლოს კერძო და სმოქალაქო პირების მიერ ახალი კრიპტოვალუტების შექმნის საკითხი;

- თვალყური ადევნოს კრიპტოინდუსტრიის სისტემას, მაინინგის პროცესს. ქვეყანაში უნდა შეფასდეს მაინინგის პროცესის განვითარების თავისებურებები და დაისახოს მოსალოდნელი გამოწვევების გადაჭრის გზები (მაგ., ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის შესაბამისად);

- თითოეული ადამიანი უნიკალურია ნებისმიერი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას, მხოლოდ მისი კვალიფიკაცია და ეკონომიკური აზროვნება არის რაციონალური ფინანსური აქტივობის გარანტი, მათ შორის, ბიტკოინის ყიდვისას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს კრიპტოვალუტის უპირატესობები და ნაკლოვანებები, რისთვისაც სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა აწარმოოს მკაფიო ინფორმაციული პოლიტიკა;

- გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში საკმაოდ დიდი რაოდენობაა იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც არ იყენებს პლასტიკური ბარათებით

ანგარიშსწორების სერვისს (ახდენს მხოლოდ ნაღდ ანგარიშსწორებას). შესაბამისად, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მათ გამოიყენონ ციფრული ფული;

- საქართველოს ციფრული გარემოს სამართლებრივი გარემო დასახვეწია, შესაქმნელია მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა;

- საქართველოს კონსტიტუციით, ერთადერთ ორგანოს, რომელსაც კანონით ფულის ემისიის, სახელწოდებისა და ერთეულის განსაზღვრის უფლება აქვს, წარმოადგენს მხოლოდ ეროვნული ბანკი. შესაბამისად, მომავალში უკეთესია ეროვნული ბანკის მიერ ცენტრალიზებულად მოხდეს ციფრული ფულის ემისია და გამოყენება, კერძო სექტორის მიერ გამოშვებული ციფრული ფულის გამოყენების ნაცვლად;

- საჭირო მიგვაჩნია ინტერნეტ-წიგნიერების ზრდა და ციფრული პოლიტიკური ღონისძიებები, პროპაგანდის ღონისძიებების გატარება.

თუმცა, მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულება უფრო ოპტიმისტურია ბიტკოინისა და კრიპტოვალუტების ფასის ზრდის მიმართ, ვიდრე ქართული სა-ზოგადოების დამოკიდებულება ლარის კურსის გამყარების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ბიტკოინის ფასი დღეს 33,41 ლარს შეადგენს, 2020 წლის დასაწყისთან შედარებით მისი კურსი 20%-ით გაიზარდა.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მესამე უდიდეს კრიპტოვალუტის მომპოვებელ ქვეყნად დასახელდა.

მომავალში კრიპტოვალუტის განვითარების სამი გზა შეიძლება გამოვყოთ: კრიპტოვალუტის გავრცელება; კრიპტოვალუტის აღიარება; კრიპტოვალუტის ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველო აქტიურადაა ჩართული კრიპტოგარემოში, ქვეყანა გამოდის ციფრული ჩრდილიდან, სადაც ტექნოლოგიური განვითარების ტრანექტორია, სახელმწიფო მიდგომები და სამთავრობო პროგრამები, არსებული საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის ციფრული აქტივობა, ქმნის ქვეყნის ციფრული განვითარების ისტორიას. საქართველოს ციფრული ეკოსისტემა წარმოდგა მაინერებით, სტარტაპებით, ციფრული ინფრასტრუქტურული პროექტებით, ციფრული ჩართულობის ხელშემწყობი პროგრამებით, ეკონომიკური აქტივობის ამაღლებით, მრავალფეროვანი ციფრული პროდუქტებითა და მომსახურებით, ინტერნეტ-ბაზრის შემოსავლებისა და დასაქმების ზრდით; ქვეყანა

კრიპტონდუსტრიის ბიზნეს- მარათონს არ ჩამორჩება, რაც ქვეყნის ციფრული განვითარების გზაზე მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) აბულაძე რ., ციფრული ფული, თბ. 2018,
- 2) დუდიკოვა ე., ელექტრონული ფული, 2018
- 3) კრავჩენკო ი., კრიპტოვალუტის როლი მსოფლიოში, 2018
- 4) საქართველოს ეროვნული ბანკი. ოფიციალური ვებგვერდი, www.nbg.gov.ge
- 5) https://dspace.spbu.ru/bitstream/11701/13093/1/VKR_Z-M_G_Moller_Magistratura.pdf?fbclid=IwAR0HCaUiU-66qhTglaF2YVkJtAbL7UUiGdtfEEAmzRZ-9Qm4glCxo7vu3w
- 6) http://csef.ru/media/articles/7770/8861.pdf?fbclid=IwAR1pC_M9nt3MXZVkz_QRIRHkAL7DZi82HvAKIeDRqUVqtloyV_vBex0Mkw4

ქალთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება არაფორმალურ ეკონომიკაშიP

Expanding Women's Rights and Opportunities in the Informal Economy

დალი სეხნიაშვილი

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, d.sekhniashvili@gtu.ge

Dali Sekhniashvili

Professor, Georgian Technical University, d.sekhniashvili@gtu.ge

Abstract

The paper examines the causes and consequences of informal employment in order to formulate recommendations for policy makers to promote the economic empowerment of women. The paper explores what motivates women to engage in informal employment, what is negative about it, and how women's rights and opportunities in the informal economy can be enhanced and expanded.

This paper analyzes how women can move from a situation of limited choice of their economic opto a situation in which they have the power to make decisions in the family and in the labor market and facilitate their transition from the informal to the formal economy.

Keywords: Informal Economy, Women's Rights, Informal Employment, Expanding Women's Opportunities.

მსოფლიოს დასაქმებული მოსახლეობის 60% -ზე მეტი არაფორმალურ ეკონომიკაშია დასაქმებული. არაფორმალური დასაქმება ყველა ქვეყანაში

არსებობს, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, მაგრამ ეს ფენომენი განსაკუთრებით გავრცელებულია განვითარებად ქვეყნებში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია არაფორმალური დასაქმებულების ტერმინის ქვეშ მოიაზრებს დაურეგისტრირებელ ბიზნეს საქმიანობაში დასაქმებულებს (იქნება ეს მფლობელი თუ თანამშრომელი), შინამეურნეობაში მომუშავეებს, ასევე, თვითდასაქმებულებსა და დასაქმებულებს, რომლებიც არ იმყოფებიან აღიარებულ შრომით ურთიერთობაში.

არაფორმალური სამუშაოებზე, გლობალურად, მამაკაცების 63% და ქალების 58% მუშაობს. ქალები უფრო ხშირად არიან ოჯახში და შინამეურნეობებში დასაქმებულნი, რაც დასაქმების უფრო დაუცველ ფორმებად არის აღიარებული, დაბალია მათი სამუშაო ადგილის უსაფრთხოების ხარისხი და შემოსავალი [1].

არაფორმალური სექტორი მოიცავს ყველა ეკონომიკურ აქტივობას, რომელიც არ რეგულირდება და არ იბეგრება სახელმწიფოს მიერ. მსოფლიოს სამუშაო ძალის თითქმის ორი მესამედი არაფორმალურ სექტორში საქმიანობს [1]. ამ სექტორში კონტროლის მექანიზმებისა და რეგულაციების ნაკლებობა დასაქმებულთა მოწყვლადობას განაპირობებს, განსაკუთრებით დაუცველი და ექსპლუატაციური სამუშაო გარემოს რისკის პირობებში.

მსოფლიოს მასშტაბით მოვლასთან დაკავშირებულ როგორც ანაზღაურებად, ისე არაანაზღაურებადი საქმიანობის დიდ ნაწილს ქალები ასრულებენ. ქალები სამჯერ უფრო მეტად ასრულებენ ასეთ საქმიანობას, ვიდრე კაცები. მოვლა მოიცავს როგორც დამოკიდებული პირის მოვლას, ასევე, ოჯახისთვის შესრულებულ საქმიანობას, როგორცაა: საჭმლის მომზადება და დასუფთავება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მსოფლიოში მოვლასთან დაკავშირებული საქმიანობის უმეტეს ნაწილს მომვლელები ანაზღაურების გარეშე ეწევიან, უპირატესად, ქალები და გოგონები სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებიდან. აუნაზღაურებელი მოვლა ძირითადი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ქალების მონაწილეობას შრომის ბაზარზე და სამუშაოს ხარისხს.“ ანაზღაურებადი მომვლელების უმეტესობასაც ქალები წარმოადგენენ. ისინი ხშირად არაფორმალურ სექტორში მუშაობენ, ცუდი სამუშაო პირობები და დაბალი ანაზღაურება აქვთ [1].

აც შეეხება საქართველოს, აქ ორიდან ერთი ადამიანი არაფორმალურადაა დასაქმებული. ამ მხრივ, ქალებისა და კაცების მაჩვენებელი ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსია. ხშირად არაფორმალური დასაქმება დაკავშირებულია ისეთ პრობლემებთან, როგორებიცაა: დაბალი ანაზღაურება, ნაკლები თვითდაჯერებულობა და ბედნიერების უფრო დაბალი ხარისხი. საქართველოში არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალები ფორმალურ სექტორში დასაქმებულ ქალებთან შედარებით წელიწადში საშუალოდ 970 აშშ დოლარით (42%) ნაკლებს გამოიმუშავენ, აღნიშნულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ საქართველოში ჩატარებულ კვლევაში [2].

ქალები და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესება. არაფორმალურ ეკონომიკაში თვითდასაქმებული მუშაკები მთავრობის პოლიტიკის და კანონმდებლობისთვის ხშირად შეუმჩნეველი არიან და შევიწროვებიან კიდევაც შემოსავლის გამომუშავების გზების შეზღუდვით, რაც იწვევს არასტაბილურ და დაბალ შემოსავლებს.

როგორ არის შესაძლებელი არაფორმალურ ეკონომიკაში ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება?

ღირსეული შემოსავლის მიღების შესაძლებლობა

მაკროეკონომიკური პოლიტიკა იმ მნიშვნელოვან ფაქტორთა რიგშია, რაც გენდერულ თანასწორობას უზრუნველყოფს, რამდენადაც ის აყალიბებს ისეთ გარემოს, რაც ქალთა უფლებებსა და შესაძლებლობებს აფართოებს. კერძოდ, ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც იხელს უწყობს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას (სკოლამდელი საბავშვო და სამედიცინო დაწესებულებები), ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება, დაკრედიტების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული და მცირე და მიკრო საწარმოების მფლობელი ქალებისთვის, ისეთი საბიუჯეტო სივრცის ფორმირება, რომელიც სოციალური დაცვის და ქალთა წარმომადგენლობების გაზრდის გარანტიებს იძლევა, შეუძლია გაზარდოს ქალთა ხელმისაწვდომობა არაფორმალურ სექტორში ღირსეული შემოსავლის წყაროებზე და ხელი შეუწყოს მათ გადასვლას არაფორმალურიდან ოფიციალურ ეკონომიკაში.

სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა ხშირად „ვერც ამჩნევენ“ და სჯიან კიდევაც არაფორმალურ ეკონომიკაში თვითდასაქმებულებს (მაგ. ქუჩაში მოვაჭრეები, ოჯახებში მომუშავეები). ამ მუშებს უამრავი პრობლემა აქვთ, მათ შორის შევიწროება, მკაცრად მოპყრობა და საქონლის

კონფისკაცია, რაც იწვევს არასტაბილურ შემოსავალს, მცირე შემოსავალს და ქონების დაკარგვას.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ქუჩაში მოვაჭრე ქალები მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ღონისძიებებში და აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ქალაქის ხელმძღვანელობასთან, ითხოვდნენ სხვადასხვა პირობის გაუმჯობესებას, მათ შორის სავაჭრო ადგილების გამოყოფას და მოვაჭრეებისთვის ლიცენზიებისა და სერთიფიკატების გაცემას.

არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალების ანაზღაურებაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს შრომის მინიმალური ანაზღაურების ზომა. შინამოსამსახურეები არიან არაფორმალური სექტორის ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი ჯგუფი. შრომის მინიმალური ანაზღაურების დონის ზრდამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათი ანაზღაურების ზრდასა და ფორმალურ დასაქმებაში მათ გადასვლაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში სოფლის მეურნეობის მუშაკთა 41% ქალია [3], ისინი იშვიათად ფლობენ იმ მიწას, რომელზეც მუშაობენ, რის გამოც, შეზღუდულია მათი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მიწის გამოყენების კონტროლი, ისევე როგორც მათი წვდომა ტექნოლოგიასა და დამხმარე სერვისებზე. მიწის უფლებების დაცვა და ტექნოლოგიაზე წვდომა, სოფლის მეურნეობის დამხმარე სერვისების რეფორმირება და კოოპერატივების მშენებლობაში ქალების დახმარება ძალზე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული ქალების გაძლიერებისათვის.

თანამედროვე საინფორმაციო კომუნიკაციური ტექნოლოგიების მხარდაჭერით მიღებულ მომსახურებას, მობილური კომუნიკაციების ჩათვლით, ასევე შეუძლია დაეხმაროს ქალებს ინფორმაციის და კომერციული წარმოებისთვის შესაფერისი კულტურების შესახებ კონსულტაციის მიღებაში, რაც ხელს უწყობს შემოსავლის გაზრდას და პროდუქტიულობას. ეს სერვისები ხელს შეუწყობენ ცოდნის გაზიარების კულტურის დამკვიდრებას და დაეხმარება ქალებს მიიღონ გადაწყვეტილებები კლიმატისადმი მდგრადი კულტურების მოყვანისა და მიწის მდგრადი მართვის პრაქტიკის შესახებ, რამაც შეიძლება დაიცვას ისინი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან.

მეწარმე ქალი ხშირად გვხვდება არაფორმალური ეკონომიკის მიკრო საწარმოს ლიდერად. ქალთა მეწარმეობისა და მათი ბიზნესის

სიცოცხლისუნარიანობის სტიმულირება შესაძლებელია ხელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით, ბიზნესის გაძლიერებით უნარების სწავლებით და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით.

ქალთა გაძლიერების მთავარი დაბრკოლება არის სოფლად ცხოვრებისთვის ადეკვატური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, მათ შორის წყლისა და სანიტარული მომსახურება, სოციალური მომსახურება და მოვლის სერვისები. ქალთა გაძლიერებას ხელს უშლის ინფორმაციაზე შეზღუდული წვდომა, განსაკუთრებით სოფლად, სადაც არ არის კარგი ინტერნეტი.

ძირითადი სერვისებისა და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა აძლიერებს ქალთა სიცოცხლისუნარიანობას და თავისუფლებას, ამცირებს მათ დატვირთვას და ახანგრძლივებს დროს, რაც მათ შეიძლება დაუთმონ პროდუქტიულ საქმიანობას [3].

სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა

იმის გამო, რომ ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილი თვითდასაქმებულებსა და ოჯახის მუშაკებს შორის, ისინი შედარებით მცირე ოდენობით იხდიან სოციალური დაცვის შენატანებს. სოციალური დაცვის პროგრამებმა და უფრო ფართო მასშტაბის სოციალურმა სისტემებმა შეიძლება ხელი შეუწყონ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

განათლება, პროფესიული უნარები და მომზადება

განათლება ძლიერი აქტივია, რადგან ის ქალებს ეხმარება მიაღწიონ პოზიტიურ შედეგებს, მათ შორის მათი უფლებების უკეთ გააზრებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის გაზრდაში, ადრეული ქორწინებისა და შვილის გაჩენის ალბათობის შემცირებასა და უკეთესი მუშაობის ხელმისაწვდომობაში ქალთა და მამაკაცთა შორის ანაზღაურებადი სამუშაოებისა და საშინაო სამუშაოს თანაბარი განაწილება ხელს შეუწყობს სოციალური ნორმების შეცვლას და შრომის ბაზრების გარდაქმნას.

მსოფლიოში არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებული 91% არის წერა-კითხვის არმცოდნე ან მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვთ მიღებული [1]. განათლებამ შეიძლება შეამციროს არაფორმალურ ეკონომიკაში ქალების მუშაობის ალბათობა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების არსებობასა და ხარისხზე. ფაქტები ადასტურებს, რომ განათლება ასევე ეხმარება ადამიანებს გამოიმუშაონ

უფრო მეტი: დაწყებითი სკოლის ყოველი დამატებითი წელი ხელფასების დონის 10% -ით გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, საშუალო სკოლის ყოველი დამატებითი წელი - 15-25% -ით, უმაღლესი განათლება კი - თითქმის 17%-ით [9]. პროაქტიული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს განათლებისადმი გოგონების თანაბრად ხელმისაწვდომობას ბავშვობიდანვე ხელს უწყობს სოციალური ნორმების შეცვლას და ქალების გაძლიერებას.

ქალები უფრო მეტ დროს უთმობენ, ვიდრე მამაკაცები უნაზღაურებელ მოვლას (მაგალითად, სახლის და ოჯახის სამუშაოებს [9]. შედეგად, ისინი უფრო ხშირად მიიღებენ დაბალი ხარისხის სამუშაოებს არაფორმალურ ეკონომიკაში, რათა შეძლონ თავიანთი მოვალეობების შესრულება. ქალთა და მამაკაცთა შორის ანაზღაურებადი სამუშაოებისა და საშინაო სამუშაოს თანაბარი განაწილება ხელს შეუწყობს სოციალური ნორმების შეცვლას და შრომის ბაზრების გარდაქმნას.

გარდა იმისა, რომ გენდერულ თანასწორობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანის უფლებას, იგი შეიძლება ასევე მოქმედებდეს როგორც ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. მაგალითად, განათლების გენდერული განსხვავების აღმოფხვრამ შეიძლება გამოათავისუფლოს რესურსები და ხელი შეუწყოს სამუშაო ძალის უნარებისა და ნიჭის დივერსიფიკაციას [10].

უფრო მეტიც, ქალთა სამუშაო ძალაში ჩართვა აღიარებულია, როგორც ეროვნული ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა. მაკკინზის გლობალური ინსტიტუტის შეფასებით, გენდერული ეკონომიკური პარიტეტის მიღწევით შეიძლება 2025 წელს წლიურ გლობალური მშპ-ს 26 %-ით გაზრდა [11].

მოვლის სამუშაო მხარდაჭერა

ქალები უფრო მეტ დროს უთმობენ, ვიდრე მამაკაცები უნაზღაურებელ მოვლას (მაგალითად, სახლის სამუშაოს და ოჯახის მოვლას) (ILO, 2016b). შედეგად, იზრდება იმის ალბათობა, რომ ისინი უფრო ხშირად მიიღებენ დაბალი ხარისხის სამუშაოებს არაფორმალურ ეკონომიკაში, რათა შეძლონ თავიანთი მოვალეობების შესრულება. ანაზღაურებადი სამუშაოებისა და საშინაო სამუშაოს თანაბარი განაწილება ქალთა და მამაკაცთა შორის ხელს შეუწყობს სოციალური ნორმების შეცვლას და შრომის ბაზრების გარდაქმნას.

არაფორმალური დასაქმება საქართველოში ორიდან ერთი ადამიანი არაფორმალურადაა დასაქმებული. ამ მხრივ, ქალებისა და კაცების

მაჩვენებელი ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსია. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალიზება პოტენციურად აუმჯობესებს სამუშაო პირობებს, შესაძლოა, გადასახადებისა და რეგულაციების გამო, შეამციროს შემოსავალი როგორც დამსაქმებლებისთვის, ასევე იმ თვითდასაქმებულთათვის, რომლებიც არაფორმალურიდან ფორმალურ სექტორში ინაცვლებენ. თუმცა, მოსახლეობის ნახევარზე მეტის აზრით, თუ ყველა დამსაქმებელი იძულებული იქნება გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო ყველა ბიზნესი, ინდივიდუალური მეწარმეების ჩათვლით, ვალდებული იქნება, დაარეგისტრიროს საქმიანობა, ეს სარგებელს მოუტანს როგორც მათ, ასევე ქვეყანას [2].

მიუხედავად იმისა, რომ არაფორმალურ სექტორში მომუშავეები თითქოს ნაკლებად უნდა უჭერდნენ მხარს ამ ცვლილებებს, მათ ნახევარზე მეტს სჯერა, რომ ეს ცვლილებები დადებით შედეგს მოიტანს. გაეროს კვლევაში აღნიშნულია, რომ არაფორმალური სექტორის ფორმალიზებისკენ მიმართული ქმედებები არ უნდა იყოს ხისტი და არ უნდა ითვალისწინებდეს სასჯელს წარსული არაფორმალური საქმიანობისთვის; მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის დაბალი საგადასახადო ვალდებულებები უნდა იყოს შენარჩუნებული; მთავრობამ უნდა განიხილოს ოჯახში მომუშავეებისთვის ღირსეული სამუშაოს შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული კონვენციის რატიფიცირების საკითხი; საშუალოვადიან პერიოდში მთავრობამ უნდა იმსჯელოს არაფორმალური საქმიანობისთვის სანქციების შემოღებაზე, თუმცა, ეს უნდა მოხდეს თანდათანობით და სანქციები უნდა იყოს მსუბუქი, რათა მიმართული იყოს არა არაფორმალური საქმიანობის დასჯაზე, არამედ ფორმალიზების წახალისებაზე [2].

არაფორმალური დასაქმება საქართველოში

საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 23% არაფორმალურ დასაქმებაშია ჩართული. ეს დასაქმებულთა 45%-ს შეადგენს. ქალებისა და კაცების არაფორმალურ დასაქმებაში ჩართულობის ალბათობა თანაბარია. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დასაქმებული ქალების, ისევე, როგორც კაცების 45% არაფორმალურ სექტორში საქმიანობს. სოფელში მცხოვრები მოსახლეობა უფრო მეტადაა ჩართული არაფორმალურ საქმიანობაში, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლები. თბილისის მოსახლეობა კი, სხვა ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით, ოდნავ ნაკლებად არის არაფორმალურ სექტორში წარმოდგენილი.

საქართველოში მთავრობამ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები არაფორმალური საქმიანობის ფორმალიზების წასახალისებლად. მიკრო და მცირე ბიზნესებს, რომელთა ბრუნვაც 500,000 ლარს (~200,000 აშშ დოლარი) არ აღემატება, ნაკლები გადასახადები აქვთ. ბიზნესის რეგისტრაციის პროცესი საქართველოში უფრო მარტივია, ვიდრე მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში (მსოფლიო ბანკი, 2018).

"ჭკვიანი ეკონომიკის" მიდგომა ხაზს უსვამს იმას, რომ ქალებისათვის რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა და ეკონომიკური შესაძლებლობები ზრდის პროდუქტიულობას და იწვევს ეკონომიკურ ზრდას [10]. ამ იდეის განმტკიცების მიზნით, გაანალიზდა სხვადასხვა დონის მონაცემები, რამაც აჩვენა, რომ: ა) კომპანიები, რომლებსაც გენდერულად მრავალფეროვანი თანამშრომლები აკყავთ, უკეთესად მუშაობენ, ვიდრე სხვა კომპანიები (კერძოდ, ერთეულ კაპიტალზე უფრო მაღალი შემოსავალი აქვთ); ბ) გენდერული ხარვეზები დასაქმებაში გულისხმობს ნიჭიერი ადამიანების მცირე ჯგუფს, რაც ასუსტებს კომპანიას და გ) კომპანიებს, რომლებსაც გენდერულად უფრო თანაბარი სამუშაო ძალა აკავთ, უკეთ პასუხობენ კლიენტ ქალთა საჭიროებებს. ანალოგიურად, გაეროს ბოლოდროინდელი მოხსენება ხაზს უსვამს, რომ კერძო კომპანიები, რომლებიც ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაში დებენ უფრო მეტ ინვესტიციას, შეაბამისად, უფრო მეტ სარგებელსაც იღებენ [10].

ზემოთ მოყვანილი კვლევების და მონაცემების საფუძველზე შევიმუშავეთ გარკვეული რეკომენდაციები, რაც ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ქალთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოებას როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ ეკონომიკაში.

- არაფორმალურ ეკონომიკაში ქალთა უკეთესი სამუშაო ადგილების და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა მოითხოვს არა მხოლოდ ფორმალურ ეკონომიკაში სამუშაო ადგილების შექმნას და ქალთა სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, არამედ არაფორმალურ ეკონომიკაში ქალთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასაც.
- ქვეყნისა და პროგრამის დონეზე უნდა ჩატარდეს არაფორმალური სამუშაოსა და შრომის ბაზრების კონტექსტური ანალიზი, ასევე მოხდეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი, რათა შემუშავებულ

იქნას ქვეყნის სტრატეგიები და კონკრეტული ინტერვენციები არაფორმალურ სექტორში მომუშავე ქალთა გაძლიერებისთვის.

- მთავრობამ უნდა შეიმუშაოს დისკრიმინაციული კანონების მოხსნის, არაფორმალური მუშაკების იურიდიული აღიარების და სოციალური დაცვის სისტემების გაფართოების ხელშეწყობის მექანიზმები არაფორმალური მუშაკებისა და მეწარმეების უფლებების გასაზრდელად.
- მნიშვნელოვანია მთავრობის პარტნიორობა კერძო სექტორის კომპანიებთან და სხვა აქტორებთან, რათა გაუმჯობესდეს არაფორმალურ სექტორში ქალთა მუშაობის ხილვადობა და შედეგები, რაც ხელს შეუწყობს მომარაგების ჯაჭვებში მათი თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფას. ეს შეიძლება მოიცავდეს: ბიზნეს მოდელის შემოწმებას ან მასშტაბირებას, რომლებიც ამცირებენ არაფორმალური მუშების რისკებს და არაფორმალური მუშაკების პროგრესირებას უწყობენ ხელს, ნებაყოფლობითი გენდერული სამართლიანობის ან / და გენდერულად მგრძობიარე მდგრადობის სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობას; კოლექტიური შეთანხმებების დადება სექტორებში, სადაც არაფორმალური ქალი მუშაკების მაღალი წარმომადგენლობაა.
- ისეთი ინდიკატორების შემუშავება და ტესტირება, რომლებიც შეძლებენ გენდერულად დაყოფილი შედეგების მონიტორინგს სამუშაოების ხარისხის, რაოდენობის მიხედვით და მათ გამოყენებას პროგრამებში.
- არაფორმალურ ეკონომიკაში გენდერის შესახებ მონაცემების მოპოვების, მოცვისა და ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.
- ძალადობის, ბულინგის, არასასურველი სოციალური ნორმების და სტიგმის დაძლევა ქალებსა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების შესახებ, რომლებიც არაფორმალურ საქმიანობას ახორციელებენ.
- არაფორმალური ეკონომიკის ისეთ სეგმენტში ინვესტიცია, როგორცაა „ზრუნვის“ ეკონომიკა, ასეთი ინვესტიცია ემსახურება ორმაგ მიზანს: სამუშაო ადგილების (ძირითადად ქალთა) ხარისხის გაუმჯობესება არაფორმალურ სექტორში, აგრეთვე, ქალთა შრომის უფრო ფართო მონაწილეობას სხვადასხვა სახის სამუშაოში.
- არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ქალებისა და მეწარმეების ორგანიზაციისა და წარმომადგენლობის შექმნის ხელშეწყობა, რაც არის მათი ხილვადობისა და ხმის გაძლიერების, უფლებების გაფართოების ძირითადი ასპექტი. ამას თან უნდა ახლდეს პოლიტიკური სივრცის

შექმნა არაფორმალური მუშაკების ორგანიზებისა სხვადასხვა ფორუმებსა და დიალოგებში მონაწილეობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოვლასთან დაკავშირებული სამუშაოები და სამსახურები ღირსეული სამსახურისთვის. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, 2018. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/--publ/documents/publication/wcms_633135.pdf, გადამოწმებულია: 26.10.2020
2. ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), თბილისი, 2018
3. International Labour Organisation, Women and men in the informal economy: a statistical picture, International Labour Organisation, 2018
4. Gender Considerations in Balancing Financial Inclusion and Anti-Money Laundering and Countering the Financing of Terrorism, Alliance for Financial Inclusion, 2018
5. Marcus, R., The norms factor: recent research on gender, social norms and women's economic empowerment, International Development Research Center. 2018, <https://idl-bncidrc.dspacedirect.org/bitstream/handle/10625/57285/IDL-57285.pdf?sequence=2&isAllowed=y> გადამოწმებულია: 26.10.2020
6. The future of women at work: transitions in the age of automation, McKinsey Global Ins, 2019
7. Enabling Women's Economic Empowerment: New Approaches to Unpaid Care Work in Developing Countries, Organisation for Economic Cooperation and Development, 2019
8. Simavi, S., Manuel, C. and Blacken, M. Gender Dimensions of Investment Climate Reform: A Guide for Policy Makers and Practitioners, World Bank, 2010
9. Hunt A., Samman E., Women's economic empowerment Navigating enablers and constraints, Research Report, 2016
10. Klugman J., Tyson L., Leave No One Behind a Call to Action for Gender Equality and Women's Economic Empowerment, 2016.
11. The McKinsey Podcast: Insights from Experts on Business & Management, <https://www.mckinsey.com//mckinsey-podcast>.

ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დახმარებით გამყარებული ეკონომიკა
(ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი)
**Strengthened economy with the help of inclusive business incubators (Czech
Republic, Poland, Slovakia)**

თათია ბილისეიშვილი - დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
Tatuli20@Gmail.com
Tatia Biliseishvili – PhD student
Georgian technical university
Tatuli20@Gmail.com

რეზიუმე: საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ სრული კრახის წინაშე დადგნენ ქვეყნები, თავზე დაენგრათ ეკონომიკა. მათ სასწრაფოდ სჭირდებოდათ შეეძემავენ ბინათ ეკონომიკის ფეხზე დასაყენებლად გეგმა და სწორედ ამ გეგმის ნაწილი გახლდათ ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების ჩამოყალიბება. ბიზნეს-ინკუბატორების დახმარებით შეძლეს სამეწარმეო სექტორის ფეხზე დაყენება. განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოების, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეკონომიკის განვითარებაში და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. ასევე მათი ხელშეწყობით მოხდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული თუ ახალი საწარმოების რაოდენობის გაზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური, ბიზნეს-ინკუბატორი, საბჭოთა კავშირი, ეკონომიკა, სამუშაო ადგილები, საწარმოები, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი.

Summary: After the collapse of Soviet Union Countries have suffered a complete crash, economic was destroyed. They had to develop a plan to helped economic and formation of inclusive bussines incubator was the part of the plan. They were able to come up with a manufacturing sector by help of the bussines incubator. Especcially small and medium enterprises, which was playing a big role

in uphill of economic and ensuring of inclusive economic growth. Also, by their favor Post-soviet countries became able to made much more enterprises and more workplace.

Existence of inclusive bussines incubator helps export, innovation, creating a modern entrepreneurial culture. Also, plays a special role in enhancing welfare of the country.

Keywords: Inclusive, bussines-incubator, Soviet Union, economic, workplaces, enterprice, Czech Republic, Slovakia, Poland.

საბჭოთა კავშირის დაგრევის შემდეგ ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლინეთი სრული კრახის წინაშე დადგნენ. შემდგარი სახელმწიფო ჩამოიშალა, განადგურდა ეკონომიკა. მათი ფეხზე დაყენებისთვის საჭირო გახდა დაუღალავი შრომის რამდენიმე ათეული წელი. მათი მიმართულება გახლდათ იმპორტ-ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამა. ექსპორტისთვის კი საჭირო გახლდათ მცირე ბიზნესისთვის ხელშეწყობა.

ჩეხეთის რესპუბლიკა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად არის დასავლური ორიენტაციის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი მდებარეობს ევროკავშირის შუაგულში და მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ესაზღვრება. დღესდღეობით, ჩეხეთი ხშირად ხასიათდება როგორც გარდამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული შემთხვევა. მიუხედავად ჩეხოსლოვაკიის დაშლასთან დაკავშირებული ხარჯებისა (1992-1993 წლებში), ჩეხეთის მთავრობამ, 1989 წლის ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომ ადრეულ პოსტ-კომუნისტურ პერიოდში სწრაფად მოახერხა განეხორციელებინა ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები. ძლიერი ეკონომიკური რეფორმები, ისეთი როგორცაა: მასობრივი პრივატიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ისტორიულად ჩეხური ექსპორტი გადამუშავებული საქონლისაგან შედგებოდა. ექსპორტის საქონლის სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფს წარმოადგენდა ქიმიკატები და სამომხმარებლო საქონელი, მაგალითად, ტექსტილი და ავეჯი, საწარმოო მოწყობილობები და სხვა ინდუსტრიული საქონელი. ასევე აღსანიშნავია ევროკავშირის სხვა ქვეყნიდან ჩეხეთის განადგურებულ სოფლის მეურნეობის სფეროში სუბსიდირებული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის თავისუფალი იმპორტის ეფექტი. 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, მანქანები და სხვა

სატრანსპორტო ტექნიკა წარმოადგენდა საექსპორტო პროდუქციის უდიდეს ჯგუფს (50 პროცენტი), რომელსაც შემდგომ მოყვებოდა მანუფაქტურული პროდუქცია (დაახლოებით 20 პროცენტი). ამ ორ ჯგუფზე ასევე მოდიოდა იმპორტის უდიდესი წილი.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო და არაკომერციული ორგანიზაციების მიერ არის შექმნილი არაერთი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სააგენტო ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის დასახელებით, რომელიც კონსულტაციას უწებს მოსახლეობის დაბალ ფენებს, რომელთაც სურთ საკუთარი ბიზნესის დაწყება ან არსებულის გაღრმავება.

პოლონეთი 1980-იან წლებში არსებული საექსპორტო საქონლის შემადგენლობა შეიცვალა ბუნებრივი რესურსების და არაკვალიფიციური შრომის ინტენსიური პროდუქციით. მხოლოდ ნახშირისა და ფერმერულმა პროდუქციამ შეძლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ბაზრებზე საკუთარი წილის გაზრდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბჭოთა კავშირი შემდგომი ოთხი ათწლეული განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი გახდა პოლონელი მწარმოებლებისათვის (ჩეხოსლოვაკიასთან და გერმანიასთან ერთად). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოლონელმა მწარმოებლებმა სწრაფად გადაინაცვლეს დასავლეთის ბაზრებისაკენ. გერმანია გახდა ექსპორტის ძირითადი პარტნიორი და განსაკუთრებით კი, იმპორტის. დღეისათვის, ევროკავშირზე მოდის ექსპორტის თითქმის 80 პროცენტი და იმპორტის 60 პროცენტი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე საჭირო ბრუნვა მხოლოდ დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. საექსპორტო პროდუქცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1990-იანი წლების დასაწყისისათვის საექსპორტო პროდუქციას მინერალები და საკვები შეადგენდა. დღეისათვის, პოლონელი მწარმოებლები ძირითადად ფოკუსირებულნი არიან სამანქანო და ელექტრო მოწყობილობების, ასევე, სატრანსპორტო აღჭურვილობის ექსპორტზე. აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო მოწყობილობა ისტორიულად პოლონური ექსპორტის მნიშვნელოვან 73 კატეგორიას წარმოადგენს. სხვა წარმატებულ საექსპორტო პროდუქციის ჯგუფს შეადგენს მეტალი და ქიმიკატები.

პოლონეთში არსებობს რეგიონალური განვითარების ფონდები ინკლუზიური ბიზნეს ინკუბატორების დასახელებით, რომელთაც ძირითადი ამოცანა მხარი დაუჭიროს მცირე და საშუალო ბიზნესს. გაუწიონ

კონსულტაცია ახალ და არსებულ ბიზნეს საბანკო სესხებზე , გრანტებზე, ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და სხვა.

სლოვაკეთი სხვა გარდამავალი ეკონომიკების მსგავსად, 1989 წლის შემდგომ სლოვაკეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ვაჭრობას ახასიათებს ექსპორტ-იმპორტის მკვეთრი ზრდა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო მონოპოლიის მოხსნითა და მასობრივი ლიბერალიზაციით. გატარებული ეკონომიკური რეფორმების შემდეგ ქვეყანა სწრაფად განვითარდა. ეს ქვეყანა 1993 წელს გამოეყო ჩეხეთს, ხოლო 2004 წელს კი, ევროკავშირის წევრი გახდა. სლოვაკეთის მთავრობა მაქსიმალურად უწყობს ხელს უცხოური ინვესტიციების შემოსვლას და შრომის ბაზრის ლიბერალიზაციას, რასაც ბიზნესის ზრდამ მოლოდინს გადააჭარბა, რაშიც მცირე ბიზნესმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სლოვაკეთმა განიცადა ექსპორტის შედარებითი შემცირება 1996 წელს. შესაბამისად, ზრდადი საექსპორტო მაჩვენებელი ბალანსის დეფიციტის შემცირებასთან ერთად წარმოადგენდა 1998 წელს სლოვაკეთის ახალი მთავრობის უმთავრეს პრიორიტეტს. მანქანები და ელექტრონული მოწყობილობები წარმოადგენდნენ ახალი ქვეყნის საწყის ეტაპზე სლოვაკეთის ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს. მის დიდ ნაწილს შუალედური პროდუქცია შეადგენდა, რომელიც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ფასების ფაქტორზე. ასევე აღსანიშნავია, რომ რკინისა და ფოლადის ისტორიულად მნიშვნელოვანი წილი შემცირდა 1990-იან წლებში და ამავე დროს, თანამედროვე სექტორი, რომელსაც შეადგენდა აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობა და ავტომობილები, ექსპორტორებისათვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნული ზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო ფოლკსვაგენ ბტრატისლავასთან, რომელიც სლოვაკეთის უდიდესი ექსპორტიორი გახდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა შეადგინეს მთლიან ექსპორტში მხოლოდ დაახლოებით ოთხი პროცენტი. საავტომობილო ინდუსტრიამ დღემდე შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია. მეორე მხრივ, საავტომობილო ინდუსტრიის კომპონენტებმა შეადგინეს ახალ ქვეყანაში სლოვაკეთის იმპორტის უდიდესი წილი.

დასკვნა: საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ პოლონეთის, ჩეხეთის და სლოვაკეთი მთავარი ნათელი წერტილი გახლდათ იმპორტ-ექსპორტში ფეხის მოკიდება. ექსპორტისთვის კი აუცილებელი იყო მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ამიტომ მათ შექმნეს მოდელი ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის სახელწოდებით. ინკლუზიურ მოდელს ბიზნესისათვის

მოაქვს არა მარტო მოგება და მაღალი შემოსავლები, ის ასევე უზრუნველყოფს ახალი მომხმარებლის მოზიდვას, დასაქმების ზრდას, პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის არხების გაძლიერებას. დაბალი შემოსავლების ადამიანებს ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები, მოიპოვონ სტაბილური შემოსავალი და აამაღლონ პროდუქტიულობა. განვითარებულ ქვეყნებში როგორცაა: პოლინეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი ინკლუზიური ბიზნეს ინკუბატორმა განაპირობა მათი ეკონომიკური აღმავლობა. ღარიბთა ხელშეწყობას ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დახმარებით , ჩვენ შეგვიძლია საფუძველი ჩავუყაროთ გრძელვადიან ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდას. როგორცაა ახალი ბიზნესის და ბაზრების განვითარებას, ინოვაციებს, იმპორტის და ექსპორტის მაჩვენებლის მატებას და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/vishegr.pdf
2. <https://forbes.ge/news/3428/msofliu-ricxvebSi>
3. <http://eugeorgia.info/ka/article/250/estonetisa-da-slovaketis-gamocdileba-da-rchevbi-saqartvelos-evrointegraciis-gzaze/>
4. <https://foreignpolicycouncil.com/2020/05/25/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A2%E1%83%A0/>
5. <http://eugeorgia.info/ka/article/285/polonetis-warmatebis--gasagebi-evrointegraciis-gzaze/>

Финансовые ресурсы домохозяйств в Грузии
შინამეურნეობათა ფინანსური რესურსები საქართველოში

მედეა ჭელიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
საოც. პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, m.chelidze@gtu.ge

გოჩა აბუტიძე დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, g.abutidze@gtu.ge

Челидзе Медея Элипуховна - Доктор экономики
Ассоц. профессор, Грузинский технический университет, m.chelidze@gtu.ge

Абутидзе Гоча Гурамович - Докторант
Грузинский технический университет, g.abutidze@gtu.ge

Резюме. Структура финансовых ресурсов домохозяйства и хозяйствующего субъекта заметно отличается. В имуществе домохозяйства преобладают предметы домашнего обихода, используемые в повседневной жизни, в то время, как в состав активов, как правило, не входят нематериальные активы, запасы, дебиторская задолженность и др.

В процессе управления финансовыми ресурсами, домохозяйства принимают определенные финансовые решения. Они отличаются от финансовых решений хозяйствующих субъектов не только целевыми направлениями, но и механизмом принятия решений. Например, если хозяйствующие субъекты вырабатывают систему методов финансового управления, в домохозяйствах финансовые решения часто основаны на интуиции, жизненном опыте и имеют неформальный характер.

Финансовые решения домохозяйств в основном принимаются в отношении использования доходов. Следует отметить, что соотношение текущих расходов и сбережений варьируется от страны к стране. Большая часть дохода домохозяйств в Грузии расходуется на необходимые платежи и потребление.

Ключевые слова: домохозяйство, доходы, расходы, финансовые решения, управление ресурсами.

რეზიუმე. შინამეურნეობათა ფინანსური რესურსების სტრუქტურა განსხვავდება საწარმოთა ფინანსური რესურსების სტრუქტურისგან.

შინამეურნეობათა ქონების შემადგენლობაში სჭარბობს საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნები, რომლებიც გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო აქტივების შემადგენლობაში, როგორც წესი, არ გვხვდება არამატერიალური აქტივები, მარაგები, დებიტორული დავალიანება და ა.შ.

ისევე როგორც ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტი, შინამეურნეობებიც იღებენ გარკვეულ ფინანსურ გადაწყვეტილებებს ფინანსური რესურსების მართვის მიზნით. მათი ფინანსური გადაწყვეტილებები განსხვავდება სამეურნეო სუბიექტების ფინანსური გადაწყვეტილებებისგან არა მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით, არამედ თვით ამ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმითაც.

შინამეურნეობათა ფინანსური გადაწყვეტილებები, უპირველეს ყოვლისა, მიიღება ფულადი შემოსავლების გამოყენებასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე ხარჯების და დანაზოგების ურთიერთშეფარდება განსხვავდება. საქართველოში შინამეურნეობათა შემოსავლების უმეტესი ნაწილი იხარჯება აუცილებელ გადასახდელებზე და მოხმარებაზე.

საკვანძო სიტყვები: შინამეურნეობა, შემოსავლები, ხარჯები, ფინანსური გადაწყვეტილებები, რესურსების მართვა.

К имуществу домохозяйств можно отнести недвижимость, земли, транспортные средства, наличные денежные средства, ювелирные изделия, бытовую технику и т.д., к активам - краткосрочные (депозиты, банковские вклады) и долгосрочные (акции предприятий, государственные ценные бумаги) финансовые вложения.

Изначально ресурсы домохозяйств формируются на безвозмездной основе: домохозяйства при формировании уже обладают определенными, ранее накопленными финансовыми ресурсами, которые они получают в наследство или в дар. Другими источниками финансовых ресурсов являются: существующий доход (заработная плата, доходы от предпринимательской деятельности, пенсия, стипендия); потребительский кредит; социальные трансферты; доходы от использования или продажи собственности; дивиденды; проценты; средства полученные от продажи ценных бумаг; случайные, нерегулярные поступления (выигрыш в лотерею,

материальная помощь от работодателя, поступления от продажи имущества или предметов, доходы от выданных кредитов и т.д.).

На доходы населения влияют такие факторы, как: размер заработной платы; динамика розничных цен; насыщение потребительского рынка товарами; налоговая политика и т.д.

Ниже приведен краткий анализ доходов и расходов домохозяйств Грузии.

В Грузии средний среднемесячный доход на душу населения в 2012-2019 годы увеличился на 51,3% (222,2 лари и 336,1 лари соответственно), а в 2018-2019 годы увеличился на 5,6% (318,3 лари и 336,1 лари соответственно).

Таблица 1

Индекс потребительских цен¹⁷

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
Среднегодовой по сравнению с прошлым годом среднегодовым	99.1	99.5	103.1	104.0	102.1	106.0	102.6	104.9
Декабрь по сравнению с прошлым годом декабрем	98.6	102.4	102.0	104.9	101.8	106.7	101.5	107.0

Из таблицы видно, что индекс потребительских цен за последний год вырос на 2,2%. Таким образом, реальные доходы на душу населения увеличились на 3,4%.

Средний среднемесячный доход на домохозяйство в 2012-2019 годы увеличился на 40,9% (793,1 лари и 1175,3 лари соответственно), а в 2016-2019 годы - на 10,6% (1062,6 лари и 1175,3 лари соответственно).

Различаются уровни доходов населения в городах и населенных пунктах сельского типа. Например, данные за 2019 г. показывают, что среднемесячный денежный доход домохозяйства в городе составляет 1232,3 лари, в сельской местности – 1091,5 лари.

¹⁷ Источник: Национальная служба статистики Грузии

В структуре доходов домохозяйств основная часть приходится на т.н. заработанный доход, большая часть которого тратится на содержание домохозяйства. Заработанный доход физических лиц облагается подоходным налогом в размере 20%.

Таблица 2

Доходы домохозяйств¹⁸

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	
Среднемесячный доход населения (млн лари)	830,7	933,7	1035,9		1080,2	1126,8	1181,9	1187,2	1251,3
Среднемесячный доход на домохозяйство (лари)	793,1	896,1	995,1	1035,9	1062,6	1110,7	1123,5	1175,3	
Среднемесячный доход на душу населения (лари)	222,2	251,1	278,7	290,2	302,2	317,2	318,3	336,1	

В 2019 году среднемесячный доход населения Грузии составил 1 251,3 млн. лари, что на 5,4% больше, чем в 2018 году. По данным за 2019 год, среднемесячный доход на домохозяйство составил 1175,3 лари, и 336,1 лари - на душу населения.

Результаты показали, что в 2019 году от общего дохода населения 84,5% составили денежные доходы и трансферты, что по сравнению с предыдущим годом выше на 1,5%; 9,5% составили другие денежные средства (по сравнению с предыдущим годом ниже на 1,1%); 6,0% составили неденежные доходы (по сравнению с предыдущим годом ниже на 0,4%).

Самые низкие показатели по статье «денежные доходы и трансферты» за последние пять лет зафиксированы в 2017 году (79,6%), так же, как и самый высокий показатель по статье «другие денежные средства» (14,0%).

Общий объем доходов домохозяйств был намного выше в городах и составил 781,1 млн. лари. В сельских поселениях этот показатель находится в пределах 470,2 млн. лари.

В 2019 году значительную долю в структуре денежных доходов и трансфертов занимают доходы от наемного труда (48,7%). Кроме того,

¹⁸ Источник: Национальная служба статистики Грузии

значительную долю в данной структуре составляют пенсии, стипендии и пособия (19,0%), доход от самозанятости (11,4%) и деньги полученные в дар (8,8%).

Другие доходы домохозяйств охватывают доходы от операций, связанных с личным имуществом и денежными средствами. Первые включают в себя продажу или аренду жилья, земли, автотранспортных средств, бытовой или компьютерной техники. Продажа имущества является наименее прибыльной формой использования личного имущества, имеет одноразовый характер и приводит к уменьшению общей стоимости имущества.

Доходы от операций с денежными средствами возникают в результате их вложения в ценные бумаги, покупки иностранной валюты с целью дальнейшей реализации, открытия банковского вклада, покупки автотранспортных средств для оказания услуг и т.д.

Финансовые решения домохозяйств, в первую очередь, принимаются в отношении использования денежных средств. В Грузии, большая часть доходов как городских, так сельских жителей используется на обязательные платежи (в том числе коммунальные услуги) и приобретение продуктов питания, алкогольных и табачных изделий, медикаментов, неотложных услуг.

В 2019 году среднемесячные расходы населения Грузии составили 1220,1 млн. лари, что на 4,8% выше аналогичного показателя прошлого года (1164,5 млн. лари).

Расходы на потребление составляют основную часть доходов домохозяйств. Величина затрат на потребление зависит от единого дохода, интенсивности ведения натурального хозяйства, уровня экономии денежных средств и материальных нужд, уровня розничных цен и обязательных платежей и др.

В 2019 году среднемесячные расходы домохозяйства по сравнению с 2018 годом увеличились на 4,0% (соответственно 1146.1 лари и 1102.0 лари), а среднемесячный расход на душу населения – на 5,0% (соответственно 327.7 лари и 312.2 лари).

Основную часть расходов как городских, так сельских жителей составляют потребительские расходы. В общем объеме расходов

потребительские расходы составляют 68,2%, что на 1,3% выше показателя 2018 года.

Таблица 3

Расходы домохозяйств¹⁹

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
Среднемесячный доход населения (млн лари)	830,7	933,7	1035,9	1080,2	1126,8	1181,9	1187,2	1251,3
Среднемесячный доход на домохозяйство (лари)	793,1	896,1	995,1	1035,9	1062,6	1110,7	1123,5	1175,3
Среднемесячный доход на душу населения (лари)	222,2	251,1	278,7	290,2	302,2	317,2	318,3	336,1

Данные (2019 г.) показывают, что среднемесячный расход домохозяйства в городе составляет 764,4 лари (749,5 лари – в 2018 г.), в сельской местности – 455,7 лари (415,0 лари - в 2018 г.).

Как и доходы, расходы в городах были намного выше и составил 764,4 млн. лари. В населенных пунктах сельского типа данный показатель составил 455,7 млн. лари. По данным за 2019 год, значительную долю (37,8%) в структуре потребительских денежных расходов занимают расходы на продукты питания, напитки и табак.

Литература:

1. Мосиашвили В. З., Челидзе М. Э. Финансы / Данги. – 2016. – С. 540.
2. Национальная служба статистики Грузии. Показатели уровня жизни (доходы и расходы домохозяйств). 2019
3. <http://www.geostat.ge>
4. <http://mof.ge/4540>

¹⁹ Источник: Национальная служба статистики Грузии

საკრედიტო რისკის მართვის პროცესის ოპტიმიზაციის მიმართულებები
Directions of credit risk management process optimization

გიორგი ცაავა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, g.tsaava@gtu.ge

რატი ბურდიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, r.burdiashvili@gtu.ge

George Tsaava - PhD in Economics, Professor, Georgian Technical University
g.tsaava@gtu.ge

Rati Burdiashvili - PhD in Economics, Professor, Georgian Technical University
r.burdiashvili@gtu.ge

რეზიუმე. ფინანსურმა კრიზისმა საკრედიტო პროცესისა და საკრედიტო რისკების მართვის სისტემის ნაკლოვანებების თვალსაჩინო დემონსტრირება მოახდინა, რამაც პრობლემური აქტივებისა დიდი რაოდენობის წარმოქმნამდე და ბანკების საკრედიტო პორტფელში ვადაგადაცილებული დავალიანების მაღალ წილამდე მიგვიყვანა. სწორედ ამიტომ თანამედროვე პირობებში ბანკების უმეტესობა საკრედიტო პროცესის მართვისადმი ყველა ეტაპზე თავიანთი მიდგომების გადახედვას ახორციელებენ. საკრედიტო პროცესის ოპტიმიზაცია - ხარისხობრივი საკრედიტო პორტფელის ფორმირების გირაოა. მაგრამ, სამწუხაროდ, საბანკო სისტემაში რისკების მართვის სისტემაში ნაკლოვანებები ბევრად უფრო ძლიერადაა გამოხატული. იმის გათვალისწინებით, რომ რისკ-მენეჯერების უმეტესობას ვეტოს უფლება მიაკუთვნეს, შეიძლება გაკეთებული იქნეს შემდეგი დასკვნა: მანამ, სანამ ბანკებს საკრედიტო რისკის ანალიზის ადეკვატური მეთოდები არ ექნებათ შემუშავებული, გადაწყვეტილებები შემდგომშიც სუბიექტივიზმის მაღალი წილით მიიღებოდეს იქნება. საჭიროა საკრედიტო რისკის ხარისხის მფასებისას რისკ-მენეჯერის სუბიექტური მოსაზრების ზემოქმედება მაქსიმალურად იქნეს გამორიცხული, და საკრედიტო რისკის ხარისხის განსაზღვრა უფრო მიზანშეწონილია კონკრეტული რაოდენობრივი და (ან) ხარისხობრივი მაჩვენებლების მეშვეობით იქნეს განხორციელებული.

საკვანძო სიტყვები: საკრედიტო რისკი, ფინანსური მდგომარეობა, რისკების მენეჯმენტი, საკრედიტო პორტფელი, ფინანსური კრიზისი.

Abstract

The financial crisis has demonstrated the shortcomings of the credit process and the credit risk management system, leading to the emergence of large amounts of troubled assets and a high share of overdue debt in banks' loan portfolios. That is why in modern conditions most banks are reviewing their approaches to managing the credit process at all stages. Credit process optimization is the guarantee of a quality loan portfolio. But, unfortunately, the shortcomings in the risk management system in the banking system are much more pronounced. Given that most risk managers have been given the right to veto, the following conclusion can be made: Until banks have developed adequate methods of credit risk analysis, decisions will continue to be made with a high degree of subjectivity. It is necessary to exclude the impact of the risk manager's subjective opinion when assessing the quality of credit risk, and it is more appropriate to determine the quality of credit risk through specific quantitative and (or) qualitative indicators.

Keywords: Credit risk, Financial condition, Risk management, Credit portfolio, Financial crisis.

2008-2009 წლების ფინანსურმა კრიზისმა საკრედიტო პროცესისა და საკრედიტო რისკების მართვის სისტემის ნაკლოვანებების თვალსაჩინო დემონსტრირება მოახდინა, რომლებმაც პრობლემური დავალიანებების წარმოქმნამდე მიგვიყვანეს. დაგვრჩა მიღებული მწარე გამოცდილება გაგაანალიზოთ და სწირი გაკვეთილები გამოვიტანოთ, რომლებიც მომავალში შესაძლო პრობლემების თავიდან აცილებაში დაგვეხმარება.

➤ **შედეგები, რომლების არ უნდა განმეორდეს:**

ვადაგადაცილებული დავალიანების წარმოქმნის მიზეზები:

ეკონომიკაში ნეგატიურმა პროცესებმა ყველა დარგში მოთხოვნის დაცემა გამოიწვია და ვადაგადაცილებული დავალიანების მოცულობების ზრდის პირველმიზეზად მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეროვნული ცენტრალური ბანკის მონაცემების მიხედვით 2009 წელს ვადაგადაცილება შედარებით დიდი არ იყო, პრობლემის რეალური მასშტაბები ოფიციალურ სტატისტიკას აჭარბებენ. არსებული პრობლემები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნას გადაჭრილი, ხოლო მათი სამომავლოდ არ დაშვების მიზნით საკრედიტო რისკების სფასების ხარისხისადმი მიდგომა უნდა იქნას გადახედილი.

ბანკების უმეტესობისათვის დამახასიათებელია საკრედიტო რისკების ანალიზისა და შეფასების ხარისხის არასაკმარისი დონე შემდეგი მიზეზების მიხედვით: საკრედიტო რისკის ანალიზის სფეროში მეთოდური და პრაქტიკული გამოცდილების არასაკმარისობა; ბაზელის შეთანხმებით რეკონენდირებული რისკების შეფასებისადმი სრულყოფილი მიდგომების დამუშავებაში ბანკების უინიციატივობა; რისკის კონკრეტული დონის თანხობრივ ან პროცენტულ გამოსახულებაში განმსაზღვრელი საკრედიტო რისკის ანალიზის მეთოდიკების არარსებობა, მათემატიკური მოდელების გამოკლებით; რისკების ანალიზისას, რისკ-მენეჯერის სუბიექტური მოსაზრების მაღალი ზეგავლენა, მისი შეფასებისადმი ერთიანი მიდგომის არარსებობის გამო; რისკების კონტროლისა და შემცირების ანალიზის მკაფიოდ მარეგლამენტირებელი წესისა და მეთოდიკების შიდა ნორმატიული დოკუმენტების არარსებობა; რისკების ანალიზის ახალი აპრობირებული მეთოდიკების არარსებობა; ბანკების მიერ საკრედიტო რისკის შეფასებისათვის გამოყენებადი მეთოდიკის ადეკვატურობის ანალიზის არარსებობა; რისკ-მენეჯერების დაბალი კვალიფიკაცია.

ტიპიური შეცდომები:

შეიძლება აღინიშნოს პრობლემურ და ვადაგადაცილებულ დავალიანებასთან მუშობის პროცესში გამოვლენილი შემდეგი ძირითადი შეცდომები:

- კრედიტების მიწოდება ბანკის მიერ ნეგატიური სცენარის - კლიენტის დეფლოტის რეალიზაციის შეფასების გარეშე;
- დაფარვის წყაროების არასაკმარისი ანალიზი;
- ბანკის სუსტი საგირავნო პოზიცია;
- მსესხებლის მიერ საკრედიტო დოკუმენტაციის პირობების დაცვაზე არასაკმარისი კონტროლი;
- მსესხებლის ფაქტიურ საქმიანობაზე კონტროლის არარსებობა.

უფრო დეტალურად განვიხილოთ ყველა აღნიშნული შეცდომები:

1. კრედიტების მიწოდება ბანკის მიერ ნეგატიური სცენარის - კლიენტის დეფლოტის რეალიზაციის შეფასების გარეშე:

- კლიენტის ფინანსური მდგომარეობის სტრეს-ანალიზის არარსებობა:

მსესხებლის საქმიანობის ამა თუ იმ ნეგატიური ფაქტორებისადმი „მგრძობიარებოს ანალიზის“, სხვა სიტყვებით, მსესხებლის ბიზნესის განვითარების პესიმისტური სცენარის ანალიზის ჩაუტარებლობა (დაკრედიტების პერიოდის განმავლობაში მსესხებლის ძირითადი

საქმიანობიდან შემოსავლიანობის ცვლილება წარმოების ფასისა და მოცულობების შემცირების, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის ყველაზე უფრო მიდრეკილების რისკის გარკვეული ფაქტორების ცვლილების შედეგად).

- **კლიენტის ბიზნესის განვითარების ტენდენციების ანალიზის არარსებობა:**

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასებისას ბიზნესის განვითარების უკვე არსებული ნეგატიური ტენდენციების მხედველობაში მიუღებულობა, ისტორიული მოდელირების გამოუყენებულობა.

- **კლიენტებისადმი მეტად ლოიალური დამოკიდებულება:**

საბანკო ბაზარზე მაღალი კონკურენციის შედეგად კლიენტებისადმი მაქსიმალურად ლოიალური დამოკიდებულების გამომჟღავნება, რის შედეგად შეიძლება დაშვებული იქნას შემდეგი შეცდომები:

- უზრუნველყოფის სახით დაბალლიკვიდური გირაოს მიღება და გირაოს გერეშე სესხის გაცემა, მათ შორის ორგანიზაციის ბიზნესის განვითარების ნეგატიური ტენდენციარის არსებობისას;

- საკრედიტო რისკების ბოლომდე შეუფასებლობა;

- საკრედიტო პროდუქტის არასწორი სტრუქტურირება (მსესხებლის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების არაადრეკვატური ანალიზი)

- საკრედიტო დოკუმენტაციის არახარისხობრივად მომზადება, რაც შეიძლება სიჩქარით და კლიენტის მხრიდან სხვა ბანკში გადასვლის შანტაჟით იყოს გამოწვეული (კერძოდ, სამართლებლივ რისკებთან მიმართებაში არასაკმარისი ანალიზის ჩატარება, საკრედიტო დოკუმენტაციაში გარკვეული პირობების დადგომისას, საპროცენტო განაკვეთის გადიდების ან საჯარიმო სანქციების განხორციელების შესახებ პირობების გაუთვალისწინებლობა და ა.შ.).

- **კლიენტის შესაძლებლობების გადაფასება:**

მსხვილ და ცნობილ მსესხებლებზე მეტი უპირატესობის მინიჭებისა და ლოიალობის გამოვლენის „პირობებში“, საკრედიტო რისკი შიძლება „ბოლომდე შეუფასებელი“ დარჩეს, რადგანაც, იმის საშიშროებაც არსებობს, რომ ასეთ კლიენტთან მუშაობის შეწყვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ცნობილი სახელის მქონე მსხვილმა მსესხებელმა შეიძლება სხვა ბანკში გადასვლილ შანტაჟის საბაზი გამოიყენოს.

2. **დაფარვის წყაროების არასაკმარისი ანალიზი:**

დაფარვის წყაროების ანალიზისას, მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე თავისი ვალდებულებების თავისდროულად შესრულებისათვის, ფულადი ნაკადების პროგნოზის ანალიზისადმი, მისი სისრულის, დამუშევადობისა და უტყუარობის, ასევე მისი საკმარისობისა და დასაბუთებულობის შეფასებისადმი არასაკმარისი ყურადღების გამახვილება და რიგი ფაქტორების გაუთვალისწინებლობა, როგორებიცაა:

- მსესხებლის საქმიანობაში სეზონურობისა და სპეციფიკის არსებობა;
- ძირითადი მყიდველების/შემკვეთების გადახდისუნარიანობა და საქმიანი რეპუტაცია, ასევე ბანკში წარმოდგენილი ხელშეკრულებების უტყუარობა;
- გარიგების ერთჯერადობა (დაკრედიტების პერიოდში დაგეგმილი ამონაგების გაანგარიშებაში ერთჯერადი გარიგებების მიხედვით მონაცემების მიღება);
- ფულადი სახსრების მოძრაობისა და შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზის შედგენის სისწორე და ადეკვატურობა;
- პროდუქციის მიწოდება/რეალიზაციის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ნაკადებისა და გაანგარიშებების არსებობა.

3. ბანკის სუსტი საგირავნო პოზიცია:

საგირავნო უზრუნველყოფადობის არასაკმარისობა:

- საერთო საგირავნო მასაში „მყარი“ (უძრავი ქონებისა და მოწყობილობის) გირაოს დაბალი წილი;
- კონტროლის არარსებობის მიზეზით გირაოს დაკარგვა (მონიტორინგი ფორმალურად და არახარისხობრივად ჩატარება - გირაოს არაიდენტიფიცირება), პირველადი დოკუმენტების გაყალბება, ორმაგი გირაოს არსებობა.

უზრუნველყოფის საბაზრო და საგირავნო ღირებულების არაადეკვატური შეფასება:

- შემფასებელი კომპანიის მიერ გირაოს საბაზრო ღირებულების გაზრდა;
- ბანკის საგირავნო სამსახურის მიერ გირაოს საგნის არაპროფესიონალური შეფასება;
- საბაზრო სიტუაციების, ასევე მათი კონტროლის ადეკვატური დისკონტის განმსაზღვრელი მოდელების არარსებობა;
- გირაოს საგნის არათავისდროული გადაფასება და დაზღვევა;

- ბანკების მიერ გირაოს ობიექტის საბაზრო ღირებულების მიზანმიმართული გადიდება სესხების შესაძლო დანაკარგებზე რეზერვის შემცირების მიზნით.

მაღალი იურიდიული (სამართლებრივი) რისკები:

- არახარისხიანი იურიდიული ექსპერტიზა;
- გირაოზე სამართალდამდგენი დოკუმენტების ფალსიფიცირება.

4. მსესხებლის მიერ საკრედიტო დოკუმენტაციის პირობების დაცვაზე არასაკმარისი კონტროლი:

ხარისხობრივი ანალიზის ჩაუტარებლობა იმისა, თუ კლიენტმა საკრედიტო რესურსები ფაქტიურად რა მიზნებზე გამოიყენა, მათ შორის სხვა ბანკების მიერ მიწოდებულები, რის შედეგად თავისდროულად არ იქნა გამოვლენილი:

- ფარული დანაკარგების ეფექტი; საინვესტიციო მიზნებზე ბიზნესიდან ფულის განყენების სქემები - აფფილირებული კომპანიების მიმდინარე საქმიანობის მხარდაჭერაზე, ასევე თაღლითური ოპერაციების განხორციელებაზე.

მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტრილი, როგორებიცაა:

- თავისდროულად ხელმოწერილი შეთანხმებები სხვა ბანკებში ანგარიშსწორების ანგარიშებიდან სახსრების უაქცეპტოდ ჩამოწერაზე;
- თავისდროულად გამოვლენილი მიზეზები ბრუნვების მხარდაჭერაშთან მიმართებაში პირობების შეუსრულებლობისას;
- ბიზნესის მესაკუთრებთან თავდებობების ხელშეკრულების გაფორმება;
- მსესხებლის მიერ სავალო დატვირთვის დადგენილი ნორმის გადამეტებაზე მიზეზების გაანალიზება და სანქციების გამოყენება;
- მსესხებლის მიერ საკრედიტო დოკუმენტაციის პირობების დარღვევების თავისდროულად გამოვლენა.

5. მსესხებლის ფაქტიურ საქმიანობაზე კონტროლის არარსებობა:

დროის დეფიციტისა და ახალ გაცემებზე კონცენტრაციის გამო, ფინანსური შედეგებოს მიღწევისათვის (არავისთვის არ არის საიდუმლო - მაღალი კონცენტრაციის პირობებში უნდა იქნეს შესრულებული გეგმა და საკრედიტო პორტფელი გაზრდილი), ცენტრალური ბანკის ნორმატივების შესრულების მიზნებისათვის ანალიზი ფორმალურად რეზერვების

ფორმირების ნაწილში. და არა ადრეულ სტადიაზე პრობლემური დავალიანების გამოსავლენად ხორციელდება. კერძოდ:

- კლიენტზე გასვლა იშვიათად, როგორც წესი, საჭიროების მიხედვით ხორციელდება;

- არ ხორციელდება მსესხებლის მმართველობითი ანგარიშგების ანალიზი;

- თითქმის არ არსებობს კონტროლი საქმიანობის სხვა კომპანიაზე გადაცემაზე, მსესხებელის ადგილმდებარეობისა და მისი საწარმოო/სავაჭრო ფართების ცვლილებებზე ან საქმიანობის შეჩერების ფაქტებზე.

პროდუქტის არასწორი სტრუქტურირება - მსესხებლის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების არახარისხობრივი ანალიზი:

- კრედიტის მიზნების მის სტრუქტურასთან შეუსაბამობა;

- კრედიტის თანხისა და ვადების ადეკვატურობის არაკორექტულად შეფასება;

- კლიენტისათვის შეთავაზებული ვარიანტი კლიენტის შესაძლებლობებს არ შეესაბამება.

➤ **რისკების მართვის სისტემის ოპტიმიზაციასთან მიმართებაში წინადადებები:**

საკრედიტო პროცესის ოპტიმიზაცია:

- გარიგების სტრუქტურირება მსესხებლის მოთხოვნილებებიდან და შესაძლებლობებიან გამომდინარე უნდა ხორციელდებოდეს;

- ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე დაკრედიტების ლიმიტების გაანგარიშების მეთოდის შემუშავება;

- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრა მისი ბიზნესის განვითარების ტენდენციის გათვალისწინებით განსაზღვრა.

საკრედიტო რისკების მართვის სისტემის სრულყოფა:

- რისკის ანალიზის წესის დამტკიცება;

- რისკის შემცირების ხერხების დამუშავება;

- რისკ-მენეჯერების კვალიფიკაციის ამაღლება.

➤ **საკრედიტო პროცესის ოპტიმიზაცია:**

მსესხებლის მოთხოვნილებები:

საჭიროა დაზუსტებული იქნეს, თუ რა კონკრეტულ მიზნებზეა

მოთხოვნილი კრედიტი და რასთან დაკავშირებით წარმოიშვა საკრედიტო

რესურსების მოზიდვაში მოთხოვნილება. თითოეული პროექტისათვის დასაბუთებული უნდა იქნეს:

- საკრედიტო რესურსებში კლიენტის მოთხოვნილების წარმოქმნის მიზეზები;

- დაკრედიტების მიზანი;
- დაკრედიტების თანხა, ვადები და გარიგების სხვა პარამეტრები.

მსესხებლის შესაძლებლობები:

კლიენტის შესაძლებლობების შეფასებისათვის, რომ კრედიტი მოთხოვნილებების შესაბამისად იქნეს მომსახურებული, საჭიროა კრედიტის დაფარვის წყაროების ხარისხობრივი ანალიზი უდა იქნეს ჩატარებული და მსესხებლის რეალური სავალო დატვირთვა იქნას შეფასებული. ასევე საჭიროა ფულადი ნაკადები თავიდანვე ჩამოყალიბებული იქნას ისეთი სახით, რომ კლიენტს შესაძლებლობა ჰქონდეს კრედიტის დაფარვა განახორციელოს:

- საკრედიტო პროდუქტის რესტრუქტურის გარეშე;
- მესამე პირების მხრიდან რეფინანსირებისა გატრეშე;
- საკუთარი მიმდინარე საქმიანობისათვის არსებითი ზიანის გარეშე.

ზემოთმითითებული ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა გაანალიზებული იქნას:

კონკრეტული ბაზა ნაწილში:

- დაკრედიტების პერიოდზე გარდამავალი ნაშთის არსებობა უკვე გადმოტვირთული პროდიქციის/გაწეული მომსახურების გადახდასთან მიმართების;

- კლიენტის სახელშკრულებო ბაზის საერთო მოცულობაში მუდმივი მყიდველების/შემკვეთების წილის;

- ხელმოწერის სტადიაში არსებული ხელსეკრულებების მიხედვით გარიგებების თანხის.

მსესხებლის მიერ წარმოდგენილი ფულადი ნაკადების პროგნოზი, საგანზე:

- საკმარისობას კრედიტის დასაფარავად მოგების არსებობის;
- რეალისტურობას შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით;
- შედარებადობას ფულად ნაკადებთან წინა პერიოდებთან მიმართებაში;

- მგრძობიარობა რისკისადმი და „სიმტკიცის მარაგი“.

საკრედიტო პორტფელი ნაწილში:

- საკმარისობის სუფთა ფულადი ნაკადების/სუფთა მოგების კრედიტების დასაფარავად;
- მსესხებლის მიერ მოქმედი საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების შესასრულებლად;
- გარესაბალანსო ვალდებულებების არსებობის (თავდებობა, ლიზინგი და ა.შ.).

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება:

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის რეიტინგი საჭიროა იქნეს შემცირებული ბიზნესის განვითარების ნეგატიური ტენდენციების არსებობისას და პროექტის გამოვლენილი რისკის ფაქტორებისადმი მაღალი მგრძობიარებისას.

➤ **საკრედიტო რისკის მართვის სისტემის სრულყოფა:**

- შეცდომები გამოვლენილი უნდა იქნეს არა მარტო საკრედიტო ქვედანაყოფის, არამედ როსკების ქვედანაყოფის მიხედვითაც, მათი აღმოფხვრის მიზნით;
- რისკების შეფასებასთან მიმართებაში საკრედიტო რისკის ანალიზის ახალი მეთოდოლოგიების შემუშავებისადმი და ადაპტორებისადმი ბანკის მიერ სპეციალისტების მოტივირება;
- რისკის ხარისხის სესხის სიდიდისაგან პროცენტებში ან სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლის მეშვეობით განსაზღვრა და არა უბრალოს შემდეგი ტერმინოლოგიების შემოღებით: ზომიერი, ამაღლებული, მაღალი, კრიტიკული;
- რისკ-მენეჯერის დასკვნის მოცულობის შეკვეცა აღწერილობითი ნაწილის გამორიცხვის გზით, რომელიც საკრედიტო ქვედანაყოფის დასკვნაში ხშირად მიეთითება;
- რისკების ანალიზის პროცესში საჭიროა მსესხებლის პირველადი დოკუმენტაცია და ეკონომიკურ განყოფილებასთან და (ან) ბუღალტერიასთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობის გამოყენება საჭირო, რომ „გაფუჭებული ტელეფონის“ ფაქტორის იქნეს გამორიცხული;
- საკრედიტო რისკზე კონტროლის გამკაცრება.

რისკ-მენეჯერების ხარისხის ამაღლება:

საჭიროა მუდმივობის საფუძველზე:

- რისკ-მენეჯერების ატესტაციის ჩატარება ცოდნაზე და ბანკის ნორმატიული ბაზის დებულებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის სწორად გამოყენებაზე;
- რისკ-მენეჯერების სტიმულირება პროფესიულ კონფერენციებში და სემინარებში აქტიური მონაწილეობისათვის;
- რისკ-მენეჯერების მოტივირება რისკის ანალიზის მიმართებაში ახალი მეთოდის შემუშავებასთან და აპრობაციასთან, ასევე საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ. – კორპორაციული ფინანსები სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016.
2. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიეშვილი ვ. - ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა: „დანი“, 2017.
3. Альгин А.П. – Риски и его роль в общественной жизни. – москва. «Мысль», 1989.
4. Буянов В.П. – Рискология – управление рисками. – Москва, Экзамен, 2002.
5. Банковская система России - Настоящая книга банкира: Кредитный процесс коммерческого банка//Ред. кор. А.Г. Грязнова и др. Москва: ТОО ~Дека~, 1995
6. Бор М.З. - Менеджмент банков: Организация, стратегия, планирование, Москва: ИНЦ ~ДИС~, 1997.
7. Ролдугин В.И. - Управление корпорацией - Рига: БРИ, 2005. _ 130 с.

საკრედიტო რისკების შეფასების მსოფლიოში ცნობილი მეთოდები და მათი მინიმიზაციის ხერხები

Credit risk assessment world renowned Methods and ways to minimize them

გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ე.მ.დ., G.Tsaava@gtu.ge

ვალერი მოსიაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ე.ა.დ., V.Mosiashvili@gtu.ge

გრიგოლ ნემსაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი, Gr.Nemsadze@gtu.ge

George Tsaava - PhD in Economics, Professor, Georgian Technical University G.Tsaava@gtu.ge

Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor Georgian National University, Seu vmosiashvili@seu.edu.ge

Grigol Nemsadze – Doctoral student GTU, Gr.Nemsadze@gtu.ge

რეზიუმე. წინამდებარე სტატიაში განხილულია მსოფლიო საბანკო-საკრედიტო სფეროში, თეორიასა და პრაქტიკაში აპრობირებული და ფართოდ გავრცელებული საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდები, როგორებიცაა - ფინანსური ორგანიზაციის საოპერაციო რისკების შეფასების საბაზო მეთოდი - Operational Risk Capital (ORC), საოპერაციო რისკის შეფასების სტანდარტიზირებული მეთოდი TSA, რისკების შეფასების მეთოდი VaR, რისკების შეფასების მეთოდი Shortfall. როგორც საუკეთესო პრაქტიკით დადასტურდა აღნიშნული მეთოდები მართალია იძლევიან საბანკო სფეროში საკრედიტო რისკების იდენტიფიკაციის, პრევენციული ღონისძიებების გატარების და მინიმიზაციის საშუალებას, მაგრამ საჭიროებენ შემდგომ განახლებას და სრულყოფას.

სწორედ საბანკო-საკრედიტო სფეროს ადექვატური, ახალი გამოწვევების შესატყვისად მოდიფიცირებული და დახვეწილი საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდებია განხილული ჩვენს სტატიაში, სადაც გათვალისწინებულია უკვე არსებული რისკების შეფასების მეთოდების ნაკლოვებებები/ხარვეზები და მოცემულია ავტორისეული ხედვები/პოზიცია მათი სრულყოფის მიმართულებით.

მოცემულია საკრედიტო რისკის შეფასების Application-სკორინგის მეთოდის, ახალი ავტორისეული ვარიანტი საქართველოს საბანკო სფეროში, კერძოდ პოტენციური მსესხებელის კანონსაწინააღმდეგო ქმედებისკენ მიდრეკილების Fraud-სკორინგის შეფასების სისტემა, Behavioral-სკორინგი -

შემოწმების ტიპი, რომელიც სამომავლოდ კლიენტის გადახდისუნარიანობის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა, ამასთანავე ანალიზის მოცემული სისტემა შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილი იქნას ზოგიერთი „ქცევითი“ ფაქტორები, როგორებიცაა: როგორ გამოიყენებს კლიენტი კრედიტს, შემოიტანს თუ არა იგი გადასახადებს შესაბამისი ოდენობით და დადგენილ ვადებში, გამოიყენებს ლიმიტს საკრედიტო ბარათის მიხედვით მაშინათვე თუ ფულს ნაწილებად გამოიყენებს და მრავალი სხვა. ასევე განვიხილეთ - მსესხებლის ერთ-ერთი, „ყველაზე არასასიამოვნო შემოწმების სახეობა“ - Collection-სკორინგი, რომელიც ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე კლიენტებთან მუშაობის მიმართებაში ღონისძიებების შემუშავებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდების თეორიული მხარის უკეთ გაგებისათვის, მოცემულია სკორინგული მეთოდის მათემატიკური მოდელირება, და მათი საშუალებით განხილულია ისეთი ცნობილი მკვლევარების პრაქტიკული მაგალითები, როგორებიცაა ე. ალტმანი და რ. ტაფლერი.

საკვანძო სიტყვები: ლიკვიდობა, საბანკო რისკი, რისკების მართვა, საკრედიტო რისკი, ფინანსური რისკი., საოპერაციო რისკი.

Abstract. This article reviews the most widely used credit risk assessment methods in the world banking, theory and practice, such as - Operational Risk Capital (ORC), Standard Operating Risk Assessment Method, TSA, Risk Assessment Method Shortfall. As proven by best practice, these methods do provide an opportunity to identify and minimize credit risks in the banking sector, but require further updating and refinement.

This article reviews adequate, modified and sophisticated credit risk assessment methods for the banking sector, where the shortcomings of existing risk assessment methods are considered and the author's views / position on their improvement are given.

There is given the Application-Scoring Method of Credit Risk Assessment, a new authorial version of the Georgian banking sector, in particular the Fraud-Scoring System for Potential Borrowers' Behavior, Behavioral-Scoring - a type of examination that allows to predict the client's solvency, the mentioned system also allows to reveal some "behavioral" factors, such as how a client will use credit,

whether he or she will pay taxes in the appropriate amount and within the set timeframe, use the credit card limit as soon as he or she uses the money in installments, and much more. We also discussed - one of the "most inconvenient types of borrowing" of the borrower - Collection-scoring, which is quite important for the development of arrangements for working with overdue clients.

Theoretical modelling of the scoring method is given for a better understanding of the theoretical side of credit risk assessment methods, and through them the examples of such well-known researchers as e.g. E.Altman and R.Taffler.

Keywords: Liquidity, Banking risk, Risk management, Credit risk, Financial risk., Operational risk.

I. საოპერაციო, ლიკვიდობის და საბაზრო ფინანსური რისკების

შეფასების მეთოდები და მოდელები სხვადასხვა სფეროებში

რისკების შეფასება, მიმართულებიდან დამოუკიდებლად, თავისთავში ყველა ასპექტებს მოიცავს. გაიანგარიშება თუნდაც ის ვარიანტები, რომელთა ალბათობა თეორიულად ნაკლებად არის მოსალოდნელი. ბიზნესში მიღებულია ჩაითვალოს, რომ ხარისხობრივი ანალიზი შედგება - რისკის მიზეზის აღმოჩენისაგან, მისი წყაროებისა და შემდგომი ეტაპების ან სამუშაოების გამოვლენისაგან, რომლებმაც შეიძლება იგი შეამციროს ან საერთოდ ნულამდე დაიყვანოს.

ადრეულ ეტაპზე რისკის შეფასება ნებისმიერი მეწარმისათვის ან ინვესტორისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება. გამოცდილი ბიზნესმენები დაეჭვების გარეშე იტყვიან, რომ სწორედ აღნიშნული მაჩვენებელი გამოხატავს, თუ მათი პროექტი რამდენად აღმოჩნდება წარმატებული.

დღეს არსებობს მრავალი მეთოდოლოგია, საშუალება და მიდგომა აღნიშნული ფაქტორის შესასწავლად, მაგრამ საბაზო ნაწილი პრაქტიკულად შეუცვლელი რჩება და შედგება შემდეგი ნაბიჯებისაგან:

- რისკის შესაძლო ზონის გამოვლენა;
- რისკის აღმოჩენა და შეფასება, რომელიც ფორმის შემდგომ საქმიანობასთან არის დაკავშირებული;
- ნეგატიური შედეგების გაანგარიშება;
- სარგებლის ასახვა რისკისა და მისი შედეგების აღმოფხვრისას.

რისკის რაოდენობრივი შეფასება ყველა ჩამოთვლილ ეტაპებზე არსებობს. გაანგარიშება შემდგომი რიცხობრივი გამოსახვით არა მარტო რომელიღაც ერთი გარემოების წარმოქმნის ალბათობის პროცენტულ

თანაფარდობაში დანახვის, არამედ მთლიანობაში სურათის გაშლის შესაძლებლობას იძლევა. ანალიზის დაჯამების შემდეგ ხორციელდება რისკის ხარისხის შეფასება, რაც დამასრულებელ ეტაპს წარმოადგენს და მთლიანად პროექტის ან მიღებადი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის განსაზღვრის შესაზღებლობას იძლევა.

რისკის შეფასება მთლიანად იყოფა სამ ძირითად სკოლად²⁰:

- სტატისტიკური მეთოდები;
- ანალიტიკური;
- ექსპერტული შეფასებების მეთოდი.

თითოეულ მათგანს მრავალი თავისი მიმართულებები, ტექნოლოგიები და მიდგომები გააჩნია. ღირს აღინიშნოს, რომ თითოეული რისკის მითითებული მეთოდების მეშვეობით შეფასებას თავისი სპეციფიკა და, შესაბამისად, საბოლოო შედეგები აქვს. ერთი სახეობა - მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროგნოზირებაზე, სხვები - ფირმის მიერ ფასიანი ქაღალდების შექმნისას რისკის ხარისხის გამოვლენაზე და ა.შ. არის მიმართული.

მხოლოდ მიზნისა და ამოცანის კონკრეტულად დასმა რომელიღაც ერთი მეთოდის არჩევის ან მთელი რიგი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა. დღეს ბაზარზე მოცემული მიმართულების მრავალი ექსპერტული ფირმები არსებობენ, რომლებიც სხვადასხვა ფასობრივ კატეგორიებში თავიანთ მომსახურებას თავაზობენ.

იმისათვის, რომ რისკები გაიმართოს საჭიროა ისინი შეფასებული (გაზომილი) იქნეს. განვიხილოთ საწარმოს ფინანსური რისკების შეფასების მეთოდების კლასიფიკაცია, გამოვავლინოთ მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები, რომლებიც ცხრილურად ქვემოთ არის წარმოდგენილი (იხ. ცხრ 1.1.). ყველა მეთოდი შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად.

ცხრილი 1.1. საწარმოს ფინანსური რისკების შეფასების მეთოდების კლასიფიკაციის ორ დიდ ჯგუფად დაყოფა

	უპირატესობები	ნაკლოვანებები
	ფინანსური რისკების შეფასების ობიექტურობა,	საწარმოს ხარისხობრივი ფინანსური რისკების

²⁰ გ. ცაავა და სხვა. „რიკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი“, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2020. გვ.: 218.

რაოდენობრივი მეთოდები	ამა თუ იმ რისკის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ცვლილებების მოდელის შექმნა.	რიცხობრივი ფორმალიზაციის სირთულე.
ხარისხობრივი მეთოდები	ხარისხობრივი რისკების შეფასების შესაძლებლობა.	საწარმოს რისკების ფინანსური შეფასების სუბიექტურობა, ექსპერტული შეფასებების შედეგი.

ამრიგად, განვიხილოთ უფრო დეტალურად ფინანსური რისკების შეფასების რაოდენობრივი მეთოდები:

საოპერაციო რისკის შეფასების მეთოდები. ფინანსური რისკის ერთ-ერთ სახეობას **საოპერაციო რისკები** წარმოადგენენ. განვიხილოთ საოპერაციო რისკების შეფასების მეთოდი საბანკო სექტორის კომპანიისათვის. ფინანსური ორგანიზაციის საოპერაციო რისკების შეფასების საბაზო მეთოდის მიხედვით (Operational Risk Capital, ORC) გაიანგარიშება რეზერვი, რომელიც მოცემული რისკის გადასაფარავად ყოველწლიურად უნდა იქნეს გამოყოფილი. ასე, მაგალითად, საბანკო სექტორში 15% ტოლი რისკი აიღება, ანუ ბანკებმა ყოველ წელს ბოლო სამი წლის განმავლობაში საშუალო წლიური მთლიანი შემოსავლიდან 15% დარეზერვება უნდა განახორციელონ.

ბანკისათვის საოპერაციო რისკის გაანგარიშების ფორმულას შემდეგი სახე ექნება:

$$ORC = \alpha \times GL,$$

სადაც: ORC - არის საოპერაციო რისკი;

α - არის კოეფიციენტი, დადგენილი ბაზელის კომიტეტის მიერ;

GL - არის საშუალო მთლიანი შემოსავალი ბანკის საქმიანობის

თითოეული სახეობის მიხედვით.

ა) საოპერაციო რისკის შფასების სტანდარტიზირებული მეთოდიკა TSA:

BIA მეთოდის გართულებას წარმოადგენს **TSA** მეთოდი, რომელიც ბანკი საქმიანობის სხვადასხვა ფუნქციონალურ მიმართულებებში წარმოქმნადი საოპერაციო რისკების მიხედვით ანარიცხებს გაიანგარიშებს. საოპერაციო რისკების შეფასებისათვის საჭიროა გამოიყოს მიმართულებები,

სადაც ისინი შეიძლება წარმოიქმნან, და ფინანსურ საქმიანობაზე ზემოქმედებების როგორი ხასიათი ექნებათ. განვიხილოთ ბანკის საოპერაციო რისკების შეფასებს მაგალითი (იხ. ცხრ. 1.2.).

შედეგად ჯამური ანარიცხების თანხა ტოლი იქნება ბანკის თითოეული გამოყოფილი ფუნქციის მიხედვით ანარიცხების ნაერთი ჯამისა:

$$ORC = \sum \alpha_i GL_i$$

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, საოპერაციო რისკები განიხილება საბანკო სექტორის კომპანიებისათვის, და არა სამრეწველო ან სამეწარმეო კომპანიებისათვის. საქმე იმასია, რომ საოპერაციო რისკების უმეტესობა ადამიანური შეცდომების შედეგად წარმოიქმნება.

ცხრილი 1.2. ბანკი საოპერაციო რისკის ფუნქციონალური საქმიანობის მიხედვით შეფასების მაგალითი

ბანკის ფუნქციონალური საქმიანობა	ანარიცხის კოეფიციენტი
1. კორპორაციული ფინანსები (კაპიტალის ბაზარზე საბანკო მომსახურების განხორციელება კლიენტებზე, სახ. ორგანოებზე, საწარმოებზე)	18%
2. ვაჭრობა და გაყიდვა (გარიგებები საფონდო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების შეძენა-გაყიდვა)	18%
3. ფიზიკური პირების საბანკო მომსახურება (ფიზიკური პირების მომსახურება, სესხების და კრედიტების მიწოდება, კონსულტირება და ა.შ.)	12%
4. იურიდიული პირების საბანკო მომსახურება	15%
5. გადახდები და გადარიცხვები (ანგარიშსწორებების განხორციელება ანგარიშების მიხედვით)	18%
6. აგენტურული მომსახურებები	15%
7. აქტივების მართვა (მართვის განხორციელება ფასიანი ქაღალდებით, ფულადი სახსრებით და უძრავი ქონებით)	12%
8. საბროკერო საქმიანობა	12%

ლიკვიდობის რისკის შეფასების მეთოდიკა. ფინანსური რისკის შემდეგი სახეობა - ლიკვიდობის დაკარგვის რისკია, რომელიც საწარმოს/კომპანიის მიერ კრედიტორებისა და მსესხებლების წინაშე თავისი ვალდებულებების დროულად დაფარვის შეუძლებლობას გვიჩვენებს. მოცემულ უნარს ასევე საწარმოს გადახდისუნარიანობას უწოდებენ. კრედიტუნარიანობისაგან განსხვავებით გადახდისუნარიანობა ვალის არა მარტო ფულადი სახსრებისა და სწრაფად ლიკვიდური აქტივების ხარჯზე, არამედ ასევე საშუალოლიკვიდური და მცირელიკვიდური აქტივების ხარჯზეც დაფარვის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ლიკვიდობის რისკის შეფასებისათვის საჭიროა საწარმოს ლიკვიდობის კოეფიციენტები: მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი და მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი იქნას შფასებული და საბაზო ნორმატივებთან შედარებული (იხ. ცხრ 1.3).

ლიკვიდობის სხვადასხვა კოეფიციენტების ანალიზი გვიჩვენებს საწარმოს შესაძლებლობას თავისი ვალდებულებები შემდეგი სამი სხვადასხვა სახეების აქტივის: სწრაფადლიკვიდური, საშუალოლიკვიდური და მცირელიკვიდური აქტივების მეშვეობით დაფაროს (იხ. ცხრ. 1.3.).

ცხრილი 1.3. საწარმოს ლიკვიდობის კოეფიციენტების გაანგარიშების ფორმულები

კოეფიციენტები	გაანგარიშების ფორმულა	ნორმატივი
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	საბრუნავი აქტივები /მიმდინარე ვალდებულებები	>2
აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი	ფულადი სახსრები + მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები/მოკლევადიანი ვალდებულებები	. 0,2
მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები - მარაგები/მიმდინარე ვალდებულებები	0,7 – 1,0

საბაზრო რისკის შეფასების მეთოდიკა - VAR. ფინანსური რისკის შემდეგი სახეობა - საბაზრო რისკია, რომელიც თავისთავად სხვადასხვა გარე ფაქტორების (დარგობრივების, მაკროეკონომიკურების და მიკროეკონომიკურების) ცვლილების შედეგად, საწარმო /კომპანიის აქტივების ღირებულების ნეგატიურ ცვლილებას წარმოადგენს. საბაზრო რისკის რაოდენობრივი შეფასებისათვის შეიძლება გამოიყოს შემდეგი მეთოდები:

- მეთოდი VAR (Value at Risk);
- მეთოდი Shortfall (Shortfall at Risk).

ა) რისკების შეფასების მეთოდი VAR:

საბაზრო რისკის შეფასებისათვის გამოიყენება მეთოდი VAR (Value at Risk), რომელიც საფონდო ბაზარზე კომპანიის ღირებულების ნეგატიურად ცვლილების შემთხვევაში, დანაკარგების ალბათობისა და სიდიდის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. გაანგარიშების ფორმულა შემდეგია:

$$VAR - V \times y \times \sigma$$

სადაც: V – არის კომპანიის / საწარმოს აქციების მიმდინარე ღირებულება;

Y – არის კვანტილი კომპანიის / საწარმოს აქციის შემოსავლიანობის ნორმალური განაწილების;

σ - არის კომპანიის / საწარმოს აქციების შემოსავლიანობის ცვლილება, რისკის ფაქტორს გამოხატავს.

ბ) რისკების შეფასების მეთოდი Shortfall:

საბაზრო რისკების შეფასების მეთოდი Shortfall (ანალოგი: Expected Shortfall, VaR Average value at risk, Conditional VaR) უფრო კონსერვატიულია, ვიდრე მეთოდი VAR. რისკის შეფასების ფორმულა შემდეგია:

$$Shortfall\alpha = E (X \text{ v } X > VAR\alpha(X)),$$

სადაც: α - არი რისკის შერჩეული დონე. მაგალითად, აღნიშნული შეიძლება იყოს მნიშვნელობა 0,99; 0,95.

მეთოდი Shortfall აქციების შემოსავლიანობის განაწილებაში „მძიმე კუდების“ უკეთესად მოგერიების შესაძლებლობას იძლევა.

საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდები და მინიმუმაციის ხერხები.

პირველ რიგში საკრედიტო რისკების მატარებლებად გამოდიან შემდეგი ტიპის გარიგებები:

- პირდაპირი და არაპირდაპირი დაკრედიტება;
- აქტივების ყიდვა და გაყიდვა კონტრაგენტის მხრიდან წინასწარი გადახდის გარეშე;

- გარიგებები მესამე პირების მხრიდან ანგარიშსწორებების გარანტიის გარეშე.

საკრედიტო რისკები თავისთავში დებიტორის მდგომარეობის გაუარესების ალბათობას მოიცავს. ამასთან საუბარი მიდის არა მარტო ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

არა ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოაგენენ: კომპანიის პოზიციის შემცირება რეგიონში, დარგების არამოთხოვნადობა, საქმიანი რეპუტაციის გაუარესება და ა.შ. ანუ ყოველივე ის, რაც შეიძლება ადამიანს სახსრების გადახდაში შეუქმნას პრობლემა. მაგრამ ვალის დაბრუნების შეუძლებლობა - არა ერთადერთი დანაკარგია, რომელიც შეიძლება დაკარგოს ბანკმა.

საკრედიტო რისკი ასევე შეიძლება იყოს ირიბი (მაგალითად, თუ ზოგიერთი ქმედებების შედეგად ფასიანი ქაღალდების, ემიტენტის თამასუქების ან საკრედიტო რეზერვების მოცულობა გადიდება მოითხოვს). საკრედიტო რისკების განსაზღვრის პროცესში, ყურადღება ერთობლივად ეთმობა რამდენიმე ფაქტორს:²¹

- დეფოლტის რისკს;
- იმის ალბათობას, რომ მსესხებელი გარკვეული დროის შემდეგ გადაუხდელობის მდგომარეობაში აღმოჩნდება;
- საკრედიტო რეიტინგს;
- სვადასხვა ფასიანი ქაღალდების საიმედობის შეფასებას;
- საკრედიტო მიგრაციას;
- დებიტორის, ოპერაციის, კონტრაგენტის, ემიტენტის საკრედიტო რეიტინგის შეცვლის ალბათობას;
- საკრედიტო რისკს ქვემდებარე თანხას;
- დანაკარგების დონეს, რომლებიც შეიძლება დაკარგოს ბანკმა დეფოლტის შემთხვევაში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აბსოლუტურად ნებისმიერი ოპერაცია, რომლის საფუძველს კრედიტორისა და მსესხებელის ურთიერთობებში მხარეების შესვლა წარმოადგენს, სავალო ვალდებულებების წარმოქმნა თავისთავში რისკის გარკვეულ წილს ატარებს.

²¹ ცაავა იბ. სქოლიო 1, გვერდი 231.

არსებობს ცნება ეგრეთ წოდებული „ურისკო ინვესტიციებისა“ - ამ შემთხვევაში საკრედიტო რისკი მინიმალურს წარმოადგენდ და პირობითად ნულის ტოლად მიიღება. მაგრამ თუნდაც ასეთ სიტუაციაში იგი მაინც არსებობს, ამდენად აღნიშნული უნდა იქნას გათვალისწინებული.

აუცილებელია მსესხებელის მიერ წარმოდგენილი საკრედიტო ისტორია, მისი საქმიანობის დარგი და ყველა არსებული ინფორმაცია დეტალურად იქნას შესწავლილი. თვით საკრედიტო რისკების შეფასებას კვალიფიციური სპეციალისტები უნდა ახორციელებდნენ, აღნიშნული ხომ ის სფეროა, სადაც უმნიშვნელოდ მცირე შეცდომამაც კი შეიძლება უდიდეს ზარალამდე მიგვიყვანოს.

საწარმოს საკრედიტო რისკების შეფასების მეთოდები. საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდებს მიაკუთვნებენ რისკის დიაგნოსტიკის შემდეგ ეკონომიკურ მოდელებს და მეთოდებს:

ა) საკრედიტო რისკის შეფასების Application - სკორინგის მეთოდი:

საკრედიტო რისკის შეფასების ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე უფრო გავრცელებულ მეთოდს **Application** - მეთოდი, კლიენტის გადახდისუნარიანობის შემმოწმებელი, შემფასებელი მეთოდი წარმოადგენს. თუ შეფასების აღნიშნული მეთოდის მიხედვით თქვენ ბალების არასაკმარისი რაოდენობა მიიღეთ, მაშინ თქვენთვის სესხის მიღება ძალიან ძნელი იქნება. როგორც ვარიანტი თქვენ შეიძლება დაკრედიტების სხვა ვარიანტები - უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები ან კრედიტის ნაკლები თანხა შემოგთავაზონ.

შეფასების შემდეგი ეტაპია - პოტენციალური მსესხებელის ბოროტმოქმედებისაკენ მიდრეკილების განსაზღვრა. მას **Fraud-სკორინგის** სისტემა აფასებს. აღნიშნული პარამეტრის გაანგარიშებისათვის გამოყენებად კრიტერიუმებს თითოეული ბანკის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. **Behavioral-სკორინგი** - არის შემოწმების ტიპი, რომელიც სამომავლოდ კლიენტის გადახდისუნარიანობის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა. ასევე ანალიზის მოცემული სისტემა შესაძლებლობას იძლევა გამოვლენილი იქნას ზოგიერთი „ქცევითი“ ფაქტორი, როგორებიცაა: როგორ გამოიყენებს კლიენტი კრედიტს, შემოიტანს თუ არა იგი გადასახადებს სრულად და დადგენილ ვადებში, გამოიყენებს ლიმიტს საკრედიტო ბარათის მიხედვით მაშინათვე თუ ფულს ნაწილებად გამოიყენებს და მრავალი სხვა.

არის კიდევ ერთი, ყველაზე არასასიამოვნო შემოწმების სახეობა, - მსესხებელის **Collection - სკორინგი**, რომელიც ვადაგადაცილებული დავალიანების მქონე კლიენტებთან მუშაობის მიმართებაში ღონისძიებების შემუშავებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგი სესხის დაუბრუნებლობის რისკის ადეკვატური შეფასებისათვის და პროფილაქტიკური ზემოქმედების ღონისძიებების თავისდროულად გამოყენებისათვის არის საჭირო.

რამდენადაც საკრედიტო სკორინგს ახორციელებს პროგრამა, ამდენად შეილება მოგვეჩვენოს, რომ სისტემის მოტყუება რთული არ იქნება - საკმარისია მხოლოდ ბანკის თვალსაზრისის მიხედვით „სწორი“ პასუხები იქნას მიცემული. მაგრამ აღნიშნული ასე არ არის, მსგავსი მცდელობა შეიძლება წარმატებულად დასრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პროგრამა აგებული იქნები ისეთი სახით, რომ თქვენს შესახებ ზოგიერთი მონაცემების მაშინათვე გადამოწმება ვერ მოხერხდება.

ასევე **ხორციელდება სკორინგ-შემოწმება** ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობის, ადრე აღებული დაუფარავი კრედიტების არსებობა და სხვა. რა თქმა უნდა, სისტემის მიერ შეფასებადი საკითხების სია სხვადასხვა ბანკებში შეიძლება საკმაოდ ძლიერ განსხვავდებოდეს, მაგრამ აუცილებლად თითოეულ მათგანში თქვენ შეგეკითხებიან კრედიტის უზრუნველყოფის დამატებითი წყაროების შესახებ. ბანკის თანამშრომლებისათვის საინტერესო იქნება, გაქვთ თუ არა ფინანსური სახსრების მიღების დამატებითი წყაროები, წარმოადგენთ თუ არა თქვენ აგარაკის, ავტოფარების, მიწის ნაკვეთის, ავტომობილის მესაკუთრე (თუ კი, მაშინ უშუალოდ რომლის). ასევე ბანკი აუცილებლად დაინტერესდება თუ რისთვის გინდათ თქვენ ფული, მიგიმართავთ თუ არა თქვენ კრედიტთან მიმართებაში ადრე, რამდენად გამართულად ასრულებდით თქვენ საკუთარ ვალდებულებებს თქვენთვის სესხების ადრე გამცემი ორგანიზაციების წინაშე. აღნიშნული კრიტერიებიდან თითოეულზე ასევე დაირიცხება ბალები.

მიუხედავად იმისა რომ **სკორინგული პროგრამა საკმაოდ მაღალტექნოლოგიურია**, მას მაინც გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანებები: ბანკები გაანგარიშებებიშათვის საკმაოდ მაალ შკალას იყენებენ, რომელიც საშუალოსტატისტიკური მსესხებელისათვის მრავალი მაჩვენებლების მიხედვით უბრალოდ მიუღწევადია; სრულიად არ გაითვალისწინება კლიენტის სპეციფიკური მონაცემები, მაგალითად, მცირე ფართობის და დაბალი ხარისხის საინჟინრო ნაგებობა (საცხოვრებელი სახლი)

დედაქალაქის ცენტრში შეიძლება შეფასებული იქნას როგორც მისაღები უძრავი ქონება, ხოლო სადმე შორს მდინარის პირას აგარაკი სისტემის მიერ განხილული იქნას როგორც „ნასახლარი სოფელში“; სკორინგული სისტემის ნორმალური არსებობა სათანადო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას ითვალისწინებს²².

მაგრამ ზოგიერთ ნაკლოვანებებს არ შეუძლიათ ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე უფრო გავრცელებული საკრედიტო რისკის შეფასების სკორინგული მეთოდის გამოყენების დადებითი მომენტების გადაწონვა: სისტემა მაქსიმალურად მიუკერძოებულ შეფასებას იძლევა, თანამშრომლების პირადი შთაბეჭდილების ზეგავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი; სკორინგის სისტემის გამოყენებელი ფინანსური დაწესებულებები თავიანთ კლიენტებს უფრო ხელსაყრელ პროცენტს თავაზობენ, რამდენადაც დაუბრუნებლობის რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი; სკორინგი ბანკს განაცხადების დამუშავებისას დაკავებული პერსონალის რაოდენობის შემცირების შესაძლებლობას აძლევს; გადაწყვეტილების მიღების დრო 15 – 20 წუთამდე მცირდება; უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კლიენტზე დაბალი სკორინგული შეფასების მიღებაზე ზემომქმედი ფაქტორების ჩამონათვალი გაიცემა - რაც მას შემდგომი მიმართვისას დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას მისცემს.

ბ) საკრედიტო რისკის შეფასების სკორინგული მეთოდის მათემატიკური მოდელირება:

ფინანსური კრიზისის პირობებში ბანკის საკრედიტო პორტფელში არსებული კომპანიების მდგომარეობის ოპერატიული შეფასების ამოცანები, ასევე ახალი კლიენტებისათვის კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისადმი ობიექტური მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით სკორინგული მოდელი საკრედიტო რისკის შეფასების მეტად ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს და იგი შეწონილი, დაბალანსებული მმართველობითი გადაწყვეტილების შმუშავებას უწყობს ხელს. ასეთი სახის მოდელების სიზუსტე და საიმედოობა - საკრედიტო

²² ვ. მოსიაშვილი და სხვა. “საბანკო საქმე“ თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020. გვ.: 324.

ორგანიზაციის რისკების მინიმიზირების, მის პორტფელში პრობლემური კრედიტების წილის შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

დღეისათვის განსვავებული მოსაზრებები არსებობენ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება იქნას გაგებული ტერმინი „სკორინგის“ ქვეშ. განვიხილოთ მოცემული ცნება სწორედ მათემატიკური მოდელირების თვალსაზრისიდან.

საკრედიტო რისკის მინიმიზაციის ამოცანა საბანკო საქმიანობის ოპტიმიზაციაში ფუძემდებლურს წარმოადგენს. დღემდე უმეტესი ბანკები MS Excel პაკეტის გამოყენებას აგრძელებენ. მოცემულ მიდგომას გააჩნია მრავალი მინუსები: არასანქცირებული შეღწევადობის დიდი ალბათობა, ადაპტიურობის არარსებობა, გადაწყვეტილების მიღებაზე დროის გაზრდა. ამრიგად, მოცემულ მომენტში, **ავტომატიზირებული სკორინგული სისტემის შემუშავება და დანერგვა აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.**

უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაშრომები, რომლებიც სხვადასხვა სახეობის საკრედიტო სკორინგის კვლევებსა და მოცემული სისტემების შემუშავებასთან და დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებს არის მიძღვნილი. ერთ-ერთი უმარტივესი მიდგომა მსესხელების გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნით - ბალების ან შეფასების გაანგარიშებისათვის მსესხებლის ანკეტირებისა და მათი საკრედიტო ისტორიის შესწავლის გამოყენება წარმოადგენს, რომელიც კრედიტის დაუბრუნებლობის ალბათობის მახასიათებელი იქნება. ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოყალიბებული იქნას უმარტივესი სკორინგული მოდელი:

$$S(X) = X_1W_1 + X_2W_2 + K + \dots + X_nW_n,$$

სადაც: X_1, X_2, K, X_n - პარამეტრებია, რომლებიც მსესხებლის მახასიათებლებია,

W_i - წონითი კოეფიციენტებია X_i ატრიბუტების.

მოცემული მაჩვენებლები შესაძლებლობას იძლევიან გაანგარიშებული იქნას $S(X)$ - ბალებში, რომლის მიხედვით მსესხებელი X კლასებიდან ერთ-ერთისადმი („კეთილსაიმედო“; „არაკეთილსაიმედო“) იქნება მიკუთვნებული, რისგანაც, შესაბამისად, კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

მაგალითი:

განვიხილოთ თბილისის ერთ-ერთი პირობითი ბანკის სკორინგულ ცხრილებთან მიმართებაში რიცხობრივი მაგალითი. თვალსაჩინოებისათვის

ბალები გაანგარიშებულია მსესხებლების შენდები 3 ჯგუფისათვის: სტუდენტი, საშუალო კლასის ტიპური მუშაკი და ადამიანი „საშუალოზე მაღალი“ შემოსავლით (იხ. ცხრ. 1.4).

ცხრილი 1.4. პირობითი ბანკის სკორინგული ცხრილური მახასიათებლები:

მსესხებლის ნიშანთვისებების ჯგუფი	ნიშანთვისება	კოეფიციენტი	ექსპერტული ბალი
1. საცხოვრებელი ადგილი	<ul style="list-style-type: none"> • არენდა • მუნიციპალური ფართი • მესაკუთრე 	1,42	0 5 10
2. სტაჟი ბოლო სამუშაო ადგილზე	<ul style="list-style-type: none"> • ერთ წელზე ნაკლები • 1 – 5 წლამდე • 5 წელზე მეტი 	0,63	0 5 10
3. წლოვანება	<ul style="list-style-type: none"> * 50 წლიდან * 35 წლამდე * 5 წელზე მაღლა 	0,35	0 5 10
4. ოჯახური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> • განქორწილებული/ქვრივი • უცოლო • დაოჯახებული 	0,92	0 5 10
5. განათლება	<ul style="list-style-type: none"> * საშუალო * საშუალო სპეციალური * უმაღლესი 	0,94	0 5 10
6. თანამდებობის დონე	<ul style="list-style-type: none"> • თანამშრომელი * საშუალო დონის ხელმძღვანელი * უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელი 	0,4	0 5 10
7. საკრედიტო ისტორია	<ul style="list-style-type: none"> • უარყოფითი • მონაცემები არ არის • დადებითი 	2,64	0 5 10
8. რეგიონში ცხოვრების სტაჟი	<ul style="list-style-type: none"> • ერთ წელზე ნაკლები • 1 – 5 წლამდე • 5 წელზე მეტი 	1,06	0 5 10
9. თანაფარდობა „გადასახადი“ / „შემოსავალი“	<ul style="list-style-type: none"> • 40 დან • 30 – 40 • 20 – 30 • 20-მდე 	1,15	0 5 7 10

ბანკმა გამსვლელი ბალი 60-ის ტოლი დაადგინა, ანუ თუ მსესხებელს $S(X) < 60$, მაშინ იგი ითვლება „არაკეთილსაიმედოდ“, თუ კი უფრო მაღალია, მაშინ შესაბამისად „კეთილსაიმედოდ“.

1) სტუდენტი:

$$S(X) = 1,42 \times 10 + 0,63 \times 0 + 0,35 \times 5 + 5 \times 0,92 + 0,94 \times 0 + 0 + 5 \times 2,64 + 10 \times 1,06 + 0 = 44,35.$$

როგორც გაანგარიშებებიდან ჩანს, სტუდენტი „არაკეთილსაიმედო მსესხებელის“ კატეგორიაში ხვდება.

2) საშუალო კლასის მუშაკი:

$$S(X) = 0 + 0,63 \times 10 + 0,35 \times 10 + 0,92 \times 10 + 0,94 \times 5 + 0,4 \times 0 + 2,64 \times 10 + 1,06 \times 5 + 1,15 \times 5 = 61,15.$$

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ საშუალო კლასის მუშაკი დადგენილ თამასას შეესაბამება.

3) უმაღლესი რგოლის მუშაკი:

$$S(X) = 1,42 \times 10 + 5 \times 0,63 + 5 \times 0,35 + 10 \times 0,92 + 0,94 \times 10 + 0 + 2,64 \times 10 + 1,06 \times 10 + 1,15 \times 10 = 85,20.$$

გაანგარიშებიდან ჩანს, რომ „უმაღლესი რგოლის მუშაკი“ ბანკისათვის „კეთილსაიმედო“ მსესხებლს წარმოადგენს, რაც სინამდვილეს შეესაბამება.

მაგრამ, ყურადღება გამახვილებული უნდა იქნას იმაზე, რომ მოცემული სისტემა „გარკვეული ზომიერებით“ საჩვენებელიც კია, მაგრამ იგი ყოველთვის არ აკმაყოფილებს სინამდვილეს, რამდენადაც არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებიც ასეთ მარტივ მოდელში არ გაითვალისწინება. აღნიშნულთან დაკავშირებით ბევრი მსესხებელი დაკრედიტებაში უარყოფით პასუხს ღებულობს.

გ) საკრედიტო რისკების შეფასება ე. ალტმანის მოდელის მიხედვით:

ე. ალტმანის მოდელი საწარმოს/კომპანიის გაკოტრების წარმოქმნის რისკის შეფასების შესაძლებლობას ან მისი კრედიტუნარიანობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა ქვემოთწარმოდგენილი დისკრიმინანტული მოდელის საფუძველზე:

$$Z = 1,2 \times K_1 + 1,4 \times K_2 + 3,3 \times K_3 + 0,6 \times K_4 + K_5,$$

სადაც: Z - არის საწარმოს/კომპანიის საკრედიტო რისკის ალტმანისეული შეფასების ჯამური მაჩვენებელი;

K₁ - არის საკუთარი საბრუნავი სახსრები/აქტივების ჯამი;

K₂ - არის სუფთა მოგება/აქტივების ჯამი;

K₃ - არის მოგება გადასახადებზე გრამდე და პროცენტების გადახდამდე/აქტივების ჯამი;

K₄ - არის აქციების საბაზრო ღირებულება/ნასესხები კაპიტალი;

K₅ - არის ამონაგები/აქტივების ჯამი.

საწარმოს საკრედიტო რისკის შეფასებისათვის საჭიროა საკრედიტო რისკის მიღებული მნიშვნელობა შედარებული იქნას ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის ტაფლერისეული რისკის კრიტერიალურ დონის მნიშვნელობასთან (იხ. ცხრ. 1. 5.):

ცხრილი 1.5. რისკების დონის მაჩვენებლების ე. ალტმანისეული კრიტერიუმები

ე. ალტმანის კრიტერიუმები:	საკრედიტო რისკი (გაკოტრების ალბათობა):
1,8 და ნაკლები	მაღიან მაღალი რისკი
1,81-დან - 2,7-მდე	მაღალი რისკი
2,8-დან - 2,9-მდე	ზომიერი რისკი
2,99-ზე მეტი	რისკის დაბალი დონე

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მოდელი შეიძლება მხოლოდ ისეთი საწარმოებისათვის იქნას გამოყენებული, რომელთაც საფონდო ბაზარზე ჩვეულებრივი აქციები გააჩნიალ, რაც K_4 მაჩვენებლის ადეკვატურად გაანგარიშების შესაძლებლობას იძლევა. კრედიტუნარიანობის შემცირება ადიდებს კომპანიის ჯამურ ფინანსურ რისკს.

დ) საკრედიტო რისკების შეფასება რ. ტაფლერის მოდელის მიხედვით:

საწარმოს/კომპანიის საკრედიტო რისკის შეფასების შემდეგი მოდელია - რ. ტაფლერის მოდელი, რომლის გაანგარიშების ფორმულა შემდეგია:

$$Z = 0,53 \times K_1 + 0,13 \times K_2 + 0,18 \times K_3 + 0,16 \times K_4 ,$$

სადაც: Z - არის საწარმოს/კომპანიის საკრედიტო რისკის ტაფლერისეული შეფასების ჯამური მაჩვენებელი;

K_1 - საწარმოს რენტაბელურობის მაჩვენებელი (მოგება გადასახადის გადახდანდე/მიმდინარე ვალდებულებები);

K_2 - საბრუნავი კაპიტალის მდგომარეობის მაჩვენებელი (მიმდინარე აქტივები/ვალდებულებების საერთო ჯამი);

K_3 - საწარმოს ფინანსური რისკი (გრძელვადიანი ვალდებულებები/აქტივების საერთო ჯამი);

K_4 - ლიკვიდობის კოეფიციენტი (ამონაგები გაყიდვებიდან/აქტივების ჯამი).

საწარმოს საკრედიტო რისკის შეფასებისათვის საჭიროა მიღებული საკრედიტო რისკის მნიშვნელობა შედარებული იქნას ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის ტაფლერისეული რისკის კრიტერიალური დონის მნიშვნელობასთან (იხ. ცხრ. 1. 6.):

ცხრილი 1.6. რისკის დონის მაჩვენებლების რ. ტაფლერისეული კრიტერიუმები

რ. ტაფლერის კრიტერიუმები:	საკრედიტო რისკი (გაკოტრების ალბათობა):
>0,3	რისკის დაბალი დონე
0,3 – 0,2	ზომიერი რისკი
< 0,2	მაღალი რისკი

ე) საკრედიტო რისკების შეფასება რ. ლისის მოდელის მიხედვით:

ეკონომისტმა რ. ლისმა დიდი ბრიტანეთის საწარმოებისათვის საკრედიტო რისკების შეფასების მოდელი შემოგვთავაზა, რომლის გაანგარიშების ფორმულა შემდეგია:

$$Z = 0,0063 \times K_1 + 0,092 \times K_2 + 0,057 \times K_3 + 0,0014 \times K_4 ,$$

სადაც: Z - არის საწარმოს/კომპანიის საკრედიტო რისკის შეფასების რ. ლისისეული ჯამური მაჩვენებელი;

K₁ - არის საბრუნავი კაპიტალი/აქტივების ჯამი;

K₂ - არის მოგება რეალიზაციიდან/აქტივების ჯამი;

K₃ - არის გაუნაწილებელი მოგება/აქტივების ჯამი;

K₄ - არის საკუთარი კაპიტალი/ნასესხები კაპიტალი.

საწარმოს საკრედიტო რისკის შეფასებისათვის საჭიროა მაჩვენებლის მიღებული მნიშვნელობა შედარებული იქნას ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის ლისისეული რისკის კრიტერიალური დონის მაჩვენებლებთან (იხ. ცხრ. 1. 7.):

ცხრილი 1.7. რისკების დონის მაჩვენებლების რ. ლისისეული კრიტერიუმები

ერ. ლისისეული კრიტერიუმები:	საკრედიტო რისკი (გაკოტრების ალბათობა):
>0,037	რისკის დაბალი დონე
< 0,37	რისკის მაღალი დონე

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. საბანკო რისკები თავისთავად საკრედიტო დაწესებულებების მიერ განხორციელებადი ოპერაციების არაკეთილსასურველად დასრულების, ან გაუთვალისწინებელი სიტუაციების დადგომის ალბათობას წარმოადგენს. საკრედიტო რისკის ქვეშ გაიგება ბანკის წინაშე მევალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისობაში ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასრულად აღსრულების შედეგად ზარალის წარმოშობის რისკი. სწორედ ამიტომ მოცემული ასპექტის მართვა საბანკო სისტემისა და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ითვლება;

2. რისკების რეგულირების ძირითად ამოცანას ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის პროცესში მისი მომგებიანობის, უსაფრთხოებისა და ლიკვიდობასთან მიმართებაში მისაღები თანაფარდობის მხარდაჭერა, ანუ საბანკო დანაკარგების მინიმიზაცია წარმოადგენს;

3. რისკების მართვის პროცესი თავისთავში - რისკების განჭვრეტას, მათი ალბათობითი სიდიდეების და შედეგების განსაზღვრას, მასთან დაკავშირებული დანაკარგების აღმოფხვრის ან მინიმიზაციის მიმართებაში ღონისძიებების შემუშავებას და რეალიზაციას მოიცავს;

4. ბანკის საკრედიტო რისკი შეიძლება იქნას მინიმიზირებული, ამასთან დაკავშირებით ტრადიციული და უმჯობესი ხერხია - გირაოში ღირებული ქონების, ლიკვიდური აქტივების მიღება. გირაოს გაუფასურების შემთხვევისათვის, საკრედიტო რისკის მინიმიზაციის ყველაზე ეფექტურ მოდელს დაზღვევა წარმოადგენს;

5. ჩამოყალიბებულია საკრედიტო რისკების შეფასების მრავალფეროვანი მოდელები და მეთოდები, როგორებიცაა: სკორინგული მეთოდის მათემატიკური მოდელირება, მოდელები: „Operational Risk Capital – ORC“, „TSA“, „Value at Risk – VaR“, „Shortfall at risk – SaR“, მეთოდები: ე. ალტმანის, რ. ტაფლერის, რ. ლისის, რომლებიც მთლიანობაში რისკების შეფასების მეტად ეფექტურ ინსტრუმენტებად არიან მიჩნეული და შეწონილი, დაბალანსებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების, საკრედიტო ორგანიზაციების რისკის მინიმიზირების, პრობლემური კრედიტების წილის შემცირების შესაძლებლობას იძლევიან.

ბიბლიოგრაფია

1. მოსიაშვილი ვალერი, ჭელიძე მედეა, აბუთიძე გოჩა - საბანკო საქმე - თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2020.
2. ცაავა გიორგი, ბურდიაშვილი რატი, მოსიაშვილი ვალერი, – რიკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2020.
3. Paul Hopkin, Fundamentals of Risk Management: Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management. Printed and bound by GPI Groupe (UK) LTD, Croydon, CDRO 4YY <https://lccn.loc.gov/2018000956> [Last seen 11.10.2020];
4. <https://hbr.org/2012/06/managing-risks-a-new-framework> [Last seen 12.10.2020].

რისკის ცნება და მისი ტრანსფორმაცია საბანკო დაკრედიტებაში The concept of risk and its transformation into bank lending

ანი ბიბილური - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, anibibiluri@gmail.com
Ani Bibiluri – Doctor of Business Administration
Georgian Technical University, anibibiluri@gmail.com

აბსტრაქტი. კომერციული ბანკები წარმოადგენენ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ცენტრალურ ელემენტს. საბანკო საქმიანობის ეფექტურობისთვის აუცილებელია ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის პროგრესული განვითარება, რადგანაც საბანკო მომსახურებას მუდმივად იყენებენ თავიანთ საქმიანობაში, როგორც საოჯახო მეურნეობები, ისე საწარმოები და სახელმწიფო სტრუქტურები. არ არსებობს არცერთი ეკონომიკური სუბიექტი, ვინც ბანკის მომსახურებით არ სარგებლობს. საბანკო მომსახურების ასორტიმენტი საკმაოდ ფართოა, თუმცა მუდმივად ჩნდება ახალი, ხდება ძველი ტრადიციული საბანკო პროდუქტების მოდიფიკაცია. შეუძლებელია დავასახელოთ ეროვნული ეკონომიკის ისეთი სფერო, სადაც არ იქნება კომერციული ბანკების ეკონომიკური ინტერესები.

საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში საქართველოში თავდაპირველად ითვლებოდა, რომ კომერციული ბანკები – ეს არის

ბანკები, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური მოგების მიღება. თუმცა საბანკო სისტემის შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკები უნდა ისწრაფოდნენ არამარტო შესაძლო მაქსიმალური მოგების მიღებისკენ, არამედ უზრუნველყონ რისკების მინიმიზაცია, ლიკვიდურობა, საიმედო და სტაბილური ფუნქციონირება, დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა თავიანთი საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით. მათ შორის მონაწილეობა მიიღონ სოციალური პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციაში, შეინარჩუნონ იმიჯი, განავითარონ ფილიალთა ქსელი და კლიენტთა დიდ ნაწილს მიაწოდონ მომსახურების ფართო სპექტრი. მოცემული სტატია ეხება რისკის ცნებასა და მის როლს საბანკო საქმიანობასა და დაკრედიტებაში.

საკვანძო სიტყვები: რისკი, საკრედიტო პოლიტიკა, დაკრედიტება, დივერსიფიკაცია.

Abstract. Commercial banks are one of the central elements of a market economy. The effective development of any national economy is essential for the efficiency of banking activities, as banking services are constantly used in their activities by households, enterprises and state structures. There is no economic entity that does not use the services of the bank. The range of banking services is quite wide, but new ones are constantly emerging, old traditional banking products are being modified. It is impossible to name a field of national economy where there will be no economic interests of commercial banks.

During the establishment of the banking system in Georgia, it was initially considered that commercial banks - these are the banks whose main goal is to make maximum profit. However, the further development of the banking system has shown that in a market economy, banks should strive not only to make the maximum possible profit, but also to ensure risk minimization, liquidity, reliable and stable operation, to plan their activities in the interests of their society. Among them are to participate in the implementation of social projects and programs, to maintain the image, to develop a branch network, to provide a wide range of services to a large part of the clients. This article deals with the concept of risk and its role in banking and lending.

Keywords: Risk, Credit policy, Lending, Diversification.

შესავალი. თანამედროვე სამყარო და ქვეყნის ეკონომიკის არსებობა ბანკების გარეშე წარმოუდგენელი ფაქტია. საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციულ ბანკებს და მათ გამართულ

ფუნქციონირებას დიდი როლი ენიჭება, რადგანაც ნებისმიერი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საფინანსო ინსტიტუტების გამართული მუშაობა. საბანკო ბიზნესი მთელ მსოფლიოში ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. კომერციული ბანკების საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია საკრედიტო პოლიტიკის ეფექტური განხორციელება, რომელსაც თან ახლავს რიგი რისკები. მათი აღმოფხვრით ან თუნდაც შემცირებით საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში გრძელდება.

საბაზრო ეკონომიკის ერთადერთი მაკროეკონომიკური სფერო რომელმაც საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი გზა გამოიარა და შედეგსაც მიაღწია არის საბანკო სექტორი. იგი განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. საბაზრო ურთიერთობები წარმოუდგენელია ფულად-საკრედიტო სისტემის აქტიური ფუნქციონირების გარეშე, ის უშუალო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მის მიმართულებებს.

ძირითადი ნაწილი. ყოველ ჩვენგანს ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი გადაწყვეტილების მიღება გვიწევს სხვადასხვაგვარი საკითხის თაობაზე (განსაკუთრებით ბიზნესთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ), რაც ხშირად მოითხოვს გარკვეულ გაბედულებას, რადგანაც დაკავშირებულია რისკთან, გაურკვევლობასა და საკმარისი ინფორმაციის უქონლობასთან.

მართალია რისკის პრობლემის შესწავლას აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, მაგრამ მის განსაკუთრებით მნიშვნელოვან განვითარებას ადგილი ჰქონდა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ გარისკვას მოაქვს ხელსაყრელი შედეგი, მაგრამ ყოველთვის არ არის რისკი „კეთილშობილური“ საქმე. ცხოვრებაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გარისკვა - საშიში შესაძლო შედეგებით, ხოლო სადაც ეს გარდაუვალია, საჭიროა მივიღოთ ყველა ზომა, რათა მინიმუმამდე შევამციროთ გარისკვის ნეგატიური შედეგების ალბათობა.

ვარაუდობენ, რომ სიტყვა რისკი ნასესხებია ესპანელი მეზღვაურების ლექსიკონიდან. ესპანურ ენაზე სიტყვა რისკი ნიშნავს ციცაბო კლდეს, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მეზღვაურებისათვის, ხოლო ინგლისელები რისკს განმარტავენ როგორც „დანაკარგის ან ზიანის შესაძლებლობას ადამიანებისა და ქონებისთვის“.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ ამა თუ იმ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკი და დარწმუნებით ვიმოქმედოთ სარისკო სიტუაციებში, საჭიროა გაგვაჩნდეს შესაბამისი ობიექტური ინფორმაცია, შეგვეძლოს რისკის გაზომვა და შეფასება. დავუფუძლოთ გარისკვის ობიექტური შეფასების ხელოვნებას ინტუიციური აზროვნების გარეშე.

მეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც რისკს შეისწავლის - ოპერაციათა გამოკვლევა ეწოდება. იგი ფართოდ იყენებს ალბათობის თეორიას. ოპერაციათა გამოკვლევა ეწოდება სპეციალურ მეცნიერებას, რომელიც იკვლევს ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობის რაციონალურად ორგანიზაციის საკითხებს.

კრიტიკული სიტუაციების, სარისკო მდგომარეობის ალბათობის გათვალისწინება საჭიროა დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად სხვადასხვა საქმიანობების და მათ შორის საბანკო საქმიანობის ანალიზისას. რისკის „წინასწარმეტყველება“ აუცილებელია მისი თავიდან აცილებისა და სხვა ნეგატიური შედეგების, ზარალის შესამცირებლად. ზემოთ აღნიშნული მიგვითითებს რისკის შეფასების მეთოდების დაუფლების სარგებლიანობაზე, თუმცა ჯერ კიდევ გოეთე გვაფრთხილებდა, რომ შეიძლება „იდეა მოგვეჩვენოს სასარგებლოდ მაგრამ არ ვიცოდეთ მისით სარგებლობა“.

რისკთან დაკავშირებულია არა მარტო ზიანი და დანაკარგები, არამედ დადებითი შედეგებიც, მილიონ გარისკვაზე შეიძლება მილიარდი წარმატება მოდიოდეს. შესაძლო რისკის შეფასება საშუალებას მოგვცემს დროულად შევქმნათ წარმოდგენა იმ შედეგებზე, რომელთაც გამოიწვევს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება. რისკის გამოთვლა დაკავშირებულია წამოყენებული ამოცანის ხასიათთან, რომლის გადაჭრაზეც ზეგავლენას ახდენს განუსაზღვრელობის ხარისხი, დინამიურობა და პირობების ცვალებადობა დროში.

ჩვეულებრივ გამოიყოფა რისკის ორი სახე - დინამიური და სტატისტიკური. **დინამიური რისკი** ეს არის მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, საბაზრო და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად ძირითადი კაპიტალის ღირებულებების გაუთვალისწინებელ ცვლილებათა რისკი. ასეთმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც დანაკარგები, ისე დამატებითი შემოსავლები.

სტატისტიკური რისკი - ეს არის საკუთრებისადმი ზიანის მიყენების შედეგად რეალური აქტივების დანაკარგებისა და აგრეთვე ორგანიზაციის

არაქმედიტუნარიანობის გამო შემოსავლების დაკარგვის რისკი. აღნიშნულმა რისკმა შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ დანაკარგებამდე.

რისკის ხარისხობრივი ანალიზი შეიძლება იყოს შედარებით მარტივი. მისი მთავარი ამოცანაა განვსაზღვროთ რისკის ფაქტორები, ეტაპები და სამუშაოები, რომელთა შესრულებისას წარმოიქმნება რისკი და ა.შ. ესე იგი დავადგინოთ რისკის პოტენციური არეები, რის შედეგადაც მოვახდინოთ ყველა შესაძლო რისკების იდენტიფიცირება.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი ე.ი რიცხობრივი განსაზღვრა ცალკეული რისკებისა და მთლიანად პროექტების რისკისა - უფრო რთული პრობლემაა.

ყველა ფაქტორი, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია და მოქმედებს პროექტის რისკის ხარისხზე, პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ობიექტური და სუბიექტური.

ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი თვითონ ფორმაზე. ეს არის ინფლაცია, კონკურენცია, ანარქია, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, ეკოლოგია, საბაჟო გადასახადები, თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის ზონაში მუშაობის შესაძლებლობა და ა.შ.

სუბიექტურ ფაქტორებს კი მიეკუთვნება ფაქტორები, რომლებიც ახასიათებენ უშუალოდ მოცემულ დასაკრედიტებელ ობიექტს (მაგ: კომპანიას). ეს არის: საწარმოო პოტენციალი, ტექნიკური მდგომარეობა, ტექნოლოგიური სპეციალიზაციის დონე, უსაფრთხოების ტექნიკის დონე, ინვესტორთან და შემკვეთთან კონტრაქტების ტიპის შერჩევა და ა.შ. უკანასკნელი ფაქტორი დიდ როლს თამაშობს ფირმისათვის, რადგან კონტრაქტის ტიპზეა დამოკიდებული რისკის ხარისხი და გასამრჯელოს სიდიდე პროექტების დასრულებისას.

კომერციული ბანკების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული რისკების პროფესიული მართვის დონეზე. რისკი წარმოადგენს მომავლის გაურკვეველობის შედეგს. რისკის გაგება სხვა არაფერია თუ არა მისგან თავის არიდების აუცილებლობა, ყოველთვის ფინანსური რისკი კომპენსაციას მოითხოვს, რის გამოც ხშირად ეს კომპენსაცია „რისკი-შემოსავლის“ თანაფარდობის სახით წარმოგვიდგება.

საბანკო რისკები იყოფა ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებად. **ეკონომიკური რისკები** განპირობებულია საბანკო საქმიანობაში არასასურველი მოვლენების გავლენით. **პოლიტიკურ რისკებს** იწვევს

ქვეყანაში სიტუაციის ცვლილებები, რაც ნეგატიურად ზემოქმედებს კომერციულ საწარმოთა საქმიანობაზე.

საბანკო რისკების პროფესიული მართვა საკრედიტო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა, იგი ბანკის საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავს. საბანკო სტრატეგიას და ტაქტიკას, აქტივებისა და პასივების ლიკვიდობის, რისკის ცალკეული სახეობის მართვას.

საბანკო რისკის მართვა მოიცავს სამ ეტაპს:

1. რისკის წარმოშობა, შესაძლო შემთხვევების წინასწარი პროგნოზი და ყველა არასასურველი სცენარის გათვლა;

2. შესაძლო ზარალის მასშტაბების ეკონომიკური შეფასება ანუ რა შეიძლება მოჰყვეს ფინანსური თვალსაზრისით კონკრეტულ რისკს;

3. რისკის დაზღვევის მეთოდების შემუშავება ან ზარალის ანაზღაურების წყაროების გამოძებნა, რომელიც რისკის შედეგებს შეამსუბუქებს ნაკლები დანაკარგებით.

რისკი ბანკირებისათვის ნიშნავს განუსაზღვრელობას დაკავშირებულს რამე მოვლენასთან. მაგალითად: გააკეთებს თუ არა კლიენტი კრედიტის პროლონგაციას განსაზღვრულ ვადაში? გაიზრდება თუ არა მომავალ თვეში დეპოზიტების მოცულობა? გაიზრდება თუ არა აქციების ფასი და მისი შემოსავალი? როგორი იქნება საპროცენტო განაკვეთის მოძრაობა მომავალში და მოახდენს თუ არა იგი გავლენას ბანკის შემოსავლების მოცულობაზე?

ფაქტიურად საბანკო კონტროლი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ბანკის შემოსავლებს (მომგებიანობას) უახლოეს პერსპექტივაში. ეკონომიკური არამდგრადობის მომატებამ და აგრეთვე სესხებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ელექტროენერგეტიკაში, უძრავ ქონებასა და საერთაშორისო (კრედიტებში) დაკრედიტებაში აიძულებდა ბანკებს ბოლო წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი ყურადღება დაეთმოთ საბანკო რისკის შეფასებისა და კონტროლის შესაძლებლობებისათვის.

საკრედიტო რისკის მართვის სისტემა, როგორც საკრედიტო პორტფელის მართვის სტრატეგიის - შემადგენელი ნაწილი, რომელიც ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება სამ ძირითად შემადგენელ რგოლს მოიცავს:

1) საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ბანკში საკრედიტო საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს და მისი დაგეგმვა საჭიროა მოხდეს სწორად და გონივრულად;

2) საკრედიტო პორტფელის ფორმირების ძირითადი ორიენტირების დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა;

3) მეთოდური მითითებები კრედიტებზე ფასწარმოქმნის მექანიზმის ფორმირებისას, რომლებიც განსაზღვრავენ თუ როგორი უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთები და საკომისიოები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბანკის დაგეგმილი მომგებიანობის დადგენილი პარამეტრების შესრულება.

ბანკირები ამჟღავნებენ „შემფოთებას“ რისკის სხვადასხვა კატეგორიების მიმართ, როგორცაა:

- საკრედიტო რისკი;
- დაუბალანსებელი ლიკვიდობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- შემოსავლების საკმარისად მიუღებლობის რისკი (საკმარისი შემოსავლების მიუღებლობის რისკი);
- არაგადახდისუნარიანობის რისკი (გადახდისუნარიანობის) და ა.შ.

დაკრედიტებისას უმნიშვნელოვანესია **საკრედიტო რისკი**, რადგან იმის ალბათობაა, რომ ბანკის აქტივების ნაწილის ღირებულება, განსაკუთრებით კრედიტების, შემცირდება ან დავა ნულამდე. მიუხედავად იმისა რომ მფლობელის სახსრების წილი ბანკების მთლიანი აქტივების ღირებულებასთან მცირეა, კრედიტის უმნიშვნელო პროცენტმაც კი რომელიც განეკუთვნება „წარუმატებელს“, ბანკი შეიძლება გაკოტრების პირას მიიყვანოს.

ძირითადად გამოიყოფა საკრედიტო რისკის ორი მაჩვენებელი:

1. უმოქმედო აქტივების დამოკიდებულება კრედიტების მთლიან მოცულობასთან და სალიზინგო ვალდებულებასთან.

2. კრედიტებთან დაკავშირებული ჩამოწერების დამოკიდებულება კრედიტების მთლიან მოცულობასთან და სალიზინგო ვალდებულებასთან.

უმოქმედო აქტივები - ეს არის შემოსავლის მომტანი აქტივები, მათ შორის საკრედიტო დაბანდებების, რომელთა დაფარვის ვადა გავიდა 90 და მეტი დღის უკან.

ჩამოწერა - ეს არის კრედიტები, რომელთა შესახებ ბანკი დარწმუნდა რომ მათი დაფარვის ალბათობა ფაქტიურად ნოლის ტოლია, რომელიც ჩამოიწერება და გატარდება ხარჯებში, ხოლო თუ რომელიმე ამდაგვარი სესხი საბოლოო ჯამში რაღაც გარკვეულ შემოსავალს მოუტანს ბანკს, დაბრუნებული თანხა გამოითვლება საერთო ჩამოწერიდან და გამოიყენება

სუფთა ჩამოწერის თანხა. ამ ორი მაჩვენებლის გაზრდა ზრდის ბანკის საკრედიტო რისკსაც.

რა თქმა უნდა ბანკები გამოიყენებენ სხვადასხვა ხერხს არსებული რისკის თავიდან ასაცილებლად. პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე „დაცვითი რგოლი“ ბანკების ფინანსური პოზიციების შესანარჩუნებლად. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ხარისხის მართვა, დივერსიფიკაცია, საკუთარი კაპიტალი.

ხარისხის მართვა - ბანკის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა გადაწყვიტოს წარმოქმნილი პრობლემები მანამდე, სანამ ისინი სერიოზულ დაბრკოლებად გადაიქცევიან ბანკისადმი, რადგან სერიოზულ პრობლემებს რთული შედეგი და დიდი დანაკარგი მოყვება. ხარისხის მართვა საჭიროა როგორც დაკრედიტების მთელ პროცესში, ასევე საბანკო საქმიანობის ყველა ასპექტში.

დივერსიფიკაცია - წყაროების მიღებისა და მიმართულებების ბანკის სახსრების გამოყენებისა, ასევე ითვლება რისკის შემცირების ერთ-ერთ მეთოდად. ბანკები საერთოდ ცდილობენ გამოიყენონ ორი ტიპის რისკის შემამცირებელი დივერსიფიკაცია: საპორტფელო და გეოგრაფიული.

- **პორტფელის დივერსიფიკაცია** ნიშნავს საბანკო კრედიტების განაწილებას კლიენტების ფართო წრეში, მათ შორის მსხვილ და საშუალო საწარმოებზე, სხვადასხვა დარგებში.

- **გეოგრაფიული დივერსიფიკაცია** კი მიმართულია კლიენტების მოსაზიდად სხვადასხვა გეოგრაფიული რაიონებიდან ან ქვეყნებიდან სხვადასხვა ეკონომიკური პირობებით.

ასეთი ფორმების დივერსიფიკაცია შედარებით ეფექტურად მოქმედებს საბანკო რისკის შესამცირებლად, როდესაც შემოსავლები, მიღებული სხვადასხვა ჯგუფის კლიენტებიდან, იცვლება დროში სხვადასხვა მიმართულებით. ამ შემთხვევაში ერთი ჯგუფის კლიენტებისაგან მიღებული შემოსავლების შემცირებას ენაცვლება (ან კომპენსირდება) მეორე ჯგუფის კლიენტებისაგან მიღებული შემოსავლების ზრდას.

ასევე მნიშვნელოვანია **საკუთარი კაპიტალის ფაქტორიც**. ბანკის საკუთარი კაპიტალის ხარჯზე კომპენსირდება „უიღბლო“ კრედიტებით გამოწვეული ხარჯი, მაგრამ ჩემი აზრით, საკუთარი კაპიტალი ზარალის დასაფარად ბანკმა უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოიყენოს გაკოტრებიდან თავის დასაღწევად, ხოლო თუ ზარალი იმდენად დიდი აღმოჩნდა რომ იგი ვერ დაიფარება როგორც სხვა ჩვენს მიერ ჩამოთვლილი

ფაქტორების მეშვეობით ან საკუთარი კაპიტალით, მაშინ ბანკს მოუწევს „თავისი კარების დაკეტვა“.

რისკი არის „გაურკვევლობა ისეთი მოვლენების შედეგზე, როდესაც არსებობს ორი ან მეტი შესაძლებლობა“, რაც არ უნდა კარგი კრედიტუნარიანი იყოს მსესხებელი ამ შემთხვევაშიც შეიძლება მოხდეს ზარალი სრულად გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო. ბანკებს კი თავის მხრივ უჩნდებათ სარისკო სიტუაციები, რომლებიც მათი მომხმარებლის ბუნებას ასახავს. „სესხის პროცესი“ უნდა მოიცავდეს რისკის ანალიზს, რომელიც არსებითად არაფერია თუ არა სისტემური ცდა უპასუხოს კითხვას „რა შეიძლება არ გამოვიდეს?“. საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ საკრედიტო ოფიცერმა და მენეჯერმა, რომლებიც ცდილობენ აღმოაჩინონ ყველა შესაძლებელი ხელისშემშლელი შემთხვევა, იმდენ პასუხს იპოვიან კითხვაზე, რომ ამას არცერთი გამსესხებელი არ მოიწონებს. რისკის ანალიზმა უნდა გაარკვიოს შესაძლებლობები. კეთილგონიერება და გამოცდილება გვასწავლის რომ ვერ შევძლებთ ამ რისკზე ყურადღების გადატანას, მოგვიწევს ისეთი სესხის გაცემა, რომელიც დროის გამოცდა ვერ გაუძლებს.

საბანკო კრედიტის უმეტესობა გაიცემა წარმოებებზე. მათ წინაშე წამოჭრილი რისკის რაოდენობა უსაზღვროა. ზოგიერთი რისკი დამახასიათებელი და ჩვეულებრივია, ამიტომ იგი ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ. მენეჯერთა უნარის ნამდვილი გამოცდა ის ზღვარია სადამდეც მათ ესმით ეს რისკი და მისი კომპენსაცია. დღესდღეობით ბანკების მენეჯერებს ესმით, რომ მართალია მსესხებლის ანგარიშიდან ამონაწერი არსებითია, რადგან ის გამოაჩენს წარსული პერიოდის შედეგებს და ამდენად მომავლის გასაღებსაც იძლევა, მაგრამ მარტო ზემო აღნიშნულს არ შეუძლია შექმნას საფუძველი კრედიტის გაცემაზე გადაწყვეტილებისას. ბანკს არ შეუძლია უგულუბელყოს მონაცემები კომპანიის ბალანსისა და შემოსავლების გაანგარიშებიდან, უნდა გაითვალისწინოს ისინი, როგორც საბოლოო შედეგი იმისა, თუ რა გააკეთა და რა ვერ გააკეთა მენეჯმენტმა. მათი საშუალებით შეძლება შეფასდეს მენეჯერების წარმატება რისკის გააზრებაში, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესზე და შეიძლება აღნიშნული რისკის ნაწილობრივი ან სრული აღმოფხვრა.

რა თქმა უნდა რისკის შესახებ უსასრულოდ შეგვიძლია ვისაუბროთ, ეს ამოუწურვადი თემაა არა მარტო საბანკო-საფინანსო სექტორისთვის, არამედ ცხოვრებაშიც. ამიტომ მხოლოდ მისი სწორი და გონივრული მართვითაა

შესაძლებელი აცილება იმ ნეგატიური შედეგებისა, რომელიც შეიძლება ახლდეს რომელიმე რისკს. თუმცა ხშირად რისკი შეიძლება დადებითი შედეგების მომტანიც აღმოჩნდეს, მაგრამ ეს იშვიათია და გამართლებაზეა დამოკიდებული.

დასკვნა. მსოფლიო საბანკო ისტორია როგორც ცხადყოფს ბანკების წარუმატებლობის ბევრი შემთხვევის მიზეზი არის არასაკმარისი რისკის მენეჯმენტი და სუსტი კორპორაციული მმართველობა. სამწუხაროდ არცერთი ქვეყანა და მათ შორის საქართველოც არ არის დაზღვეული ასეთი შემთხვევებისაგან. სწორედ ამიტომ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნებისათვის მეტად აქტუალური ხდება ბანკების ზედამხედველობის რეგულირების პროცესი და რისკების მინიმიზაციის საკითხი.

კომერციული ბანკის საქმიანობის პროცესში ბანკის მიერ წარმოებული ოპერაციების დიდი ნაწილი საკრედიტო საქმიანობაზეა კონცენტრირებული და შესაბამისად მთელი შემოსავლების მიახლოებით 2/3-ზე მეტი საპროცენტო შემოსავლებზე მოდის, რაც ბანკის შემდგომი საქმიანობისათვის მყარ საფუძველს ქმნის. 2018 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ახალი რეგულაციები შემოვიდა დაკრედიტების სისტემაში, რითაც შეიცვალა სესხის გაცემის პირობები, მოცულობა და ვადები. ეს აღმოჩნდა ერთგვარი ნაბიჯი რისკების შემცირებისა და დაკრედიტების სფეროს დარეგულირებაში, სადაც ბანკი და მომხმარებელი ორივე მოგებულ პოზიციაზე აღმოჩნდა, რადგან კომერციული ბანკების ლიკვიდობის პრობლემების აღმოფხვრასა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის სწორ განსაზღვრას შეუწყო ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., – საბანკო საქმე, სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2020.
2. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. – რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო -საკრედიტო რისკების მენეჯმენტი - თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2007.
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. – საბანკო მენეჯმენტი (თეორია,მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015.
4. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ., – ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი, სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2017.

ბანკზე მოქმედი დარგობრივი რისკების საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები

Financial-economic indicators of sectoral risks operating on the bank

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ. vmosiashvili@seu.edu.ge.

ეთერ მამაცაშვილი - ეკონომიკის დოქტორი.
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ. e.mamatsashvili@seu.edu.ge

Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu. vmosiashvili@seu.edu.ge

Eter Mamatsashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu. e.mamatsashvili@seu.edu.ge

რეზიუმე. ნებიერი ბანკის წარმატებული ფუნქციონერისათვის მნიშვნელოვანია მართებულად განსაზღვროს ყოველი მასზე მოქმედი რისკი, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მოიქცეს არსებული სიტუაციის ადექვატურად. რისკებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დარგობრივი რისკი.

როგორც წესი, დარგობრივი რისკის დონე დარგის სამრეწველო სასიცოცხლო ციკლსა და შიდადარგობრივ კონკურენციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ამასთან შიდადარგობრივი კონკურენციის დონე, მოცემულ დარგში მომუშავე ორგანიზაციის სხვა დარგების ორგანიზაციებთან მიმართებაში მდგრადობის შესახებ, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. შიდადარგობრივი კონკურენციის დონის შესახებ წინამდებარე სტაიაში ვიმსჯელებთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით - ფასობრივი და არაფასობრივი კონკურენციის ხარისხი; დარგში ორგანიზაციის შედქვეის სიმარტივე და სიძნელე; საქონელი-შემცვლელეების ფასის მიხედვით ახლო ან კონკურენტუნარიანების არსებობა ან ნაკლოვანება; მყიდველებისა და მიმწოდებლების მყიდველობითი შესაძლებლობა.

საკვანძო სიტყვები: საბანკო რისკი, დარგობრივი რისკი, ეკონომიკის დარგი, ფასობრივი კონკურენცია, სასიცოცხლო რისკი.

Abstract. Summary. It is important for the successful operation of any bank to correctly identify each risk acting on it, to take preventive measures, to act adequately to the current situation. Sectoral risk is one of the most important risks among the risks.

As a rule, the level of sectoral risk is directly related to the industrial life cycle of the sector and intra-sectoral competition. At the same time, the level of intra-sectoral competition is a source of information on the sustainability of the organization working in the given field in relation to the organizations of other branches. In the present article we have discussed the level of intra-sectoral competition according to the following criteria - the quality of price and non-price competition; Simplicity and difficulty of entering the organization in the field; The presence or absence of near or competitiveness according to the price of goods-substitutes. Purchasing opportunity for Buyers and Suppliers.

Keywords: Banking risk, sectoral risk, economy, price competition, life risk.

დარგობრივი რისკი - არის დარგის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის შედეგად მეველეს მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დანაკარგების ალბათობა.

დარგობრივი რისკის დონე დარგის სამრეწველო სასიცოცხლო ციკლსა და შიდადარგობრივ კონკურენციასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. ამასთან შიდადარგობრივი კონკურენციის დონე, მოცემულ დარგში მომუშავე ორგანიზაციის სხვა დარგების ორგანიზაციებთან მიმართებაში მდგრადობის შესახებ, ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს. შიდადარგობრივი კონკურენციის დონის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით²³:

- ფასობრივი და არაფასობრივი კონკურენციის ხარისხის;
- დარგში ორგანიზაციის შეღწევის სიადვილისა და სიძნელის;
- საქონელი-შემცვლელების ფასის მიხედვით ახლო ან კონკურენტუნარიანების არსებობის ან ნაკლოვანების;
- მყიდველებისა და მიმწოდებლების მყიდველობითი შესაძლებლობის.

ჩამოთვლილი პირობები, რომლებშიც ფუნქციონირებს დარგი, ზოგჯერ მკვეთრი ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, ამიტომ დარგობრივი რისკები, დაკრედიტების პერიოდის განმავლობაში დარგის

²³ ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. – რიკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2020. გვ.: 196.

განვითარების პერსპექტივებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით, მუდმივობის საფუძველზე უნდა იქნას გაანალიზებული, კომერციული ორგანიზაციისათვის საქმიანობის დომინირებად მიმართულებას, რეალიზებული პროდუქციის (შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების) საერთო მოცულობაში წინა წლის ჯამის მიხედვით ყელაზე დიდი ხვედრითი წონის მქონე საქმიანობის სახეობა წარმოადგენს.

რისკის აღწერილობა და დახასიათება:

დარგობრივი რისკის ანალიზისას საჭიროა გათვალისწინებული იქნას შემდეგი ინფორმაცია²⁴:

- ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არასასურველი გადაწყვეტილებების პირობებში დარგის საწარმოს სუსტი ადგილი;
- დარგის მიხედვით საწარმო-მეწარმეების ფასების დინამიკა;
- დარგების მიხედვით დასაქმების დინამიკა;
- დარგების მიხედვით პროდუქციისა და აქტივების რენტაბელიბა (საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული, რომ მაღალ მოგებიანობას დარგში ხელს უწყობს - ახალი კონკურენტების წარმოქმნა, დაბალს კი - კომპანიების რიცხოვნობის შეკვეცა);
- დაეგმი ტექნოლოგიური ცვლილებები (პროდუქციის ხარისხის გაუნჯობესება/მხარდაჭერა საწარმოო ფონდების სრულყოფის, საწარმოო ფონდების სწრაფი მორალური ცვეთის ხარჯზე);
- წარმოების მასშტაბების ცვლილების მახასიათებელი შეფარდებითი მაჩვენებელი (პროდუქციაზე მიტხოვნის გადიდება ან დაცემა);
- დარგში საწარმოო სიმძლავრეების ცვეთის ხარისხი და ნაკლებობა/სიჭარბე;
- მსესხებელის კონკურენტუნარიანობა: კონკურენტების უპირატესობები და ნაკლოვანებები; კონკურენტების რაოდენიბა ბაზარზე; მსესხებელის წილი ბაზარზე; კონკურენტებისა და მსესხებელის პროდუქტებში განსხვავებები; სავაჭრო მარკის მნიჭვნელობა (სავაჭრო მარკა უზრუნველყოფს თუ არა კონკურენტულ უპირატესობებს);

²⁴ მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020. გვ.: 201.

- ბაზარზე „შედწევის“ ბარიერები (მაგალითად, რამდენად მეტია საჭირო ინვესტიციები ბიზნესის გასახსნელად / საქმიანობის განსახორციელებლად, იმდენად მაღალია „შედწევის“ ბარიერები);

- ბაზრიდან „გამოსვლის“ ბარიერები (მაგალითად, რამდენად დაბალია საქმიანობის ამა თუ იმ სახეობაზე მოთხოვნა, იმდენად „მაღალია“ ბარიერები);

- გადაორიენტაციის დანახარჯები (დარგის რენტაბელობის შემცირების შემთხვევაში, რამდენად მაღალია მსესხებელის საქმიანობის გადაორიენტაციის დანახარჯებთან და ვადებთან დაკავშირებული წინააღმდეგობები, რომლებშიც მუშაობენ ისინი);

- ბაზარზე მყიდველის / მიმწოდებლის მდგრადობა: მყიდველების კონცენტრაცია მიმწოდებლების კონცენტრაციასთან მიმართებაში და პირიქით (მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსებულობა); მყიდველის შესაძლებლობა უკუ ვერტიკალური ინტეგრაციის განხორციელებასთან მიმართებაში (მყიდველების შესაძლებლობა ნედლეულისა და სხვა პროდუქციის წარმოებასთან მიმართებაში, რომლებსაც აწვდის მიმწოდებელი);

- მიმწოდებლების გადაპროვილების დანახარჯები (მიმწოდებლების ერთი დარგიდან მეორეზე ადვილად გადაერთების შესაძლებლობა);

- მყიდველების/მიმწოდებლების უპირატესობები, გადახდისუნარიანობა და საქმიანი რეპუტაცია;

- საქონელი-შემცვლელის არსებობა.

დარგობრივი რისკის (მისი კონცენტრაციის) შემცირებისათვის მეურნეობის სხვადასხვა დარგებისადმი მიკუთვნებადი კლიენტების მომსახურებაა მიზანშეწონილი. ასეთი სახით სეზონურობის რისკის დონე მცირდება, რამდენადაც სხვადასხვა კლიენტების სეზონური მერყეობების ზედა და ქვერა წერტილები, ასევე ინფლაციის, სავალუტო რისკების, ფორს-მაჟორული გარემოებების ზემოქმედებაც ერთმანეთს არ ემთხვევიან.

დარგობრივი რისკის ფაქტორები:

- მაღალი კომპურენცია დარგში;

- მონოპოლიის არსებობა დარგში (იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ წარმოადგენს მონოპოლისტს);

- საქონელი-შემცვლელის (სუბსტიტუტების) დიდი რაოდენობის და (ან) მსესხებელის საქმიანობის მთლიანი პეროოდის განმავლობაში მათი გაყიდვების სწრაფი ზრდის არსებობა;

- დარგის გაყიდვების დაბალი რენტაბელობა
- პროდუქციის გასაღებითი მოცულობების დაცემა;
- დარგში სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები, რომლებსაც შეუძლია წარმოებაზე დანახარჯების, მათ შორის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული დანახარჯების გადიდებად მიგვიყვანოს;
- კომპურენტების დაბალი მყიდველობითი შესაძლებლობა;
- ბაზარზე „შეღწევის“ დაბალი ბარიერები - კლიენტის მცირე სიდიდე, რომელიც ინდუსტრიაში ახალი ბიზნესის დაწყებისათვის არის საჭირო, ან საქმიანობის განხორციელებაზე ნებადასართავი დოკუმენტაციის არსებობისადმი მოთხოვნილებებისარარსებობა; სახელმწიფო პოლიტიკა ახალი კონკურენტების მხარდაჭერაზეა მიმართული;
- ბაზარზე „შეღწევის“ მაღალი ბარიერები, - მაღალი ფასის, მაღალი კომპურენტის, დარგის დაბალი რენტაბელობის და სხვა დანარჩენი ფაქტორების გამო, ბიზნესის პოტენციალური მყიდველების მცირე რაოდენობა;
- დაკრედიტების პერიოდში საქმიანობის განხორციელებაზე ლიცენზირების ან ნებადასართავი დოკუმენტაციის დიდი რაოდენობის მირების არსებობა;
- დარგზე გადიდებული საგადასახადო ტვირთი;
- დარგის განვითარებაზე სახელმწიფო ორგანოების არსებითი ზემოქმედება - უცხოელი მწარმოებლის მხარდაჭერა; საექსპორტო ბაჟების გადიდება; ემბარგო; საქმიანობის განხორციელებაზე და ლიცენზირებაზე სანებართვო დიკუმენტაციის მიღების წესების გამკაცრება; კვოტების არსებობა და ა.შ.;
- მსესხებელის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე დაბალი მოთხოვნა;
- მსესხებელის ფასები მნიშვნელოვნად მეტია კონკურენტების ფასებზე (პროდუქტში არსებითი განსხვავებების არარსებობისას) და (ან) კონკურენტებს დიდი უპირატესობების გააჩნიათ, რომლების შეთავაზება მსესხებელს არ შეუძლია;
- დარგში შრომითი რესურსების უკმარისობა;
- მსესხებელის გადაორიენტირების მაღალი დანახარჯები (ანალიზი ხორციელდება ისეთი დარგობრივი რისკების არსებობისას, როგორცაა დარგის რენტაბელობის შემცირება, ნებადართვადი დიკუმენტაციის მითების წესების გამკაცრება და ა.შ.);

- დარგში ჭარბი სიმძლავრეების არსებობა, რასაც ფასებისა და მოგების დაცემაზე მივყავართ;
 - მყიდველებზე/მიმწოდებლებზე დამოკიდებულება²⁵:
 - დარგში მყიდველების/მიმწოდებლების რაოდენობა არასაკმარისია ფირმები-გამყიდველების/შემკვეთების რაოდენობის მიმართებაში;
 - მყიდველების/მიმწოდებლების დაბალი დანახარჯები კონტრაგენტის შეცვლისას (მყიდველების / მიმწოდებლების ადგილგანთავსება მიმზიდველია სხვა მონაწილეებისათვის; მყიდველისათვის / მიმწოდებლისათვის ახალი კონტრაგენტის მოძიება საქონელის/მომსახირების განხორციელების იმავე პირობებზე მიწოდებასთან მიმართებაში სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ეს მსესხებლისათვის შეიძლება იყოს; ერთი მყიდველის/მიმწოდებლის დაკარგვისაგან დანახარჯებმა შეიძლება სხვებით იქნას კომპენსირებული);
 - მყიდველს დარგის ჩარჩოებში შეუძლია მიმწოდებლის მიერ წარმოებადი პროდუქციის გამოშვებაზე თვითონაც გადავიდეს;
 - მსესხებელი პროდუქციას მყიდველს უფრო ძვირად მიყიდის მყიდველს, ვიდრე კომპურენტები, ან ნედლეულს/საქონელს მიმწოდებლისაგან უფრო ძვირედ შეიძენს, ვიდრე ბაზრის სხვა მონაწილეებისაგან;
 - მყიდველი პროდუქტ-შმცვლელზე გადასვლის ალბათობა ძალიან დიდია;
 - დაკრედიტების პერიოდში პროდუქციის იმპორტ/ექსპორტზე, წყლის ბიოლოგიური რესურსების და ა.შ. მოპოვებაზე კვოტები განაწილებული არ არის, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას.
- ალკოჰოლური დარგი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის დარგობრივი რისკები მაღალია, ამასთან ზოგადად დადგენილია, რომ დარგობრივი რისკები მსესხებელის საქმიანობაზე არსებით ზეგავლენას არ ახდენენ²⁶:

²⁵ მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020. გვ.: 208.

²⁶ ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. – რიკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2020. გვ.: 199.

- რუსეთში მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების გამო ძვირადღირებულ ღვინოებზე მოთხოვნა მცირდება. მოხმარების შემცირების პირველი ტალღა ბოთლზე 700-1000 რუბლზე ზევით ღირებულების ღვინოებს შეეხო. 300-700 რუბლის ფასიან ღვინოებზე სიტუაცია ჯერჯერობით მერყევია, მაგრამ 300 რუბლზე უფრო დალი ფასიან ღვინოზე მოთხოვნა მკაფიოდ იზრდება. მთლიანობაში, ღვინოს მოხმარება არ მცირდება, იგი ძვირი სეგმენტიდან უფრო დაბალში გადაინაწილდა.

სამშენებლო დარგი: მთლიანობაში პროექტის დარგობრივი რისკების დონე კრიტიკულია და დარგობრივი რისკები მსესხებელის საქმიანობაზე არსებით ზეგავლენას ახდენენ. დარგი „გადაკრედიტებული“ აღმოჩნდა, ხოლო საცხოვრებლებლების ბაზარი - „დადახურებული“. ბანკებმა პრაქტიკულად სხვა სუბიექტების საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების დაკრედიტება თითქმის სრულად შეწყვიტეს (თუმცა მათივე უშუალო მონაწილეობა აღნიშნულ სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანია). შედეგად სამშენებლო პროექტების დაფინანსების მოცულობების მკვეთრად შემცირებას ახალი მოტყუებული მეწილეების წარმოქმნის რეალური საშიშროებისაკენ და სამშენებლო და ცალკეულ მოსაპირკეთებელ მასალებზე და სამშენებლო არმატურაზე მოთხოვნის შემცირებამდე მივყავართ. საზოგადოებაში უძრავ ქონებაზე ფასების შმცირების მოლოდინის ტენდენცია არსებობს. მოცემულ მომენტში მყიდველებმა მომლოდინეების პოზიცია დაიკავეს და ჯერჯერობით უძრავი ქონების შეძენისადმი თავის შეკავების პოზიციას იკავებენ. აღნიშნულმა პოზიციამ სამშენებლო კომპანიებში გაყიდვების დაცემის რეალობა, სამშენებლო ბიზნესში კრიზისის წარმოქმნა, ასევე მოთხოვნის დაცემა და მომიჯნავე დარგებში - სამშენებლო არმატურის, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების და ა.შ. წარმოებების დაცემა განაპირობა. სამშენებლო პროცესების მონაწილე მხარეები - მშენებლები და უძრავი წონების მყიდველები მოლოდინის პოზიციაში არიან, რამაც შეიძლება სამშენებლო დარგის მორიგი კრიზისი გამოიწვიოს.

შაქრის დარგი: მოცემულ სფეროში პროექტის დარგობრივი რისკების დონე ამაღლებულია და სახელმწიფო ორგანოები აღნიშნულ დარგზე არსებით ზემოქმედებას ახდენენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ვლ., ცაავა გ. - კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014.
2. ლაზვიაშვილი ნ. - რისკმენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010.
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., აბუთიძე გ., საბანკო საქმე. თბილისი გამომცემლობა „დანი“ 2020.
4. ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ. – კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია), სასწავლო–პრაქტიკული სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016.
5. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. – რიკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“ 2020.
6. Кабушкин С.Н. – Управление банковским кредитным риском: Учебник. - Москва: Новое издание, 2004.
7. Машарский А. – Финансовый риски. – Рига: БРИ, 2005.

ელექტრონული ფულიდან კრიპტოგრაფიულ ვალუტამდე
From e-money to cryptocurrency

ნანა გულიკაშვილი

დოქტორანტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

n.gulikashvili@seu.edu.ge

Nana Gulikashvili

PhD student. Georgian Technical University

n.gulikashvili@seu.edu.ge

რეზიუმე: წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს წარმოადგინოს ერთი მხრივ ელექტრონული ფულის განვითარების რეტროსპექტივა მისი არსი მიზანი და დანიშნულება,გაგვაცნოს ელექტრონული ფულის შექმნის და განვითარების თითოეული ნაბიჯი და ასევე მისი ლოგიკური გაგრძელება 21 საუკუნის ინოვაცია ფულის საკითხში კრიპტოგრაფიული ვალუტა თავისი მახასიათებლებით და განსხვავებებით ელექტრონულ და ტრადიციულ ფულთან მიმართებაში .დასახული მიზნის შესაბამისად

სტატიის პირველი ნაწილი ეხება ელექტრონული ფულის ისტორიულ განვითარებას და მის მახასიათებელ ნიშანთვისებებს. ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია კრიპტოგრაფიული ვალუტების შექმნა მათ განსხვავებები და მსგავსებები ელექტრონულ ფულთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ფული. კრიპტოვალუტა. ორადი ჩაწერის სისტემა, ახალ ფული, სწრაფი გადარიცხვა. უნადლო ანგარიშსწორება. დეცენტრალიზებული.

Abstract: This article aims to present the retrospective of e-money, its essence, purpose and function, to introduce each step of creating and development of e-money and also its logical continuation with regard to the issue of 21st century innovation money with its characteristics and differences in relation to electronic and traditional money. According to the intended purpose, the first part of this article deals with the historical development of e-money and its characteristic features. The second part presents the creation of cryptocurrencies, their differences and similarities with regard to e-money.

Key Words: Electronic money. Cryptocurrency. Double entry system, new money, fast transfer. Cash payment. Decentralized.

შესავალ. ელექტრონული ფულის განვითარება და მისი ბოლო საფეხური როგორცაა ციფრული ფული ანუ იგივე კრიპტოვალუტა ახალი რევოლუციური საშუალებაა მსოფლიო საფინანსო სისტემაში, რომლის უარყოფა შეუძლებელია მისი ყოველწლიური გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე. რაც გვავალდებულებს სიღრმისეულად და დეტალურად შევისწავლოთ იგი.

ძირითადი ტექსტი. ადამიანები კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იყენებდნენ სხვადასხვა სახის ფულად საშუალებებს. დღევანდელ დღეს ქვეყნებში სადაც საბაზრო ეკონომიკა განვითარებულია, მიმოქცევის საშუალებების უმეტესი ნაწილი უნადლო ფულზე მოდის. ელექტრონული ფულის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1860 წელს, როდესაც Western Union-მა შემოიღო ელექტრონული ფონდის გადარიცხვა (EFT) ეს იყო ელექტრონული ფულის დასაწყისი. 1918 წელს აშშ-ს Federal Reserv-მა ფული გადარიცხა ტელეგრაფით. შემდეგ კი კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებას მოჰყვა ბანკების მიერ მათდამი ადაპტირება და სულ უფრო მეტად გამოყენება, ამის მიზეზი კი გახდა ის, რომ ელექტრონული ფული, ფულადი

გადარიცხვების სწრაფად წარმოების საშუალებას იძლევა. თუ მე-19 საუკუნის პერიოდში საბანკო კუპიურა ფულის მნიშვნელოვანი ფორმა იყო, ელექტრონული ფულის დანერგვასთან და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მისი გამოყენება სულ უფრო მასშტაბური და ხელსაყრელი გახდა. ელექტრონულმა ფულმა შეცვალა უამრავი კერძო პირის და კომპანიის ცხოვრების სტილი, გაუადვილა მათ ცხოვრება. 1960-იან წლებში American Airlines და IBM შექმნეს სისტემა რომელსაც SABRE ეწოდა(ბიზნეს კვლევის ნახევრად ავტომატური გარემო) რამაც საშუალება მისცა American Airlines-ს ყოფილიყვნენ აღჭურვილები ტერმინალებით, რომლებიც სატელეფონო ხაზებთან იქნებოდნენ დაკავშირებულები, რომელიც თავის მხრივ დაეხმარებოდა სააგენტოებს ფრენის დროის გადამოწმებაში, თავისუფალი ადგილების ხელმისაწვდომობაში რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადგილების ელექტრონულად დაჯავშნა, ამ ყოველივეს ანგარიშსწორების განხორციელება კი კრედიტ-სისტემის გზით იყო შესაძლებელი. XX საუკუნის 70-იან წლებში ელექტრონული ფულის იდეა შემოთავაზებული იყო ამერიკელი მეცნიერის დავიდ ჩოუმის მიერ. ელექტრონულმა ფულმა ისეთივე გადატრიალება მოახდინა საბანკო სფეროში, როგორც ქალაქის ფულმა წინა საუკუნეში, რომელმაც უმალ შეცვალა ლითონის მონეტები. ევროპასა და ამერიკაში ბანკებმა კომპიუტერების გამოყენება 1970 წლიდან დაიწყეს, რაც მათ ტრანზაქციების მართვაში ეხმარებოდათ, ეს იყო სისტემა რომელმაც დაამტკიცა და მოიპოვა საერთაშორისო წარმატება, ისეთი შემთხვევებისთვის როცა საჭირო ხდებოდა ვალუტის გადაცვლა სხვა ვალუტაში.

ტექნოლოგიების განვითარებამ და კომპიუტერის საუკუნემ გამოიწვია ელექტრონული ფულის შექმნის შესაძლებლობა და ელექტრონული ფულის მთელი რიგი უპირატესობები ნაღდ ფულთან შედარებით უნაღდო ანგარიშსწორებაზე გადასვლამ დაადასტურა. დღესდღეობით მსოფლიო ფულის უდიდესი ნაწილი საბანკო ანგარიშებზე არის განთავსებული, იგი ანგარიშებზე დაცულ ელექტრონულ ფულს წარმოადგენს. ადამიანებს აქვთ საშუალება რომ გადასახადები ელექტრონული ფოსტით მიიღონ და მაშინვე ონლაინ სისტემით გადაიხადონ. ელექტრონული ფული მხოლოდ ციფრულ ფორმატში არსებობს და იგი პირველ რიგში ეფუძნება სმარტ ბარათებს და ინტერნეტს. გადარიცხვები რომლებიც კეთდება ელექტრონულად ცნობილია როგორც ელექტრონული ფული.

ელექტრონული ფულის სამომხმარებლო დონეზე გამოყენების პირველი შემთხვევა 1982 წელს საფრანგეთში მოხდა, როდესაც დაინერგა Minitel სერვისი. აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ბაზისური ტექსტის სერვისი განავითარეს, რომელიც დაეხმარა ტელევიზიებს განეთავსებინათ ტექსტი უშუალოდ ტელევიზორის ეკრანზე, ისეთი სახით, როგორცაა: პროგრამული გიდები, ახალი ამბები, თამაშის შოუს შედეგები ან ამინდის უახლესი ინფორმაციები. ტელე-ტექსტი იყო საჭირო მარტივი და ცალმხრივად განხორციელებული სერვისი. ფრანგული Minitel-სერვისი იყენებდა ცალმხრივ ტერმინალებს ჩაშენებული მოდემით, რომლის მომსახურება ხორციელდებოდა ტერმინალებზე და სტანდარტულ სატელეფონო ხაზებზე. რომლებიც აღჭურვილი იყვნენ სრული AZERTY კლავიატურით. მომხმარებლები იძიებდნენ საინფორმაციო შეტყობინებებს ან ბეჭდავდნენ შეტყობინებებს. ზემოთ ხსენებული Minitel-სერვისით სარგებლობის უფლება 9 მილიონ ბიზნეს მეწარმეს თავიანთი ბიზნესის წახალისებისთვის სრულიად უფასოდ შეეძლოთ. ანგარიშსწორების განხორციელება შესაძლებელი იყო საკრედიტო ბარათების საშუალებით ან ირიცხებოდა სატელეფონო ანგარიშზე, ეს იყო ელექტრონული ფულის სამომხმარებლო ბაზარზე გამოყენების პირველი შემთხვევა. შოტლანდიის ბანკისა და ნოტინგემის სამშენებლო საზოგადოების მხარდაჭერით 1983 წელს ამოქმედდა სერვისი რომელსაც Homelink-ის სახელით არის ცნობილი. ამ ანგარიშის მფლობელებს შეეძლოთ გამხდარიყვნენ Prestel-ის აბონენტები და ამ სერვისში ჩართვის გზით მოეხდინათ ონლაინ-გადარიცხვები, სწორედ ეს შემთხვევა იქნა აღიარებული როგორც ელექტრონული ფულის გამოყენების პირველი დარეგისტრირებული ფაქტი.

XX საუკუნის 90-იანი წლები აღმოჩნდა ელექტრონული ფულის აღიარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი. 1991 წელი იყო სამომხმარებლო ბაზარზე ინტერნეტის დანერგვის პერიოდი, და Arpanet ქსელის გაშვების წელი, თუმცა დიდი დრო არ დაჭირდა აშშ-ს და 1992 წელს სწორედ ამერიკის ონლაინ სივრცემ აიღო უპირატესობა ახალ ინტერნეტზე და თავიანთი აბონენტებისათვის დაიწყო საცალო მომსახურების შეთავაზება, რომლებსაც გადახდა საკრედიტო ბარათების საშუალებით შეეძლოთ. 1994 წელი იყო დიდი ნახტომი ინტერნეტისადმი რწმენისა და ნდობის მოპოვების საქმეში, ბიზნესის განვითარების და მართვის მხრივ. Pizza Hut-მა დანერგა იგივე მოდელი, რომელიც იყო გამოყენებული Peapod-ის მიერ, რაც თავისმხრივ გულისხმობდა ონლაინ შეკვეთებს და ორი ტიპის

ანგარიშსწორებას პირველი საკრედიტო ბარათით, ინტერნეტის საშუალებით და მეორე ნაღდი ფულით ადგილზე მიტანისას. 1995 წელს დაარსდა Amazon.com ამასთანავე 1998 წელს შეიქმნა Paypal, ონლაინ გადახდების წარმოება დროსთან ერთად საოცრად მოსახერხებელი და მარტივი გახდა, ონლაინ გადახდების წარმოება ყოველგვარი რისკის გარეშე ხორციელდებოდა, საკრედიტო ბარათზე ქურდობის რისკი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. დროთა განმავლობაში Paypal-მა უფრო დახვეწა თავისი მომსახურება, შექმნა სიახლე, რაც ემყარებოდა მომხმარებლებისათვის ვირტუალური ანგარიშების შეთავაზებას, რომელზეც ანგარიშსწორება საკრედიტო ბარათებით ან ონლაინ-გადარიცხვებით იქნებოდა შესაძლებელი, შემდეგ ფულის გაგზავნისა და მიღებისათვის გამოიყენებოდა ელფოსტის მისამართები, Paypal-ის სერვისი მიჩნეულია ელექტრონული ფულის უნიკალურ საწყისად, რომელიც ტრადიციული სატელეფონო და ონლაინ საკრედიტო ბარათების გადარიცხვებისგან აბსოლუტურად განსხვავებული სერვისი იყო. უფრო მეტიც, სხვა პროვაიდერების მიერ მოხდა Paypal-ის მოდელის გადაღება, მასში სიახლეების შეტანის გზით, მომხმარებლების ფონდის უსაფრთხოებისათვის ოქროს, ვერცხლის პლატინის ან პალადიუმის სტანდარტების შექმნა. თუმცა თანხის გაგზავნა-მიღების პროცედურა, ელექტრონულ მისამართზე საკმაოდ მოქნილი იყო. ვირტუალური ვალუტა, რომელიც გამყარებული იყო ძვირფასი ლითონებით შესაძლებლობას იძლეოდა გადაცვლილიყო ნებისმიერ ვალუტაზე, Webmoney ElibertyReserve, E-Gold, ეს სამი კომპანია იქცნენ ოქროთი გამყარებული ელექტრონული ფულის უდიდეს პროვაიდერებად. ყველაზე წარმატებულ ელექტრონულ ფულად მიიჩნევა საკრედიტო ბარათებზე არსებული ფული რომელიც აისახება ადგილობრივ(ეროვნულ) ვალუტაში. აშშ-ში სამხედრო დანაყოფებისთვის შეიქმნა სპეციალური საკრედიტო ბარათები Eagle Cash, რომელიც უზრუნველყოფდა ავანსის გაცემას სამხედრო პირებზე. ცოტა მოგვიანებით ჰონკონგმა შექმნა საკრედიტო ბარათები რომლის გამოყენებითაც მეტროს ბილეთების სწრაფად შეძენა იყო შესაძლებელი. ელექტრონული ფული მის მფლობელს აძლევს საშუალებას გამოიყენოს იგი უფრო მოქნილად, იმიტომ, რომ ის არ წარმოადგენს ქალაქს და მისი გამოყენება შეიძლება ყველა მიმართულებით შეუზღუდავად ისეთი ტექნოლოგიების დახმარებით როგორცაა ინტერნეტი. იგი მუშაობს „საჯარო და კერძო გასაღები“ სისტემის გამოყენებით, ხოლო მის უსაფრთხოებას PIN კოდი

უზრუნველყოფს. ზოგადად ელექტრონული ფულის იდენტიფიკაცია ხდება ციფრული ფულით, ციფრული ვალუტით ან ელექტრონული ფულით.

ელექტრონული ფულის გამოყენების ერთ-ერთი ცნობილი პროექტი შემუშავებულ იქნა ბელგიაში, ჯერ კიდევ 1995 წელს, Banksys-ის მიერ, რომელმაც შემდგომში მიიღო Proton-ის სახელწოდება. მისი მოქმედებებიც ზემოთ აღწერილი ელექტრონული ფულის მსგავსი იყო, 1996 წელს კი ბელგიურმა კომპანიამ Anksys-მა და American Express-მა დადეს შეთანხმება რაც ითვალისწინებდა, ელექტრონული ტექნოლოგიის Proton-ის გამოყენებას. შემდგომში მოხდა დაპროგრამებული მიკროპროცესორების ჩაშენება American Express-ის ბარათებში, და მიღებული ელ, საფულის გამოყენება შესაძლებელი იყო წვრილმანი გადახდებისათვის, მაგალითად როგორცაა: სატელეფონო საუბრები, სავაჭრო ავტომატებით სარგებლობა, ტრანსპორტზე მგზავრობის სავასურის გადახდა და სხვა. ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებასთან და 1990–იანი წლიდან ინტერნეტის მომხმარებლების მკვეთრ მატებასთან ერთად გაჩნდა ელექტრონული ვალუტები, რომელთა მეშვეობითაც ვირტუალურ საზოგადოებაში მომსახურებისა და საქონლის გაცვლაა შესაძლებელი. 2000 წლიდან ევროკავშირი იწყებს „ციფრული ფულის ინსტიტუტების“ მეთვალყურეობას. 2009 წელს ახალი ტიპის ციფრული ვალუტის ე.წ კრიპტო გრაფიული ვალუტის (როგორც არის, bitcoin) გამოჩენამ და მისი ცნობადობის გაზრდამ ახალი გამოწვევების პირისპირ დააყენა ცენტრალური ბანკები. ხშირი კვლევის საგანი გახდა კრიპტოგრაფიული ვალუტების გადახდების შენახვისა და განხორციელების თავისებურებები და დეცენტრალიზებული სტრუქტურა. bitcoin–ისმაგალითზე, განხილულია კრიპტოგრაფიული ვალუტის ფუნქციონირებისა და შექმნის სქემა. ყურადღება გამახვილებულია მის ნაკლოვანებებზე, აგრეთვე აღბეჭდილია გამოწვევები ზედამხედველობისათვის. ელექტრონული ვალუტები, ფულის წინსვლის ხანგრძლივი ისტორიის თანამდროვე ეტაპია. ვალუტის/ფულის კლასიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: ფულის ფორმატი და იურიდიული სტატუსი. ფორმატის მიხედვით ფული შესაძლებელია დაიყოს ციფრულ და ფიზიკური ფორმის ფულად. ფიზიკური ფორმის ვალუტები იყოფა ორ ტიპად. მონეტები, არარეგულირებადი. ე.წ კერძო ფული /ლოკალური და რეგულირებადი ვალუტები, როგორებიცაა არის ცენტრალური ბანკის მიერ ემიტირებული ბანკნოტები. რეგულირებადი ციფრული ვალუტები შეიძლება გამოიყოს

ანალოგიურად ციფრული ფორმატის ვალუტებში, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული კომერციული ბანკის ფულია. ამავე კატეგორიას ეკუთვნის ელექტრონული ფულიც, რომელიც.

ა) შენახულია ელექტრონულად.

ბ) წარმოადგენს მოთხოვნას მისი გამომშვების მიმართ.

გ) გამომშვებული მონეტარული სიდიდე ექვივალენტურია მიღებული ფულადი საშუალებების ოდენობისა.

დ) აღიარებულია გადახდის საშუალებად გამომშვების გარდა სხვა პირების მიერ.

ევროპის ცენტრალური ბანკის კლასიფიკაციის შესაბამისად, „ვირტუალური ვალუტა არარეგულირებადი ციფრული ფულის ტიპია, რომლის გამოშვება და ჩვეულებრივ კონტროლი ხდება მათი შემქმნელების მიერ და გამოიყენებას პეციფიკური ვირტუალური საზოგადოების წევრების მიერ“. ვირტუალური ვალუტები გამოყენების სფეროთი და ფორმით ძალიან გავს ელექტრონულ ფულს. ამდენად, მნიშვნელოვანია მათი განსხვავება. ამ კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ელექტრონული ფული მოთხოვნაა მისი ემისიონერის მიმართ და მისი ემისია ხდება მიღებული ფულადი საშუალებებით. განსხვავება ვირტუალურ ვალუტასა და ელექტრონულ ფულს შორის ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად.

ა) ვირტუალური ვალუტით რეალური საქონლისა და მომსახურების შექმნის შესაძლებლობა.

ბ) რეგულირებადი ვალუტით ვირტუალური ვალუტის შექმნის შესაძლებლობა.

ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაციიდან გამომდინარე ვირტუალური ვალუტის 3 ძირითადი სქემა გამოიყოფა.

1. დახურული ვირტუალური ვალუტის ტიპი: ვირტუალურ ვალუტას არ აქვს შეხება რეალურ ეკონომიკასთან. ასეთი ვალუტები ძირითადად გამოიყენება თამაშებისათვის. მაგალითად: მონაწილეობის მონაწილის ონლაინ მოქმედებების ან საფასურის სანაცვლოდ მომხმარებელი იღებს ვირტუალურ ფულს, რომლის გამოყენება შესაძლებელია თამაშში (ან მსგავს ვირტუალურ საზოგადოებაში ვირტუალური მომსახურებისა და საქონლის შესაძენად. ამ ვირტუალური საზოგადოების გარეთ მსგავსი ვირტუალური ვალუტის მოხმარება შეუძლებელია. მსგავსი ვალუტის კარგი მაგალითია ცნობილი ინტერნეტ თამაში „World of Warcraft“ (WoW).

2. ცალმხრივი ვირტუალური ვალუტის ტიპი ციფრული ვალუტა შეიძლება იყიდოს რეალური ვალუტის ნაცვლად მაგრამ, აღნიშნული ტრანზაქციის უკან დაბრუნება ნებადართული არ არის. გადაცვლის კურსი და პირობები განისაზღვრება ვალუტის შემქმნელის მიერ. ჩვეულებრივ მსგავსი ვალუტებით შესაძლებელია მომსახურებისა და ვირტუალური საქონლის შესყიდვა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შეიძლება რეალურ მომსახურებისა და საქონლის შექმნაც. 2009 წელს დანერგილი ფეისბუქ კრედიტი (Facebook Credit), რომლის შესყიდვაც შესაძლებელი იყო საკრედიტო ბარათით, „ფეიფალით“ (Paypal), ან გადახდის სხვა მეთოდებით. ასევე არსებობდა მათი გარკვეული ქმედებებით გამოიმუშავების შესაძლებლობა. შესაძლებელი იყო ფეისბუქ კრედიტებით, ფეისბუქზე ვირტუალური პროდუქტების ყიდვა/გაყიდვა მაგრამ, უკუ გადაცვლა რეგულირებად ვალუტაზე შესაძლებელი არ იყო.

3. ორმხრივი ვირტუალური ვალუტის ტიპი: ციფრული ვალუტის ყიდვა/გაყიდვა რეალური ვალუტის სანაცვლოდ არის შესაძლებელი, ასევე (როგორც წესი) შეზღუდვების გარეშე შესაძლებელი არის მომსახურებისა და რეალური საქონლის შესყიდვა.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ელექტრონული ვალუტის კლასიფიკაციისთვის იყენებენ ასევე ვირტუალური ვალუტის ცენტრალიზაციის სისტემას (ცენტრა-ლიზებული და დეცენტრალიზებული სისტემები), ან თავად გადახდის პროცესში ჩართული სანდოდ მიჩნეული მესამე მხარის არსებობა/არარსებობას (ონლაინ და ოფლაინ სისტემები).

ა) ონლაინ და ოფლაინ სისტემები

ონლაინ სისტემისას ციფრული ვალუტით ანგარიშსწორებისას ტრანზაქციის განხორციელებისათვის საჭიროა, სანდო მესამე მხარის მონაწილეობა, რადგან გადამოწმდეს გადახდილი ციფრული ვალუტის სისწორე და აცილებულ იქნეს რადგან გადამოწმდეს გადახდილი ციფრული ვალუტის სისწორე და აუცილებლად უნდა ითქვას, მსგავსი სქემით მუშაობს ელექტრონული ფული აგრეთვე ჩვენთვის იქნეს თავიდან ერთიდა იგივე ვალუტით ორმაგი ანგარიშსწორება. აგრეთვე ყველასთვის ცნობილი ტრადიციული პლასტიკური ბარათები.

ოფლაინ სისტემების შემთხვევაში გადახდის დროს, გადახდის სისწორეს მიმღები მხოლოდ ნახევრად ამოწმებს, ხოლო ბოლო შემოწმება ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ ხდება. ციფრული ვალუტის გამომწვევსა და მიმღებს შორის მონაცემების გაცვლის შემდგომ. მსგავსი

ტიპის სისტემები არის მაგალითად ციფრული ნაღდი ფულის ოფლაინ სისტემები [electronic cash, E-Cash].

ბ) ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემა

ფულის ციფრულად შენახვისა და ელექტრონული საგადახდო სისტემების შექმნისთანავე ჩნდება მათი მინიმალური მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა არსებობისათვის. კერძოდ.1. გაყალბების შეუძლებლობა. განსაკუთრებით ელექტრონული ვალუტის შემთხვევაში მნიშვნელოვანი არის, რომ მისი გამოშვება ხდებოდეს წინასწარ განსაზღვრული, საჯარო ალგორითმით ან მხოლოდ ავტორიზებული პირის ან პირების მიერ;

2. ორმაგი გადახდის თავიდან აცილება (doublespending perceptibility);

3. დანაწევრების შესაძლებლობა (Divisibility);

4. განხორციელებული ტრანზაქციების შენახვა (data attachability);

5. ანონიმურობა და არალეგალური ოპერაციების შემთხვევაში ანონიმურობის გახსნის (Anonymityrevocation) შესაძლებლობა.

6. ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობა (Transferability);

ელექტრონული ვალუტის განვითარების საწყის ეტაპზე, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება სისტემების შესაბამისი ცენტრალიზაციის ხარჯზე ხდება. კერძოდ, ცენტრალიზებული სისტემების დროს ვალუტის ემისია ხორციელდება სანდო მესამე მხარის მეშვეობით, რომელიც მის მიერ დანერგილი აღრიცხვის სისტემების და უსაფრთხოების საშუალებით უზრუნველყოფს მოცემული მოთხოვნების შესრულებას. მიმდინარე ეტაპზე ცენტრალიზებული სტრუქტურა აქვს ყველა რეგულირებად ციფრული ფორმატის ვალუტას (ფული ანგარიშებზე კომერციულ ბანკში და ელექტრონული ფული), ისევე როგორც არა რეგულირებადი ციფრული ვალუტების ნაწილს. მაგალითად, თამაშ SecondLife-ში Linden Dollars, რომლის გამოშვებასაც ახორციელებს თამაშის ორგანიზატორი. დეცენტრალიზებული სისტემის დროს კი ციფრული ვალუტა გამოდის წინასწარ განსაზღვრული ალგორითმით და არარსებობს ორგანო, რომელიც გავლენას იქონიებს ფულის გამოშვებაზე. ასეთ ვალუტას ბიტკოინი (bitcoin) წარმოადგენს და მსგავსი ელექტრონული ვალუტები.

დეცენტრალიზებული სისტემების გამოჩენასთან ერთად ჩნდება ტერმინი „კრიპტოგრაფიული ვალუტები“, რომლებიც იყენებენ კრიპტოგრაფიულ მეთოდებს გადარიცხვების შესრულებისთვის, ორმაგი

ანგარიშსწორების თავიდან აცილების, მათი ახალი ფულის შექმნის კონტროლის და უცვლელობის დაცვისათვის .

დასკვნა. როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს ციფრულ ვალუტებს მთელი რიგი განსხვავებებისა ელექტრონული ფულისაგან მაინც გააჩნია ის ძირითადი მახასიათებლები რაც აუცილებელია ფულადი ერთეულის ნებისმიერი საშუალებისათვის და რომელთა ჩამოყალიბებაც მრავალი საუკუნის ეკონომიკური ისტორიის მონაპოვარია. ყოველივე აქედან გამომდინარეობს ის რომ მისი ბევრ ქვეყანაში არსებული ორმაგი სტანდარტისა რომელიც ეხება ციფრული ფულის აკრძალვას ჩვენ მაინც გვიწევს ციფრულ ფულთან თანაარსებობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ECB, (2012): “Virtual Currency schemes. October 2012”. European central Bank, Frankfurt am Main <https://www.ecb.europa.eu/pub/pdf/other/virtualcurrencyschemes201210en.pdf>
2. Liu Deborah (2010), “Expanding Our Commitment to Facebook Credits”, Facebook Developer Blog, February, <https://developers.facebook.com/blog/post/2010/02/25/expanding-our-commitment-to-facebook-credits/>
3. Andy Greenberg (2011). “Crypto Currency”. <http://www.forbes.com/forbes/2011/0509/technology-psilocybin-bitcoins-gavin-andresen-crypto-currency.html> Retrieved 8 August 2014
4. Jerry Brito, Ansrea Castillo 2013: Bitcoin, a Primer for Policemakers, Mercatur Center, 2013, <https://www.researchgate.net/publication/269707314_Bitcoin_A_Primer_for_Policemakers>
5. Satoshi Nakamoto (2008): “Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System”, 2008. <https://bitcoin.org/bitcoin.pdf> Retrieved 28 April 2014.
6. Carroll and Mark Krotoski 2014: “Using ‘Digital Fingerprints’ (or Hash Values) for Investigations and Cases Involving Electronic Evidence,” 62 United States Attorneys’ Bulletin 44-82 (May 2014) https://www.morganlewis.com/-/media/files/publication/outside-publication/article/krotoski_hashvalueselectronicvidence_may2014.ashx

კომერციული ბანკის საპროცენტო პოლიტიკის ანალიზი

Commercial Bank Interest Policy Analysis

ზაიკო სურამელი

საბანკო საქმის მაგისტრი, zaikozaiko123@gmail.com

Zaiko Surameli

Master of Banking, zaikozaiko123@gmail.com

რეზიუმე. პროცენტული რისკი საპროცენტო განაკვეთების დონის დროში ცვლილების შედეგად ფინანსური დანაკარგების ალბათობაა. კომერციული ბანკებისადმი გამოყენებით პროცენტული რისკი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად ბანკის სუფთა შემოსავლის შემცირების რისკი მისი კაპიტალის ღირებულების დაკარგვამდეც.

ამრიგად, პროცენტული რისკი ასახავს საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებისადმი მიდრეკილების დონეს. პროცენტული რისკის მიღება კომერციული ბანკისათვის აბსოლუტურად ნორმალურს წარმოადგენს, და ასეთი რისკი შეიძლება დამატებითი მოგების მიღების წყაროდ გამოვიდეს. ამასთან ერთად მოცემული ბანკისათვის ჭარბი რისკის დონე კონკრეტულ ეკონომიკურ პირობებში ზოგჯერ არნიშნული ბანკის ფინანსური მდგომარეობისათვის სერიოზულ მუქარას ქმნის.

ჩვენს წინამდებარე სტატიაში განვიხილეთ კომერციული კომერციული ბანკის მიერ გატარებული საპროცენტო პოლიტიკა და მისი არსებულ რელობასთან შესატყვისი პოლიტიკის მოდიფიცირების მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: საბანკო რისკი, საკრედიტო პოლიტიკა, დიურაციის მეთოდი; იმიტაციური მოდელირება; საპროცენტო განაკვეთი.

Abstract. Interest rate risk is the probability of financial losses as a result of changes in interest rate levels over time. Percentage risk used by commercial banks can be defined as the risk of a bank reducing its net income as a result of changes in interest rates before losing its capital value.

Thus, percentage risk reflects the level of propensity for an adverse change in interest rates on the financial position of a credit organization. Accepting interest rate risk is absolutely normal for a commercial bank, and such risk can be a source of additional profit. In addition, the level of excess risk for a given bank in certain

economic conditions sometimes poses a serious threat to the financial condition of the designated bank.

In our present article, we have discussed the interest rate policy pursued by the Commercial Commercial Bank and the directions for modifying the policy in line with its existing reality.

Keywords: Banking risk, Credit policy, Duration method; Imitation modeling; Interest rate.

პროცენტული რისკი წარმოიშობა ფულადი ბაზრის სამომავლო მდგომარეობის მიმართებაში ინფორმაციის განუსაზღვრელობის, ასევე მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, მაგალითად, ინფლაციის ტემპების, საბიუჯეტო დეფიციტის სიდიდის, შიდა ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპების ცვლილების შედეგად. პროცენტული რისკის ფაქტორებს ასევე კომერციული ბანკის ფინანსური მდგრადობა მიეკუთვნება.

ბაზელის კომიტეტის მიერ პროცენტული განაკვეთის მართვის პრინციპებში პროცენტული რისკოს შემდეგი ოთხი წყაროა გამოყოფილი: ფასის ცვლილების რისკი, შემოსავლიანობის მრუდის ცვლილების რისკი, საბაზისო რისკი, ოფციონებთან დაკავშირებული რისკები. ამრიგად, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები შეიძლება არასაურველად აისახოს როგორც ბანკის შემოსავლებზე, ასევე მისი კაპიტალის ღირებულებაზეც.

პროცენტული რისკის შეფასების ძირითადი მეთოდების სახით გამოყოფენ შემდეგს:

1) პროცენტული რისკების ცვალებადობისადმი მიდრეკილების აქტივებსა და პასივებს შორის წყვეტადობის ანალიზის მეთოდი {GAP (გეპ) ანალიზის მეთოდი};

2) დიურაციის მეთოდი;

3) იმიტაციური მოდელირება;

4) ანალიზის სტატისტიკური მეთოდები.

პროცენტული რისკების ცვალებადობისადმი მიდრეკილების აქტივებსა და პასივებს შორის წყვეტადობის ანალიზის მეთოდი {GAP (გეპ) ანალიზის მეთოდი}. აღნიშნული მეთოდი დაფუძნებულია აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობებს შორის გაზომვებზე, რომელთა ღირებულება დროის დასახული პერიოდის შემდეგ იძულებული იქნება შეიცვალოს. ამასთან მოთხოვნილებები და ვალდებულებები დაიყოფა ჯგუფებად პროცენტული გადახდების რეგულირების სისწრაფესთან და

განაკვეთების ახალ დონეზე გადასვლის შესაბამისობაში. ჩვეულებრივად გამოიყენება შემდეგი კლასიფიკაცია:

RSA - არის აქტივები მოძრავი საპროცენტო განაკვეთებით;

RSL - არის პასივები მოძრავი საპროცენტო განაკვეთებით.

აქტივებისა და პასივების მითითებულ კატეგორიებს შორის თანაფარდობა ბანკის პროცენტული რისკისადმი მიდრეკილების მახასიათებელია. აღნიშნულმა ანალიზმა GAP ანალიზის განსაზღვრა მიიღო და იგი პროცენტული რისკის შეფასების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მარტივ ხერხს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში თუ $RSA > RSL$, GEP ითვლება დადებითად; როდესაც $RSA < RSL$ - უარყოფითად.

თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ბანკისათვის უფრო სასურველია თანაფარდობა, როდესაც GAP დადებითია, ანუ მოძრავი პროცენტული განაკვეთებიანი აქტივების რაოდენობა მეტია პასივების შესაბამის სიდიდეზე, რასთან დაკავშირებით დიდდება აქტიურ და პასიურ ოპერაციების განაკვეთებში სხვაობა - იზრდება პროცენტული მარჟა.

საპირისპირო შემთხვევაში, პროცენტის საბაზრო დონის დაცემისას სასურველია უკუ ტაქტიკას დაეჭიროს მხარი და ფიქსირებული განაკვეთებიანი აქტივების გამაგრება მცურავი საპროცენტო განაკვეთებიანი პასივებით განხორციელდეს.

მთლიანობაში სუფთა პროცენტული შემოსავლის (პროცენტული მარჟის - მჟ) მოსალოდნელი ცვლილება საპროცენტო განაკვეთების გადახედვის ვადებისა და სიჩქარის მიხედვით აქტივებისა და პასივების დაუბალანსებულობასთან დაკავშირებით გამოიხატება შემდეგი დამოკიდებულებით:

$$M = GAP \times \Delta i,$$

სადაც: Δi - არის საპროცენტო განაკვეთების მოსალოდნელი ცვლილება.

პროცენტული რისკისადმი ბანკის მიდრეკილების ხარისხის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებელი:

$$IR = GAP : A,$$

სადაც, A - არის აქტივები-ნეტო.

GAP-ით მართვა საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ციკლის განმავლობაში პროცენტული მარჟის მაქსიმუმის ამოცანას ითვალისწინებს, როგორცაა: 1) განაკვეთების, ვადების, აქტივების პორტფელის ეკონომიკის სექტორების მიხედვით დივერსიფიცირებულობის, მისი მაღალი ლიკვიდობის, აქტივებისა და

პასივების დაფარვის ვადების მიხედვით მაქსიმალურად დაბალანსების უზრუნველყოფისაკენ მისწრაფების მხარდაჭერა. 2) საპროცენტო განაკვეთების ციკლის თითოეული ეტაპისადმი ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის შესაბამისი სტრატეგიის გამოყენება. მაგალითად, დაბალი საპროცენტო განაკვეთების ეტაპზე მათი ზრდის მოლოდინისას მიზანშეწონილია სახსრების მოსესხების ვადები გაიზარდოს, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი კრედიტების მოცულობა შემცირდეს, ინვესტიციების ვადები შემცირდეს, მოზიდულ იქნას გრძელვადიანი სესხები, დახულული იქნას საკრედიტო ხაზები.

დიურაციის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი საპროცენტო განაკვეთების დონის პროგნოზირებადი მოძრაობისას ბანკის კაპიტალის ღირებულების მოსალოდნელი ცვლილების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. მიცემული მეთოდი დაფუძნებულია დიურაციის - პროცენტული აქტივებისა და პროცენტული პასივების ერთობლივ ხანგრძლივებას შორის შეუსაბამობის განსაზღვრაზე განსაზღვრაზე. დიურაციის გაანგარიშებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$DGAP = DA - (DL \times L : A) ,$$

სადაც: DGAP - არის დიურაცია;

A - არის აქტივები;

L - არის პასივები;

DA - არის აქტივების დიურაცია;

DL - არის პასივების დიურაცია.

დიურაციის განსაზღვრისას გაითვალისწინება მხოლოდ პროცენტის სახით შემოსავლის მომტანი ინსტრუმენტები (პროცენტული ინსტრუმენტები). თუ დიურაციას მათემატიკურ განსაზღვრა მიეცემა, მაშინ დიურაცია - არის საშუალოშეწონილი ხანგრძლივობა აქტივების (ვალდებულებების) დაფარვამდე, ამასთან შეწონვის ფაქტორის სახით შესაბამისი ინსტრუმენტის მიხედვით ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება გამოიყენება.

ცალკეული ინსტრუმენტის დიურაციის გაანგარიშებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$D = \sum CF^t : (1 + i)^t * t / PVCF^{t=1} ,$$

სადაც: t - არის პერიოდების რაოდენობა;

CFt - არის ფულადი ნაკადი t პერიოდში;

i - არის საბაზრო შემოსავლიანობა დაფარვისათვის;

PVCFt = 1 - არის აქტივის (პასივის) მიმდინარე ღირებულება.

დიურაცია ბანკის კაპიტალის ღირებულების (EV) მოსალოდნელი ცვლილების გაანგარიშებისათვის საპროცენტო განაკვეთების შესაძლო მოძრაობასთან დაკავშირებით გამოიყენება.

$$EV = -DGAP \times \Delta i : (1 + i) A.$$

იმიტაციური მოდელირება ბანკის ბალანსის სამომავლო სტრუქტურის სხვადასხვა სცენარებისა და საპროცენტო განაკვეთების შემოსავლიანობის მრუდის ცვლილებას ითვალისწინებს. მთლიანობაში იმიტაციური მოდელირების შედეგები დამოკიდებულია მოდელირების ორ ხერხზე: სტატისტიკურზე და დინამიურზე.

სტატისტიკური მოდელირება ითვალისწინებს, რომ საბალანსო და გარესაბალანსო მოთხოვნებისა და ვალდებულებების სტრუქტურა არ იცვლება, ანუ ბანკი ანალიზირებად პერიოდში რესურსების არც მოზიდვას, არც განთავსებას არ გეგმავს.

დინამიური მოდელირებას ახორციელებენ ბალანსური და გარესბალანსური მუხლების აქტივებისა და პასივების მიმდინარე სტრუქტურიდან გამომდინარე, მაგრამ სახსრების მოზიდვასთან და განთავსებასთან მიმართებაში მომავალში მოსალოდნელი ოპერაციების გათვალისწინებით.

იმიტაციური მოდელირების შედეგს წარმოადგენს საპროცენტო რისკის შეფასება როგორც მოქმედი საპროცენტო განაკვეთებისა სტატისტიკური სცენარისათვის განსაზღვრული პროცენტული მარჟის სიდიდესა და თითოეული სხვა მოდელისათვის გაანგარიშებულ პროცენტულ მარჟას შორის სხვაობა.

ანალიზის სტატისტიკური მეთოდები. რისკის რაოდენობრივი შეფასების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სტატისტიკურ მეთოდს VAR - ანალიზი (Value at risk) წარმოადგენს. მეთოდოლოგია VAR ფინანსური ინსტრუმენტის ფასის (შემოსავლიანობის) ცვლილებისაგან დამოკიდებულებაში შესაძლო დანაკარგების დასახული ალბათობით რაოდენობრივად შეფასების შესაძლებლობა იძლევა, ფინანსური ბაზრის შედარებით სტაბილური მდგომარეობისას წარსულში ფასის განმსაზღვრელი ფაქტორების ინტეგრირებულ ზემოქმედებას ასახავს.

VAR - ანალიზი სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია - დელტა-ნორმალური მეთოდი, რომლის საფუძველში საბაზრო ინსტრუმენტების ლოგარითმული

შემოსავლიანობების განაწილების ნორმალური კანონის შესახებ მოსაზრებაა ჩადებული. დელტა-ნორმალური მეთოდის ძირითადი უპირატესობებია: რეალიზაციის შედარებითი სიმარტივე, შედარებით მცირე დანახარჯები, შეფასების მისაღები სიზუსტე. როგორც სტანდარტულ ტექნოლოგიებში გამოყენებადი სტატისტიკური შეფასების მეთოდი, VAR - ანალიზი პროცენტული რისკის შეფასებისათვის გამოიყენება.

მაჩვენებელი VAR დასახული ალბათობით ბანკის ბალანსის სტრუქტურის გათვალისწინებით დასახულ დროით ჰორიზონზე დანაკარგების შესაძლო სიდიდის შეფასების შესაძლებლობას იძლევა:

$$VAR = k1-a \sigma *V \Delta T ,$$

სადაც: σ - არის ინსტრუმენტის შემოსავლიანობის სტანდარტული გადახრა;

$k1-a$ - არის კვანტილი ნორმალური განაწილების დასახული ნდობითი დონისას;

T - არის შეფასების დროითი ჰორიზონტი;

V - არის ღია პოზიცია პროცენტული რისკის ნაწილში.

საპროცენტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპების სახით შეიძლება დასახელებული იქნას შემდეგი:

1) ბანკის მართვის ორგანოების მიერ პროცენტული რისკის მართვის სტრატეგიისა და პოლიტიკის დამტკიცების აუცილებლობა;

2) ბანკში პროცენტული რისკის მართვაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირები ან კომიტეტები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული;

3) რისკების მართვის საკითხებთან მიმართებაში ადექვატური პოლიტიკისა და ინსტრუმენტების არსებობა არის აუცილებელი;

4) ბანკებმა ახალი ფინანსური პროდუქტებისა და ოპერაციებისათვის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირება უნდა განახორციელონ და მათი ადექვატური მართვა უზრუნველყონ;

5) ბანკებს პროცენტული რისკის ყველა წყაროებისა და პროცენტული განაკვეთების გაზომვის შედეგის შეფასების სისტემები უნდა გააჩნდეს;

6) ბანკებმა საოპერაციო ლიმიტები და სხვა შეზღუდვები შიდა პოლიტიკისა და შიდა პროცედურების დამტკიცებულ ჩარჩოებში უნდა დაადგინონ;

7) ბანკებს პროცენტული რისკის დონის შეფასებისათვის, მონიტორინგისათვის, კონტროლისა და ანგარიშგებების წარდგენისათვის ადექვატური საინფორმაციო სისტემები უნდა გააჩნდეთ;

8) ბანკს პროცენტული რისკის მართვის პროცესის შიდა კონტროლის ადექვატური სისტემის უნდა ჰქონდეს.

საპროცენტო რისკის მართვის ძირითადი პრინციპები სპეციალურ საბუთში უნდა იყოს ასახული და მართვის ორგანოს მიერ უნდა იქნას დამტკიცებული. როგორც წესი, ასეთი დოკუმენტის სახით „კომერციული ბანკის საპროცენტო პოლიტიკა“ გამოიყენება.

საპროცენტო პოლიტიკა ფართე გაგებით - არის პროცენტული განაკვეთების მართვის მეშვეობით ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებასთან მიმართებაში ერთობლივი ღონისძიებები. კომერციული ბანკების საპროცენტო პოლიტიკა საბანკო ოპერაციებიდან სუფთა პროცენტული შემოსავლის მაქსიმიზაციაზე, საკრედიტო რისკის დაზღვევაზე და ბანკის ბალანსის ლიკვიდობის მართვაზე არის მომართული.

საპროცენტო პოლიტიკის მეშვეობით ბანკი წყვეტს შემდეგ ამოცანებს:

1) ისახავს მიზნებს, რომლის რეალიზაციაზე საპროცენტო პოლიტიკის განხორციელება არის მიმართული;

2) განსაზღვრავს ბანკის მართვის ორგანოების უფლებამოსილებებს;

3) ადგენს საბანკო ოპერაციების მიხედვით მაქსიმალურ და მინიმალურ საპროცენტო განაკვეთებს;

4) განსაზღვრავს ბანკის ქვედანაყოფს, რომელიც საპროცენტო რისკის შეფასებაზე პასუხისმგებელი;

5) ამტკიცებს მოდელს, რომლებიც ბანკის მიერ საპროცენტო რისკის შეფასებისათვის გამოიყენება;

6) ადგენს ინსტრუმენტარებს, რომლებიც საპროცენტო რისკის შეზღუდვისათვის გამოიყენება.

საპროცენტო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების დიფერენციაცია, რომელიც განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა საკრედიტო განაკვეთის რისკის დონით და დამოკიდებულია შემდეგი ფაქტორებისაგან: კრედიტის ხარისხის კატეგორიისაგან; უზრუნველყოფის არსებობის, საკმარისობისა და ლიკვიდობისაგან; დსაკრედიტების ვადის, კრედიტის დაფარვის ან პროცენტების გადახდის მიხედვით გადავადების არსებობისაგან; მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით აღებული ვალდებულებების დაცვისაგან.

მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების არ დაცვისას ბანკი საჯარო პროცენტებს არიცხავს, რომელთა დონე შეუსრულებელი

ვალდებულებების ხასიათისაგან არის დამოკიდებული. როგორც წესი, თუ მსესხებელი ვადაგადაცილებულ დავალიანებას უშვებს, მისდამი გამოიყენება სანქცია რეფინანსირების ორმაგი განაკვეთის მიხედვით საჯარიმო პროცენტების დარიცხვის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014.
2. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიეშვილი ვ. - ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა: „დანი“, 2017.
3. AttannM. – Credit Risk, Valuation: Methods, and Applications. 2-thed. Berlin, 2012.
4. Brock, W.A.(2011), “A simple perfect foresight monetary model”, Journal of Monetary Economics, No. 1, Pp. 133-150; Calvo, Guillermo A. (1979), “On models of money and perfect foresight”, International Economic Review, Vol.20, Pp. 83-103; Gale, D. (1973), “Speculative hiperinflations in maximizing models: Can we rule them out?”, Journal of Political Economy, Vol. 91, Pp. 657-687.
5. De Melo, Martha, Cevdet Denizer, and Alan Gekb (2007), “From Plan to Market: Patterns of Transition”, In: Blejer, M., and M. Skreb (eds), Macroeconomic Stabilization in Transition Economies, Cambridge: Cambridge University Press. P. 170.
6. Cottarelli, Carlo, and Peter Doyle (2009), “Taming Inflation in the Transition Economies”, IMF: Finance and Development, Volume 36, No.2, June.

ფინანსური ინოვაციების ეფექტიანობა ბანკებში და არასაბანკო
საკრედიტო ორგანიზაციებში
**The effectiveness of financial innovation in banks and non-banks
credit institutions**

ქუთათელაძე ალექო
პროფესორი, სტუ
ნიკურაძე რუსუდან
დოქტორანტი, სტუ
Kutateladze Aleko
Professor of GTU
Nikuradze Rusudan
PHD student of GTU

რეზიუმე. ამჟამად ფინანსური ინოვაციების აქტიური დანერგვის აუცილებლობა ნაკარნახევია რიგი ობიექტური ფაქტორებით:

- საბანკო სისტემის განვითარების ექსტენსიური მოდელიდან ინტენსიური განვითარების მოდელზე გადასვლა.

- საბანკო კონკურენციის განმტკიცება და ამისი მეთოდების პრიორიტეტების შეცვლა, ფასების მეთოდიდან არასაფასო მეთოდზე გადასვლა.

- ფინანსური გლობალიზაცია, რომელიც გამოიხატება უცხოური საბანკო კაპიტალის შემოდევით, რაც მოითხოვს ცალკეული ბანკების, მთლიანობაში საბანკო სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და აღნიშნული ზრდის ურთიერთდამოკიდებულებას გლობალურ ფინანსურ ბაზარზე.

- საზოგადოების ფინანსური კულტურის ზრდა, რაც გამოხატულია ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებისადმი საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდით და ფინანსური ინოვაციების აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებით. ინტერნეტის მეშვეობით ფიზიკური პირების საბანკო ონლაინ ოპერაციების მოცულობა 35.3%-ით, ხოლო მობილური აპლიკაციები- 60% -ით გაიზარდა;

არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მზარდი ექსპანსია, რომლებიც საბანკო სექტორის სრულფასოვანი მონაწილეები არიან, იდენტური პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებით აიძულებენ კომერციულ ბანკებს, არა მარტო გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და შეთავაზებული პროდუქტები, არამედ განავითრონ ახალი სერვისები.

არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გამოიხატება იმაში, რომ 2013 წლის სექტემბრიდან ისინი ჩართულები არიან საქართველოს ცენტრალური ბანკის, როგორც მეგარეგულატორის იურისდიქციაში. ამრიგად, არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები გახდნენ საბანკო სისტემის ნაწილი არა მხოლოდ დეფაქტო, არამედ დეიურე.

ეს ყველაფერი იწვევს ფინანსური ინოვაციების ღრმა და ყოვლისმომცველ შესწავლის აუცილებლობას, რომელიც მოიცავს თეორიული, მეთოდოლოგიური და გამოყენებითი საკითხების დამუშავებას, განვითარების საკითხების შესწავლასა და ღრმა ანალიზს როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების სფეროში.

საკვანო სიტყვები: ფინანსური ეფექტიანობა, კომერციული ბანკები, ფინანსური ინოვაციები, საბანკო სისტემა, ეკონომიკური ეფექტიანობა, სოციალური ეფექტიანობა,

Resume. Currently, the need for active introduction of financial innovations is dictated by a number of objective factors:

- The transition from an extensive model of banking system development to an intensive development model, which is reflected in both the quality of the banks themselves and the quality of the products offered.
- Strengthening banking competition and changing the priorities of its methods. Currently, the key to success for most banks is product differentiation, one of the means of which is to introduce innovation.
- Financial globalization, which is reflected in the inflow of foreign banking capital, which requires the competitiveness of individual banks, the banking system as a whole and this increases interdependence in the global financial market. According to the Bank of Georgia, the share of financial credit organizations with the participation of foreign capital increases by 4.5 % in the first quarter of 2008 and as of November 1, 2014 amounted to 22% of the total number of credit organizations.
- The growth of the financial culture of the society, which is reflected in the increase of public interest in financial products and services and raising awareness of the need for financial innovation. The volume of online banking transactions of individuals through the internet increased by 35.3%, while mobile applications increased by 60%;

- The shift in meeting the need of the population, led by the commercial bank and the pyramid of goals of non-bank credit organizations, requires the introduction of new banking products and new service technologies.

However, not only banks are currently the initiators of the introduction of financial innovations. The modern stage of development is characterized by a significant increase in the role of non-bank credit organizations (Their share in 2018 increased by 4.2% compared to 2008 and as of November 1, 2018 – 91 organizations.) that are actively involved in the introduction of financial innovation.

The growing expansion of non-bank credit organizations, which are full-fledged participants in the banking sector, is offering identical products and services to commercial banks, not only to improve the quality of services and products offered, but also to develop new services.

Raising public awareness about the important role of non-bank credit organizations is reflected in the fact that since September 2013, they have been involved in the jurisdiction of the Central Bank of Georgia as a regulator. Thus, non-bank credit organizations have become part of the banking system not only de facto but also de jure.

All of this leads to the need for in-depth and comprehensive study of financial innovation, which includes the development of theoretical, methodological and applied issues, the study of development issues and in-depth analysis of both banking and non-banking credit organizations.

Key Words: Financial efficiency, Commercial banks, Financial innovations, Banking system, Economic efficiency, Social efficiency.

ძირითადი ტექსტი. კომერციული ბანკების და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაში ფინანსური ინოვაციების შემუშავება და დანერგვა, ინოვაციების დანერგვის აუცილებლობის შეფასება და გათავისება დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან.

ყოველმა კომერციულმა ბანკმა ან არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციამ, ვიდრე დაიწყებს ამა თუ იმ ინოვაციების შემუშავებას და დანერგვას, უნდა შეადგინოს მოქმედების კონკრეტული გეგმა, გააანალიზოს მოსალოდნელი სიძნელები, პროექტის ღირსებები და ნაკლოვანებები. კონკრეტული

ფაქტორების გათვალისწინებით, ფინანსური ინოვაციების დანერგვის პროცესი შეიძლება იყოს როგორც ეფექტური, ასევე არაეფექტური.

ინოვაციური მენეჯმენტი საქართველოში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ფართოდ გავრცელებული, ამიტომ კომერციულ ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები იძულებული არიან, დამოუკიდებლად შეიმუშაონ ეფექტიანობის ინდიკატორები. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ორგანიზაციისათვის ეს ინდიკატორები შეიძლება იყოს ინდივიდუალური. ყველაფერი დამოკიდებულია ინოვაციის მიზნებსა და მახასიათებლებზე. როგორც წესი, საერთო და/ან შედარებითი ეფექტიანობის ინდიკატორები გამოიყენება ინოვაციების ეფექტიანობის შესაფასებლად. დასავლურ პრაქტიკაში მიღებულია ინოვაციური პროექტის საერთო ეფექტიანობის შვასების შემდეგი მაჩვენებლები:

- სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ინდიკატორები,
- კომერციული (დარგობრივი) ეფექტიანობის მაჩვენებლები.

სოციალურ ეფექტიანობასა და კომერციულ ეფექტიანობას შორის პრინციპული განსხვავება მდგომარეობს შემდეგში:

- 1) სოციალური ეფექტიანობის ინდიკატორები შეიძლება იქნას გამოყენებული ფართომასშტაბიანი პროექტებისთვის და ითვალისწინებს ხარჯებსა და შედეგებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგების ღირებულებით გაზომვას მთლიანად საზოგადოებისათვის;
- 2) კომერციულ ეფექტიანობის ინდიკატორები კი შესაძლებელს ხდიან ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგების ღირებულებით გაზომვას კონკრეტული დარგისათვის (ჩვენ შემთხვევაში ეს არის საბანკო საქმიანობა).

ფინანსური ინოვაციების მაგალითი, რომელიც ასახავს სოციალურ ეფექტიანობას, არის ინტერნეტ ბანკის შემოღება, ვირტუალური ბანკების შექმნა, ანუ ისეთი ინოვაციები, რომლებიც მთლიანად ცვლის საზოგადოების აზრებსა და შეხედულებებს. ვირტუალური ბანკების მომსახურებით ჯერჯერობით საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობს, ისინი ამჯობინებენ ტრანზაქციების განხორციელებას ინტერნეტის საშუალებით. აღნიშნული ძირფესვიანად ცვლის კლასიკური ბანკის შესახებ შეხედულებას და საშუალებას გვაძლევს, დავზოგოთ არა მარტო დრო, არამედ ყოველი კლიენტის და თავად ბანკის ფულადი

სახსრები (საკომისიო გადასახადი ასეთ მომსახურებაზე, როგორც წესი, არ არის) და ტრანზაქციული ხარჯები. კომერციული ეფექტიანობა აისახება სხვადასხვა ინოვაციებში, მაგალითად, ახალი ბაზრების დაპყრობა და უკვე არსებულ ბაზარზე საკუთრი კონკურენტუნარიანი პოზიციის გაუმჯობესება.

ი. ქუქი და პ. მაიერსი ²⁷ თავის ნაშრომში „ინოვაციების და ტექნოლოგიების ტრანსფერის შესავალი“ აღნიშნავენ ეფექტიანობის შემდეგ სახეობებს:

- **ეკონომიკური ეფექტიანობა** - გვიჩვენებს დანახარჯების თანაფარდობას პროექტის განხორციელებაზე და მის შედეგებთან; აგრეთვე ფულად ექვივალენტში პროექტის მონაწილეების მიზნებთან და ინტერესებთან შესატყვისობას;

- **პროექტის გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) ეფექტიანობა** - ასახავს სახელმწიფოს და საზოგადოების თვალსაზრისით ხარჯების და შედეგების შესატყვისობას;

- **სოციალური ეფექტიანობა** - აქ ასახულია მთლიანობაში განსახილველი პროექტის ხარჯების და სოციალური შედეგების შესაბამისობა მონაწილეთა მიზნებისა და სოციალური ინტერესების გათვალისწინებით;

- ეფექტიანობის სხვა სახეობები.

სხვა ავტორებისგან განსხვავებით, ი. ქუქი და პ. მაიერსი სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას ორ დამოუკიდებელ სახეობად ყოფენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ ი. ქუქი და პ. მაიერსი არ განიხილავენ საინვესტიციო პროექტებს მათი მასშტაბის მიხედვით.

ამავდროულად, სხვა სახეობების გარდა, ისინი გამოყოფენ ეკოლოგიურ ეფექტიანობას, რომელიც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მიეკუთნებოდეს ფინანსურ ინოვაციებს, ვინაიდან ისინი ფინანსურ ბაზარზე ფუნქციონირებენ და არავითარ გავლენას არ ახდენენ გარემომცველ გარემოზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ინოვაციებთან მიმართებაში, ეფექტიანობა შეიძლება იყოს ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური (რადგან ფინანსური

²⁷ Cooke, I., Mayers, P. Introduction to Innovation and Technology Transfer / I. Cooke, P. Mayers. - Boston: Artech House, 2016. P. 32.

ინოვაციების შექმნა და დანერგვა წარმოადგენს მეცნიერებაში წვლილის შეტანას, რომელიც მიეკუთვნება საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებს), საბიუჯეტო (თუ ინოვაციების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოს ან რეგიონის ბიუჯეტიდან), სოციალური (ცხრილი 1).

სოციალური ეფექტიანობა, ფინანსური ინოვაციების კუთხით, ცალკე გამოყოფილი იმასთან დაკავშირებით, რომ ვირტუალური ბანკები როგორც გლობალური ინოვაციები, რადიკალურად ცვლიან კლასიკური ბანკის შესახებ შეხედულებას, ცვლიან მთლიანად საზოგადოების მსოფლმხედველობას. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ეს არ არის მიზანშეწონილი იმიტომ, რომ ფინანსური ინოვაციების შემოღება შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით. ინოვაციების ცოცხალ საქმიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსახლეობის რეაქციას.

ცხრილი 1. ფინანსური ინოვაციების დანერგვის ეფექტიანობის სახეები

№	ეფექტიანობის სახეები	ფაქტორები, მაჩვენებლები
1	ეკონომიკური	მაჩვენებლები მხედველობაში ღებულობენ ინოვაციების რეალიზაციასთან დაკავშირებული შედეგებისა და დანახარჯების ყველა სახობის ღირებულებით გამონახატულებას.
2	სამეცნიერო-ტექნიკური	სიახლე, სიმარტივე, სარგებლიანობა, ესთეტიკურობა, კომპაქტურობა
3	ფინანსური	გაანგარიშება ეფუძნება ფინანსურ მაჩვენებლებს
4	სოციალური	მაჩვენებლები ღებულობენ მხედველობაში ინოვაციათა რეალიზების სოციალურ შედეგებს

განვიხილოთ თითოეული ტიპის ეფექტიანობა უფრო დეტალურად. დასაწყისისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ინოვაციური პროექტის ეფექტიანობის ყველა ინდიკატორის საერთო მაჩვენებელი წარმოადგენს ეფექტიანობის კოეფიციენტის გაანგარიშებას შემდეგი ფორმულების მიხედვით:

$$E = Ef/C \text{ პირდაპირი მაჩვენებელი, (1)}$$

$$E = C/Ef \text{ უკუმაჩვენებელი (2)}$$

სადაც **E** - არის ინოვაციური პროექტის ეფექტიანობის კოეფიციენტი;

Ef - არის პროექტის განხორციელებით მიღებული ეფექტი;

C - არის პროექტის განხორციელების ხარჯები.

ე. ბარათაშვილი და მ. ჩეჩელაშვილი მონოგრაფიაში „ინოვაციური მენეჯმენტი“ წერენ, რომ ინოვაციის ეფექტიანობის მაჩვენებლების შემუშავების დროს მიზანშეწონილია, ფინანსური მაჩვენებლები შეივსოს ხარისხობრივი მონაცემებით (ბანკში განხორციელებული იდეების წილი; დრო, რომელიც გავიდა იდეის გენერაციიდან მის დაწერვამდე, ა.შ.).²⁸

ჩვენი აზრით, ასეთი პრაქტიკა საშუალებას იძლევა დროულად იდენტიფიცირდეს და გამოვლინდეს მენეჯმენტში არსებული პრობლემები, კრიზისული სიტუაციის დადგომამდე ჩატარდეს პრევენციული ღონისძიებები. იგი გვთავაზობს ინოვაციების ეფექტიანობის განხილვას ინოვაციური კომპლექსის MV მიმდინარე საბაზრო ღირებულების მაჩვენებლების საფუძველზე. მოცემული მაჩვენებლის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ინოვაციები არის ბანკის ძირითადი რესურსი, რომელიც საშუალებას აძლევს მას, შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობები და წინ უსწრებდეს მთელი საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის საშუალო-დარგობრივი ზრდის მაჩვენებლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მიდგომა არ შეიძლება იყოს გამოყენებული. ამის შესაბამისად:

$$MV = P / W \quad (3),$$

სადაც **P** - არის მოგების მაჩვენებელი (საბალანსო),

W - არის კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულება, რომელიც ჩადებულია ბანკის საინოვაციო კომპლექსში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ინოვაციების საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოყოფილია შემდეგი მაჩვენებლები:

1. ინტეგრალური ეფექტი;
2. რენტაბელობის ინდექსი;
3. რენტაბელობის ნორმა;
4. დანახარჯების ამოღების პერიოდი.

ინტეგრალური ეფექტით (წმინდა დისკონტირებული მიდგომა) დაწყებული და სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური შედეგების დაწერვით დამთავრებული - (**EF**):

²⁸ ბარათაშვილი ე., ჩეჩელაშვილი მ. და სხ. ინოვაციური მენეჯმენტი. თბილისი 2014. -342

$$Ef = \sum_t^T \frac{Vt}{(1+E)^t - t6}$$

სადაც

$$\alpha_t = \frac{1}{(1+E)^{t-t_6}}$$

- არის შემოსავლების ანდა ხარჯების t_6 დროს მიყვანა დროის საბაზო მომენტთან, რომელიც ხორციელდება t მომენტში,

Vt - არის ნამატი ფულადი ნაკადი (cash flow), რომელიც მიიღება შემუშავებული სიახლის შედეგების დაწერვით საანგარიშო პერიოდის t -მ წელს.

რენტაბელობის ინდექსის მაჩვენებელი წარმოადგენს მოყვანილ შემოსავლებსა და ამავე დროისათვის არსებულ ინოვაციურ დანახარჯებს შორის თანაფარდობას. რენტაბელობის ინდექსის გამოთვლა ხდება ფორმულით:

$$J_R = \frac{\sum_{t=0}^{T_p} I_j \alpha_t}{\sum_{t=0}^{T_p} K_t * \alpha_t}$$

სადაც, J_R - არის რენტაბელობის ინდექსი,

I_j - არის შემოსავალი j პერიოდის განმავლობაში,

K_t - ინვესტიციის ოდენობა ინოვაციების პერიოდში t .

ზემოაღნიშნული ფორმულა მრიცხველში ასახავს ინოვაციის დაწყების დროს წარმოქმნილ შემოსავალს, ხოლო მნიშვნელში - ინოვაციაში ინვესტიციის სიდიდეს, რომელიც დისკონტირებულია ინვესტირების პროცესის დაწყების დროს. რენტაბელობის ნორმა E_p (შემოსვლიანობის შიდა ნორმა ან მოგების შიდა ნორმა ან ინვესტიციის დაბრუნებადობის ნორმა) - არის დისკონტის ნორმა, რომლის დროსაც, გარკვეული წლების განმავლობაში, დისკონტირებული შემოსავლის სიდიდე უტოლდება ინოვაციური ინვესტიციების დონეს. ამ შემთხვევაში, ინოვაციური პროექტის შემოსავლები და ხარჯები განისაზღვრება გამოთვლილ მომენტში დროის მიყვანით.

ეს ინდიკატორი სხვაგვარად ახასიათებს კონკრეტული ინოვაციური გადაწყვეტის მომგებიანობის დონეს, რომელიც გამოხატულია ფასდაკლებით, რომლიდანაც ინოვაციიდან შემოსული ფულადი ნაკადების

სამომავლო ღირებულება დაიყვანება საინვესტიციო სახსრების დღევანდელ ღირებულებამდე. უცხოური პრაქტიკაში, აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება საინვესტიციო ანალიზის საწყის ნაბიჯად. შემდეგ სტადიაზე გადადიან მხოლოდ ის ინოვაციური პროექტები, რომელთა შემოსავლიანობის ნორმის მაჩვენებელი შეფასებული იქნება სავარაუდოდ არანაკლებ 15-20%-ისა.

კაპიტალური დაბანდების ამოღების ვადა (T_{n1}), რომელიც გამოითვლება სუფთა შემოსავლიდან, რომელიც იქმნება წარმოების სფეროში სიახლის დანერგვის ხარჯზე (შექმნა ან გამოყენება):

$$T = K: I: T$$

სადაც, K - არის კაპიტალური დაბანდების საერთო რაოდენობა, რომელიც მიმართულია პროდუქციის წარმოების სფეროში ინოვაციების განხორციელებაზე, ლარი;

I - წმინდა შემოსავლის საერთო რაოდენობა, რომელიც მიღებულია წარმოების სფეროში სიახლის დანერგვის პროცესში, ლარი;

T - წარმოების სფეროში სასარგებლო ინოვაციების სარგებლიანად გამოყენების ვადა, წელიწადში.

ინვესტიციის ამოღების პერიოდის გაანგარიშების კიდევ ერთი ფორმულა შეიძლება იყოს ს.დ. ილიენკოვას მიერ წარმოდგენილი ფორმულა:

$$T_0 = K / I$$

K - არის ინოვაციებში საწყისი ინვესტიცია;

I - ყოველწლიური ფულადი შემოსავალი⁴³.

ე. ბარათაშვილი და მ. ჩეჩელაშვილი აღნიშნავენ, რომ საბიუჯეტო ეფექტურობის განსაზღვრის დროს ძირითადი მაჩვენებელს წარმოადგენს საბიუჯეტო ეფექტი, რომელიც პროექტის t - ნაბიჯის (ეტაპი) განხორციელების დროს განისაზღვრება, როგორც პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული, შესაბამისად I - ბიუჯეტის შემოსავლების P - დანახარჯებზე გადამეტება:

$$B_t = I_t - P_t$$

ინტეგრალური საბიუჯეტო ეფექტი B_T გამოითვლება როგორც დისკონტული საბიუჯეტო ეფექტების ჯამი ან ინტეგრალური საბიუჯეტო შემოსავლების გადამეტება ინტეგრალურ საბიუჯეტო დანახარჯებზე.

$$NDI = \sum_{t=0}^T \frac{B_t - C_t}{(1 + E)^t}$$

სადაც, NDI – არის წმინდა დისკონტირებული შემოსავალი;

B_t - არის შემოსავლები, რომლებიც მიღწეულია t ნაბიჯზე გათვლით;

C_t - არის დანახარჯები, რომლებიც ხორციელდება იმავე ნაბიჯზე გათვლით;

T - არის დროის პერიოდი.

თუ $NDI > 0$, მაშინ პროექტი ეფექტურია, თუ $NDI < 0$, მაშინ ინვესტორი დაზარალდება.

ფინანსური ინოვაციების დანერგვის სამეცნიერო-ტექნიკური ეფექტიანობა მდგომარეობს ზოგადად საბანკო სექტორის განვითარებაში: ესა ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება საბანკო სფეროში; ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების სფეროს მეცნიერების განვითარება.

ფინანსური ინოვაციების **სოციალური ეფექტიანობა** მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ხელს უწყობენ ცხოვრების ხარისხის, საერთო კეთილდღეობის, პერსონალის მუშაობის პირობების, პროდუქტიულობის ზრდის ამაღლებას და სასიცოცხლო გარემოს განახლების დაჩქარებას. საყოველთაო კომპიუტერიზაცია საშუალებას იძლევა მოვახდინოთ სამუშაო პროცესის ოპტიმიზაცია. გარდა ამისა, ისინი აჩქარებენ საცხოვრებელი გარემოს განახლებას. ჩვენი აზრით, სოციალური ეფექტურობის გამოვლინება არ შეიძლება პირდაპირ ან ირიბად იყოს გაზომილი, აქ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ხარისხით, კვლევის მაგალითად გამოდგება სოციოლოგიური გამოკითხვა.

საბანკო სექტორში ფინანსური ინოვაციების ეფექტიანობის ინდიკატორების განხილვის შემდეგ, განვიხილავთ ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ინოვაციების დანერგვის მიზნობრივი ეფექტების შეფასების საკუთარ მაჩვენებლებს.

ჩვენი აზრით, ეკონომიკური ეფექტი შეიძლება განისაზღვროს საკრედიტო ორგანიზაციის მიერ ერთ კლიენტზე გათვლით მიღებული შემოსავლების და სოციოლოგიური გამოკითხვით მიღებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ეფექტის საფუძველზე, ხოლო სამეცნიერო ტექნიკური ეფექტი განისაზღვრება სარეიტინგო შეფასების საფუძველზე. უნდა შევნიშნოთ, რომ თეორიულად შესაძლებელია, საბიუჯეტო ეფექტს ადგილი ქონდეს მხოლოდ ბანკებში, რადგან არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები ფინანსდება მხოლოდ კერძო კაპიტალის მეშვეობით.

კომერციული ბანკების შემოსავლები გაიზარდა ფინანსური ინოვაციების დანერგვის შემდეგ. მაგალითად, TBC ბანკში, ინტერნეტ-ბანკინგის და ექსპრეს დაკრედიტების დანერგვის შემდეგ შემოსავლები 812 373 ათას ლარს შეადგენს. ანუ 200-ჯერ გაიზარდა. მოცემული ბანკი ყველაზე ინოვაციური ბანკია ქვეყნის ბანკებს შორის. იგი აქტიურად ნერგავს სხვადასხვა ფინანსურ ინოვაციებს.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ეფექტი განისაზღვრება მოსახლეობის რეაგირებით კომერციული ბანკების და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ინოვაციების დანერგვაზე (რაც უფრო მაღალია საკრედიტო ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევით საზოგადოებრივი კმაყოფილების და ფინანსური განსწავლულობის დონე, მით უფრო მაღალია ფინანსური ინოვაციების შემოღებით გამოწვეული სოციალური ეფექტი).

ფინანსური ინოვაციებისადმი მოსახლეობის რეაგირების გამოვლენის მიზნით, ჩავატარეთ ემპირიული კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150 რესპონდენტმა 18-დან 60 წლამდე, დაუმთავრებელი უმაღლესი, უმაღლესი და საშუალო განათლებით. 120 გამოკითხული არის საქართველოს მოქალაქე და 30 რესპონდენტი უცხოელი. ყველას შევთავაზეთ პასუხი გასცათ ანკეტის კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა ბანკების და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ფინანსურ ინოვაციების მიმართ განწყობას და მათ ფინანსურ განათლებას.

კითხვაზე *"როგორ შეაფასებთ ფინანსურ სფეროში ინოვაციის დონეს?"* გამოკითხულთა 14.3% უპასუხა, რომ აძლევენ მაღალ შეფასებას; 9.1% - შეაფასა როგორც დაბალი; 40.3% - ჩათვალა, რომ ალბათ უფრო დაბალია; 36.4% - შეაფასა, რომ ალბათ უფრო მაღალია. პასუხების დიდ ნაწილში შეიმჩნეოდა განსაზღვრება „ალბათ უფრო“ რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას არასაკმარისი ფინანსური განათლებით და უნდობლობით მთლიანად საბანკო სექტორის მიმართ. ზოგადად, თუ შევკრებთ პასუხს „დაბალი“ და „ალბათ უფრო დაბალი“ და „ალბათ უფრო მაღალი“ და „უფრო მაღალი“, მაშინ შედეგები დალაგდება 49 - 51% საზღვრებში.

დასკვნა. ამგვარად, კვლევამ აჩვენა, რომ საკრედიტო ორგანიზაციების მომსახურებით საქართველოს მოქალაქეების კმაყოფილების დონე 20% -ზე ნაკლებია (უცხოეთში - 79%), რაც სოციალური ეფექტის დაბალი დონის მაჩვენებელს წარმოადგენს.

გარდა ამისა, ფინანსური ინოვაციების სოციალური ეფექტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის ფინანსური განათლებულობის დონე. კვლევამ აჩვენა, რომ ფინანსური განათლება საქართველოში საკმაოდ დაბალ დონეზეა განვითარებული. მოსახლეობის მხოლოდ 27% არის დაინტერესებული საბანკო სექტორში შემოღებული ინოვაციებით (უცხოეთში საშუალო მაჩვენებელია 63%). მაგრამ დაახლოებით 52% (უცხოეთში საშუალო მაჩვენებელია 88%) აქტიურად იყენებს დისტანციურ ტექნოლოგიებს: ინტერნეტ-ბანკინგი, მობილური ბანკინგი და ა.შ.

დისტანციური მომსახურების გამოყენების შედარებით დაბალი წილი აიხსნება სისტემაში ხშირი გამორთვებით (47%), პერსონალური მონაცემების დაცვის დაბალი დონით (32%) და მთელი საბანკო სექტორის მიმართ უნდობლობით (21%). ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფინანსური ინოვაციების დანერგვით გამოწვეული სოციალური ეფექტი დაბალ დონეზე რჩება.

ჩვენი აზრით, საქართველოში იმდენად არ დგას ფინანსური განათლების სრულყოფის საკითხი, რამდენადაც აუცილებელია შეიქმნას ფინანსურად გათვითცნობიერებული საზოგადოება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Платон, «Государство», <https://www.twirpx.com/file/1973437/>
2. ბარათაშვილი ე., ჩჩელაშვილი მ. და სხ. ინოვაციური მენეჯმენტი. თბილისი 2014.-342
3. Мессии, Д., Квинтас, П., Уилд, Д. Линейная модель инноваций: за и против. Трансфер технологий и эффективная реализация инноваций [Текст] /Д. Мессии, П. Квинтас, Д. Уилд. - М.: АНХ, 2019. - С. 141
4. Schurenberg, E. Eight financial Inovations to believe in [ელექტრონული რესურსი] - წვდომის რეჟიმი: moneywatch.bnet.com. (მომართვის თარიღი 01/24/2015)
5. Хоминич, И. Инновационный менеджмент банковской деятельности[Текст] / И.П. Хоминич // Банковские услуги. - 2017. - № 3. - С.17.
6. საბანკო ინოვაციები [ელექტრონული რესურსი], ხელმისაწვდომია: <http://www.banki.ru/blog/yantipov>

**ბანკებში და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ფინანსური
ინოვაციების მართვის სტრატეგიები**
**Financial innovation management strategies in banks
and non-bank credit institutions**

ნიკურაძე რუსუდან
დოქტორანტი. სტუ
Nikuradze Rusudan
PHD student of GTU

რეზიუმე. 2020 წლამდე საქართველოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში ერთერთ სტრატეგიულ, სახელმძღვანელო ორიენტირ სწარმოადგენს ინოვაციურ, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური ტიპის განვითარებაზე გადასვლა. თანამედროვე პოსტ-ინდუსტრიულ ეკონომიკაში, მატერიალური წარმოების სფეროსთან ერთად, ინოვაციათა დანერგვის ერთერთი უმნიშვნელოვანესი სამიზნე ფინანსური სფეროცაა. ფინანსური ინოვაციები არა მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ ხელს უწყობს მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ბანკებსა ან არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში საკუთრივ ფინანსურ ინოვაციების განვითარებისათვის აუცილებელია მათ თან ახლდეს დაკავშირებული ორგანიზაციული, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციების კომპლექსი. ამ თვალსაზრისით, ფინანსური ხასიათის ინოვაცია იძენს მულტიკონპონენტურ ხასიათს, სადაც დომინირებს საბანკო (არასაბანკო) მომსახურების ან პროდუქტის ფულადი ბუნება და კომპლემენტარული ხასიათის თანმდევი ინოვაციები, რომლებიც ხელს უწყობენ მომსახურების (პროდუქტის) მომხმარებლამდე მიტანას.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკები, ფინანსური ინოვაციები, სტრატეგიული ინოვაციები, ინოვაციური პროცესები, ინოვაციური საქმიანობა, ინოვაციური განვითარება.

Resume. One of the strategic guidelines for the concept of Georgia's long-term socioeconomic development until 2020 is to move towards innovative, socially oriented economic development. In the modern post-industrial economy, along with the field of material production, the introduction of innovation is also one of

the most important targets in the financial field. It contributes to the economic development of the society, but also helps to fully meet the vital needs of the population and raise the living conditions of the population.

In order to develop their own financial innovations in banks and non-bank organizations, it is necessary for them to be accompanied by a complex of organizational, informational, technological and other innovations. In this sense, the innovation of a financial nature acquires a multicomponent nature, dominated by the monetary nature of the banking (para-banking) service or product and the accompanying innovations of a complementary nature that facilitate the delivery of the service (product) to the customer.

Key Words: Commercial Banks, Financial Innovations, Strategic Innovations, Innovative Processes, Innovative Activities, Innovative Development.

ძირითადი ტექსტი. ინოვაციური პროცესების სტრატეგიული მართვა წარმოადგენს კომერციული ბანკების და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მართვის განუყოფელ ნაწილს. თანამედროვე პირობები ხასიათდება არა მხოლოდ საბანკო ბაზრის მონაწილეთა ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით, არამედ რისკების მენეჯმენტის სისტემის სრულყოფით და ინოვაციური სტრატეგიების ახლებური გააზრებით. ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ინოვაციური პროცესების სირთულის გამო, მათი ეფექტური განვითარება შეუძლებელია ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებისა და თანმიმდევრული განხორციელების გარეშე. ფინანსური ინოვაციური მართვის სტრატეგიებზე გადასვლის დაწყებამდე, უნდა განისაზღვროს ინოვაციური სტრატეგია.


ამერიკელი ეკონომისტი ი. ანსოფი სტრატეგიის ცნების ქვეშ გულისხმობდა „გადაწყვეტილებების მიღების წესებს, რომლებითაც ორგანიზაცია ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში“²⁹ სხვა ავტორები სტრატეგიას განიხილავენ, როგორც დეტალურ ყოვლისმომცველ კომპლექსურ გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის მიერ დასახული მისიის შესრულებას და მიზნის მიღწევას. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ყველაზე ახლოს დგას ანსოფის შეხედულება. ჩვენი აზრით, მისი

²⁹ Igor H. Ansoff, Strategies for Diversification, Harvard Business Review; https://www.casrilanka.com/cas/images/stories/2017/2017_pdfs/sab_portal/course_material/strategies_for_diversification.pdf

თვალსაზრისი ყველაზე უფრო მკაფიოდ ასახავს საკრედიტო ორგანიზაციების ინოვაციური სტრატეგიის არსს და სავსებით შესაძლებელია მისი ადაპტირება ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ფინანსური ინოვაციების მართვის ინოვაციურ სტრატეგიაში.

ინოვაციური საქმიანობა, ფაქტობრივად, ხელს უწყობს ორგანიზაციის ზრდას, ქმნის ახალი შემოსავლების ნაკადს, მაქსიმუმამდე აჰყავს არსებული შესაძლებლობები და ქმნის წინაპირობებს ახალ გასაღების ბაზრებზე შესვლისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ საკრედიტო ორგანიზაციის ინოვაციური სტრატეგია ასრულებს კონკურენტული სტრატეგიის ფუნქციას, აყალიბებს ფინანსური ინოვაციების პორტფელს, ახდენს ფინანსური ინოვაციების მართვისა და მართვის მეთოდების შემუშავებას და მათ კონტროლს (ნახ. 1).

ნახ. 1. ინოვაციური სტრატეგიის ფუნქციები



ამგვარად, ჩვენ განვმარტავთ ინოვაციურ სტრატეგიას, - როგორც კომერციული ბანკის ან არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციის სამოქმედო გეგმას, რომელიც გულისხმობს კონკურენტული პოზიციის შექმნას, ინოვაციების პორტფელის ფორმირებას, მართვის მეთოდების შემუშავებასა და შერჩევას და დასახული მიზნის მისაღწევად კონტროლის განხორციელებას.

ნებისმიერი სტრატეგიის ჩამოყალიბება მოიცავს მისი განხორციელების მექანიზმის შექმნას. აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე წამყვან უცხოურ ბანკებში შეიქმნა ინოვაციური საქმიანობის მართვის და

სტრატეგიული დაგეგმვის ეფექტური სისტემა იმისათვის, რომ გაიზარდოს ბიზნესის მოქნილობა და ადაპტიურობა. ასე, საფრანგეთის ბანკის BNP Paribas-ის „ორი ინოვაციის“ პროგრამა მიზნად ისახავს, რომ ინოვაციები შევიდეს საბანკო სექტორის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივებში, სადაც კვლევა და ახალი მეთოდების შემუშავება იწყებენ არანაკლები როლის შესრულებას, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში.

ამ თვალსაზრისით აგრეთვე სამაგალითოს წარმოადგენს მსოფლიოში ერთერთი მსხვილი ბანკის ესპანური Santander-ის, დევიზი „იდეებიდან გამოსული ფასეულობები“ (Value from Ideas), რომელიც ადასტურებს საკუთარ სტრატეგიულ ორიენტაციას ინოვაციების ყოველმხრივი გამოყენების შესახებ.³⁰


ქართულ კომერციულ ბანკებში, ისევე როგორც არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში, ინოვაციური განვითარების განყოფილებები, როგორც წესი არ არსებობს. ძირითადად, ინოვაციური პროდუქტების შექმნის პროცესი ხორციელდება მარკეტინგის განყოფილებაში. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ ქართული კომერციული ბანკებისა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების უმრავლესობა თავს ვერ აძლევს დამატებითი ხარჯების გაღების უფლებას იმ განყოფილებათა მხარდასაჭერად, რომლებიც მხოლოდ ინოვაციების შემუშავებით იქნება დაკავებული. კონკურენციისა და კრიზისული მოვლენების გააქტიურების პირობებში, პირიქით, შეიძინება საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებში განყოფილებების გამსხვილების ტენდენცია. გარდა ამისა, ძირითადად კომერციული ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები ნერგავენ ფინანსურ ინოვაციებს, რომლებიც უკვე შემოღებულია და, როგორც წესი, ეფექტურია ევროპის ქვეყნებში.

განვიხილოთ საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიული ინოვაციური მართვის ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიზნით, ჩვენ შევქმენით საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიული ინოვაციური მართვის ფორმირების მოდელი (ნახ. 2). ვფიქრობთ, საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიული ინოვაციების მართვის პროცესი მოიცავს უშუალოდ სტრატეგიულ მართვას, რომელიც

³⁰ Смовженко, Т.С., Егорычева, С.Б. Инновационные стратегии зарубежных банков [Текст] / Т.С. Смовженко, С.Б. Егорычева // Деньги и кредит. - 2010. - № 8. -С.52.

შედგება 4 ეტაპისგან: წინასწარი ეტაპი, ინოვაციური სტრატეგიის შერჩევის ეტაპი, ინოვაციური სტრატეგიის განხორციელება და კონტროლი.

ნახ. 2. საკრედიტო ორგანიზაციის სტრატეგიული ინოვაციური მართვის ფორმირების მოდელი



წინასწარ ეტაპზე, კომერციული ბანკი ან არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაცია, პირველ რიგში, აყალიბებს მიზანს, რომელსაც უნდა მიაღწიოს ინოვაციების შემოღების მეშვეობით. იქმნება დანიშნულების მისია, ორიენტაციის მისია და ორგანიზაციის პოლიტიკის მისია, სადაც ხაზგასმულია ინოვაციური საქმიანობის და ინოვაციური სტრატეგიის მხარდაჭერა. ამასთანავე, ხდება საკრედიტო ორგანიზაციის შესაძლებლობების შეფასება.

ანალიზდება შინაგანი გარემო და ხდება ინოვაციური პოტენციალის შეფასება. შემდეგ, ხდება გარე გარემოს მდგომარეობის გაანალიზება და ინოვაციური კლიმატის შეფასება. პირველი ეტაპის შედეგად, განისაზღვრება ორგანიზაციის ინოვაციური პოზიცია.

ინოვაციური სტრატეგიის არჩევის ეტაპზე:

- დგება განვითარების საბაზისო სტრატეგიები და მათი ინოვაციური კომპონენტები;
- ხორციელდება ალტერნატიული ინოვაციების სტრატეგიის შერჩევა და შეფასება;
- ხორციელდება შერჩევა და სასურველი ინოვაციური სტრატეგიის

ჩამოყალიბება.

ინოვაციური სტრატეგიის განხორციელება გულისხმობს სტრატეგიული პროექტის (სტრატეგიული ცვლილებების შემადგენლობა და მათი განხორციელების ღონისძიებები) და პროექტის განხორციელების გეგმის შემუშავებას. განსაკუთრებით ითვალისწინებენ ტრანსფორმაციის ინოვაციურ ხასიათს.

ბოლო ეტაპზე ხდება პროექტის განხორციელების პროცესის კონტროლი, ხდება განხორციელების პროცესის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ადგილი აქვს პროექტის, სტრატეგიის, მიზნების და მისიის კორექტირებას.

განვიხილოთ შემოთავაზებული მოდელის ეფექტურობა პრაქტიკაში. დავუშვათ, თიბისი ბანკის საქმიანობაში გადაწყვიტეს, რომ კლიენტების იდენტიფიკაციისათვის დაწერონ ბიომეტრიული კამერა. ამჟამად საქართველოში ეს ფინანსური ინოვაცია ჯერ არ არის გამოყენებული. არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ თიბისის ექსპერიმენტულ ოფისში ბიომეტრიული 3D კამერის ტესტირება მიმდინარეობს, მაგრამ აღნიშნული სიახლე მის ყველა ქვედანაყოფის საქმიანობაში ჯერ არ დაწერა. შესაბამისად, ეს არის საბანკო ბაზარზე სრულიად ახალი სერვისი. ამ ინოვაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კლიენტი, რომელიც მოდის საკრედიტო ორგანიზაციის ფილიალში, მონიტორზე ხედავს საკუთარ მოცულობით (სამგანზომილებიან) პორტრეტს და შეყავს საკუთრი პერსონალური მონაცემები. ფაქტობრივად, ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია. მომავალში, ეს შეიძლება იყოს იდენტიფიცირება თვალის ბადურის მეშვეობით, თითის ანაბეჭდებით და ა.შ.

ასე რომ, წინასწარ ეტაპზე თიბისი ბანკის შემდეგი ძირითადი მიზნები ექნება:

- კონკურენტული უპირატესობების მიღება;
- დამატებითი კლიენტების მოზიდვა;
- დამატებითი შემოსავლების მიღება;
- გასაღების ბაზრების გაფართოება;
- დანახრჯების შემცირება;

უპირველეს ყოვლისა, ბიომეტრიული კამერები საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობები სხვა ბანკებთან მიმართებაში. მოცემული ფინანსური ინოვაცია მიიზიდავს ახალი კლიენტების ყურადღებას, რომლებიც აფასებენ საკუთარ დროს.

სავარაუდოდ, კლიენტთა ასაკი 20-დან 35-40 წლამდე იქნება, ვინაიდან, როგორც ჩვენმა კვლევამ აჩვენა, 40 წლის ასაკის მოქალაქეები არ ენდობიან არა მარტო სახელმწიფოსა და ბანკებს, არამედ ყველაფერს, რაც სიახლეს წარმოადგენს; ეს ემყარება მათ პირად უარყოფით გამოცდილებასა და დაბალ ფინანსურ განათლებას. თავის მხრივ, ახალი კლიენტების მოზიდვა შესაძლებელს გახდის დამატებითი მოგების მოზიდვას, ბანკს საშუალებას მისცემს გააფართოოს საკუთრი საქმიანობა და შეამციროს ხარჯები.

გარდა ამისა, თიბისი ბანკმა აუცილებლად უნდა შეაფასოს შიდა და გარე გარემოს შესაძლებლობები. დასაწყისისთვის განვსაზღვროთ გარე გარემოების ისეთი ფაქტორი, როგორცაა ქართულ ბანკებს შორის არსებული კონკურენცია. როგორც აღვნიშნეთ, ეს ფინანსური ინოვაცია არ განხორციელებულა არც კომერციულ ბანკებში, არც არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში. მაგრამ, პერსპექტივაში სხვა საკრედიტო ორგანიზაციებიც დანერგავენ მას, რადგან გააჩნიათ საჭირო რესურსები და მიზნად ისახავენ ინოვაციურ განვითარებას.

გარე გარემოს და შინაგანი შესაძლებლობების ანალიზი ჩავატაროთ ტომპსონსა და სტრატეჯის SWOT- ანალიზის გამოყენებით (ცხრილი 6).

სიტუაციური ანალიზი ტარდება შემდეგ სფეროებში:

✓ ბანკის შინაგანი პოტენციალის ანალიზი (ძლიერი მხარეები - S, კლიენტის სისუსტე - W).

✓ გარე გარემოს ანალიზი, რომელიც ზემოქმედებს ბანკზე (გარე გარემოს მიერ მოწოდებული შესაძლებლობები - O, გარე საფრთხეები - T).

მომავალში SWOT ანალიზი ემსახურება სტრატეგიის აგებას, რომელიც შეიძლება ჩართული იყოს თიბისის ინოვაციური განვითარების გეგმის სტრატეგიაში. ინოვაციური განვითარების სტრატეგიები მუშავდება შიდა და გარე გარემოებების წყვილის კომბინაციის ანალიზის საფუძველზე.

ცხრილი 1. TBC ბანკის SWOT-ანალიზი

სიძლიერე	სისუსტე
კლიენტების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულია ოპერაციების შესრულების დროის ეკონომიით	ბიომეტრული კამერით კლიენტის იდენტიფიცირების გამოცდილების არარსებობა
სახელფასო ბარათების რეკლამისა და ფრომოუშენის წარმატებული გამოცდილება	შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების არარსებობა

ინტერნეტ და მობაილ ბანკინგის წარმატებული გამოცდილება	რეპრეზენტატივი;ი არჩევის ბაზაზე პოტენციური მომხმარებლის საბაზრო გამოკითხვის გამოცდილებისა და მეთოდის არარსებობა
შესაძლებლობა	საფრთხე
მნიშვნელოვანი კონკურენციის არარსებობა სხვა ქართული ბანკების მხრიდან	კონკურენცია მსხვილი ქართული ბანკების ან/და უცხოური ბანკების ფილიალების მხრიდან
კლიენტების ბიომეტრული კამერით იდენტიფიცირების მომსახურების არარსებობა ქართული ბანკების მხრიდან	მოსახლეობის დაბალი ფინანსური განათლება და, როგორც შედეგი, ბანკებისადმი უნდობლობა
ქსელში აიფვასიანი რეკლამის მეშვეობით წინწაწევის შესაძლებლობა	ბიომეტრული კამერით კლიენტების იდენტიფიცირების მზა სპეციალისტების ბაზარზე არარსებობა
ახალი მომსახურების აპრობაციის შესაძლებლობა კლიენტების გარკვეულ ჯგუფზე ანდა რომელიმე საკუთარ ოფისში	

ამგვარად:

- **WT სტრატეგია** მუშავდება, რათა შეამციროს სისუსტეები და საფრთხეები;

- **WO სტრატეგია** მოწოდებულია, მოახდინოს სუსტი მხარეების მინიმიზაცია და ამავე დროს მოახდინოს შესაძლებლობების მაქსიმალიზაცია;

- **ST-ს სტრატეგია** მიმართულია ბანკის ძლიერი მხარეების გამოსაყენებლად შესაძლო საფრთხეების წინააღმდეგ;

- **SO სტრატეგია** ყველაზე ეფექტურია, რადგან იგი მოწოდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს ბანკის შესაძლებლობები ძლიერი მხარეების განვითარების საფუძველზე.

ამგვარად, თიბისი ბანკისათვის ეს სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ ყალიბდება ხელსაყრელი გარემო, რომელშიც სხვა ბანკების მხრიდან არ არსებობს ინოვაციური წინადადებები და შესაბამისად დაბალია მათი მხრიდან სამომავლო კონკურენცია. გარდა ამისა, თიბისი ბანკს აქვს ფინანსური ინოვაციების დანერგვის და სარეკლამო კამპანიების სფეროში მონაწილეობის გამოცდილება.

დასკვნა. ამგვარად, ინოვაციური პროცესების სტრატეგიულ მართვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც კომერციული ბანკების და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციების მართვის განუყოფელი ნაწილი. თანამედროვე პირობები ხასიათდება არა მხოლოდ საბანკო ბაზრის მონაწილეთა ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით, არამედ რისკების მენეჯმენტის სისტემის სრულყოფით და ინოვაციური სტრატეგიების ახლებური გააზრებით. ამდენად, ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებში ინოვაციური პროცესების სირთულის გამო, მათი ეფექტური განვითარება შეუძლებელია ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებისა და თანმიმდევრული განხორციელების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

7. Платон, «Государство», <https://www.twirpx.com/file/1973437/>
8. Шумпетер, Й. Теория экономического развития. Капитализм, социализм и демократия / предисл. В.С. Автономова. - М.: ЭКСМО, 2007. - 864 с. 77.
9. Смोजженко, Т.С., Егорычева, С.Б. Инновационные стратегии зарубежных банков [Текст] / Т.С. Смोजженко, С.Б. Егорычева // Деньги и кредит. - 2010. - № 8. - С.52.
10. Раппорт, В.Ш. Диагностика управления: практический опыт и рекомендации [Текст] / В.Ш. Раппорт. - М.: Экономика, 2008. - С. 24.
11. Месси, Д., Квинтас, П., Уилд, Д. Линейная модель инноваций: за и против. Трансфер технологий и эффективная реализация инноваций [Текст] / Д. Месси, П. Квинтас, Д. Уилд. - М.: АНХ, 2019. - С. 141
12. Агарков, С.А., Кузнецова, Е.С., Грязнова, М.О. Инновационный менеджмент и государственная инновационная политика [Текст] / С.А. Агарков, Е.С. Кузнецова, М.О. Грязнова. - М.: Издательство «Академия Естествознания», 2011. - С. 105.
13. საბანკო ინოვაციები [ელექტრონული რესურსი], ხელმისაწვდომია: <http://www.banki.ru/blog/yantipov>
14. Чечелашвили М. Бараташвили Е, др., Инновационный менеджмент, Тбилиси, 2014.-С. 342
- Igor H. Ansoff, Strategies for Diversification, Harvard Business Review; https://www.casrilanka.com/casl/images/stories/2017/2017_pdfs/sab_portal/course_material/strategies_for_diversification.pdf

The role of motivation in human resources In effective management

Eliza Lashkarashvili

Georgian Technical University

Business Administration Bachelor's degree

Abstract. What does a successful business look like? How to ensure business activities to be optimally done? Why do employees do what they were instructed to do.

Many people can answer these questions in one word, it can be said that it's effective management, but answers need to be clarified-explained.

Achieving organizational success requires motivated employees, which act in the interests of the company in order to strengthen organizational activities. Nowadays companies try to act in line with the human resource strategy, which plays the most important function. At all levels of the organization importance is motivating people, starting from managers to HR professionals.

Every organization needs financial, physical and human resources to achieve all and desired results. In order to make the most of human resources, motivation is the key. Motivating employees, it's possible to build readiness in them to work even harder and provide maximum results for the organization. Successful companies need adaptable, stable and customer-oriented employees.

Current reforms must improve the economy and take it to a new level. Entrepreneurship is exactly the driving force, in which it's necessary to study and use new types of motivation methods. The organizations may have the best structure, but it may not be effective, because leadership can't manage workers labor lead to the set goal. Human resource management specialist must be equipped with modern methodologies and approaches to managing human resources successfully.

The main task is to show current motivational situation in enterprises and the aim is to show us the climate, during which productive and harmonious relationships can be maintained between the manager and the employees. For these purposes it's necessary to solve the following tasks;

- Identify important motivational factors and their effectiveness.
- Determine the level of motivation employees
- Whether a good manager is the key to staff motivation
- Whether employees are evaluated based on job evaluation

The main result is to identify and analyze:

1. The essence of motivation and role in effective business management.

2. What are the work motives and role in effective business management.
3. Various factors affecting employee motivation and incentives.

Every employer knows that a motivated workforce is productive and happy. We can conclude that people are the main source of competitiveness and have unlimited needs, the more compliance between the employee and the job, the more it will be the job satisfaction of this person and his productivity.

A motivated employee takes pleasure in activities, recognizing and encouraging their achievement is a difficult process, which requires the quality of labor. Therefore it's very important for a leader to choose the right system that requires special approaches.

Main text

Every services are responsible for optimizing business processes and employee attitudes to the work done. Inadequate time is devoted to the processes of hiring personnel, training and career development, which requires special attention. This is confirmed by Lee Braham's research, which has shown that the main reasons for employees leaving the organization are often the following unjustified expectations, incompatibility between workplace and personality, small opportunity for career growth and professional development. Managers must realize that to avoid staff turnover is possible under the right management conditions.

It's easy to attribute the unproductivity of employees to this or that event, but the problem is ignoring the main reasons why people lose passion and interests in their work. To fully grasp the essence of the problem, it's necessary to understand that we need motivation and feeling that someone needs work to do the job. "Search system" is the part of our brain that creates nature, impulses an through it we learn and do the work, take on new challenges, complete difficult but important tasks. When "Search System" is activated, than we are more motivated and purposeful.

When a company determines the success of any business at the individual level, the employees are intensified by the desire to achieve good results individually and not-as a team. That's why in such a case it's very important what approach will benefit the company and management. When a company aims to have uncommon/shared views and values among team members, employees will learn that welfare of the company isn't only their fault, it's the result of the work of the whole team, even when their role will be immeasurable.

Time is also significant investment. Take time to get your employees in person- what do they like, what do they do in their free time, how is their family and so on. Knowing these types of details and talking employees on a personal level helps build morale and trust.

What works in one company may not work in another. It all depends on your company culture and how you plan your work. Sharing your motivational thoughts or your motivational tips will benefit everyone. Motivation is what gives their energy to constantly strive to refine their ownself as well as motivate others. Accordingly, to increase the influence and motivation of our leadership, to motivate our own employees.

Keywords: Management, Motivation, Human resources, Entrepreneurship, Productivity.

Conclusion. Organizations need to create significant development opportunities, organizational strategy and values for human resources. This process is vital to organizational success.

Researches show that human capital management can take advantage of diversity, also it shows us that the motivating factor has a difficult character to difficult employees. Management needs to understand the differences in terms of employees values, talks, satisfaction levels, job performance and productivity. A business can be successful only if it has the right human resource management strategy and effective management factory is the key factory.

In terms of process management, systems need to be refined in existing modern organizations and need to require more attention and development. The main problem is that there are no formalized procedures and methodologies which leads to a high level of dependence on people and not on systems. Quality depends on the qualifications of the employees and not just the right approach to working established in an organization.

Today when companies activities take place in such a difficult environment, which is characterized by: globalization, increased competition, technological innovations, changes in the structure of the workplace, economic problems, it's difficult to find a manager who can under the above withstand similar pressures in difficult situations. Exactly, in difficult situations there are revealed opportunities, because at this time employees are depend on managers who expect

motivational steps from them. This motivation is nothing more than working on yourself, which involves the motive and behavior that drives them into action.

D. Eisenhower formulated the definition of motivation as follows: “Motivation is the ability to get a person to do what they need to do, when needed and as needed, because that is what they want.”

literature:

1. Rostom beridze- “Human resources management” Tbilisi 2011.
2. C. lomaia- - “Human resources management” Tbilisi 2012
3. Ikhlas K. M., The impact of training and motivation on performance of employees, Business Review 7(2) (2012)
4. Miriam E., Kleinbeck U., Thierry H., Work motivation in the context of a globalizing economy, Psychology Press, (2012)
5. <https://researchleap.com/hrm-in-relation-to-employee-motivation-and-job-performance-in-the-hospitality-industry/>
6. <https://www.professionalacademy.com/blogs-and-advice/what-hr-managers-can-use-to-motivate-employees>
7. <https://corporatecoachgroup.com/blog/solutions-to-common-management-problems>
8. <https://www.hrmagazine.co.uk/article-details/the-science-of-motivation>
9. <https://www.griffith.ie/blog/importance-human-resource-management>
10. <https://researchleap.com/hrm-in-relation-to-employee-motivation-and-job-performance-in-the-hospitality-industry/>
11. <https://www.marketer.ge/how-engaged-is-your-team/>
12. <https://www.linkedin.com/pulse/-irina-baramidze>

მოტივაციის როლი ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვაში

ელიზა ლაშქარაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მაგისტრანტი

აბსტრაქტი. როგორია წარმატებული ბიზნესი? როგორ ვუზრუნველყოთ ბიზნესის საქმიანობა, რომ ოპტიმალურად იყოს შესრულებული? რატომ აკეთებენ თანამშრომლები იმას რაც მათ დაავალეს?

ბევრ ადამიანს შეუძლია ამ კითხვებზე ერთი სიტყვით გასცეს პასუხი, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ეფექტური მენეჯმენტი, მაგრამ დასმულ კითხვებზე პასუხები დაზუსტებას მოითხოვს.

ორგანიზაციული წარმატების მიღწევა მოითხოვს მოტივირებულ თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, ორგანიზაციული საქმიანობის განმტკიცების მიზნით. დღესდღეობით კომპანიები ცდილობენ ადამიანური რესურსების სტრატეგიის შესაბამისად იმოქმედონ, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას თამაშობს. ორგანიზაციის ყველა დონეზე აღსანიშნავია ადამიანების მოტივაციის მნიშვნელობა, დაწყებული მენეჯერებიდან დამთავრებული HR პროფესიონალებით.

ყველა ორგანიზაციას სჭირდება ფინანსური, ფიზიკური და ადამიანური რესურსი, რომ მიაღწიოს ყველა და სასურველ შედეგს. ადამიანური რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, მთავარია მოტივაცია. თანამშრომლების მოტივირებით, შესაძლებელია მათში ჩამოყალიბდეს მზაობა, კიდევ უფრო მეტი იმუშაონ და ორგანიზაციისთვის მაქსიმალური შედეგები უზრუნველყონ. წარმატებულ კომპანიებს სჭირდებათ ადაპტირებადი, სტაბილური, მომხმარებელზე ორიენტირებული თანამშრომლები.

მიმდინარე რეფორმებმა ეკონომიკა უნდა გააუმჯობესონ და ახალ საფეხურზე გადაიყვანონ. მეწარმეობა კი არის ზუსტად ის მამოძრავებელი ძალა, რომელშიც აუცილებელია მოტივაციის ახალი ტიპების, მეთოდების შესწავლა და გამოყენება. შეიძლება ორგანიზაციას ჰქონდეს საუკეთესო სტრუქტურა, მაგრამ არ იყოს ეფექტიანი იმის გამო, რომ ხელმძღვანელობას არ შეუძლია მუშაკთა შრომის წარმართვა დასახული მიზნისკენ. ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები უნდა იყვნენ შეიარაღებულნი თანამედროვე მეთოდოლოგიითა და მიდგომებით, რათა მართონ წარმატებულად ადამიანური რესურსი.

მთავარ ამოცანას წარმოადგენს გვაჩვენოს მიმდინარე პერიოდში არსებული მოტივაციური მდგომარეობა საწარმოებში, ხოლო მიზანია დაგვანახოს ის კლიმატი, რომლის დროსაც პროდუქტიული და ჰარმონიული ურთიერთობები შეიძლება შენარჩუნდეს მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის. ამ მიზნებიდან გამომდინარე საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- მოტივაციის მნიშვნელოვანი ფაქტორების დადგენა და მათი ეფექტურობა.
- თანამშრომლებში მოტივაციის დონის განსაზღვრა.
- არის თუ არა კარგი მენეჯერი პერსონალის მოტივაციის გასაღები.

- ფასდებიან თუ არა თანამშრომლები სამუშაოს შეფასების მიხედვით.

ძირითადი შედეგია გამოვლინდეს და გაანალიზდეს:

1. მოტივაციის არსი და როლი ბიზნესის ეფექტიან მართვაში
2. რა არის მუშაობის მოტივები და ადამიანური რესურსების მართვის პრობლემები

პრობლემები

3. მომუშავეების მოტივაციასა და სტიმულებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები

ყველა დამსაქმებელმა იცის, რომ მოტივირებული სამუშაო ძალა არის პროდუქტიული და ბედნიერი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხი წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მთავარ წყაროს და ბუნებით შეუზღუდავი მოთხოვნილებები აქვთ, რაც უფრო მეტია შესაბამისობა დასაქმებულსა და სამუშაოს შორის, მით მეტი იქნება ამ პიროვნების შრომითი კმაყოფილება და მისი პროდუქტიულობა. მოტივირებული თანამშრომელი სიამოვნებას იღებს საქმიანობით, მათი მიღწევების აღიარება და წახალისება რთული პროცესია, რაც მოითხოვს შრომის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებას, ასევე ქცევის მოტივების აღმოცენებისა და განვითარების ყველა გარემოებას. ამიტომ, ლიდერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აირჩიოს სწორი სისტემა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ მიდგომებს.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, მოტივაცია, ადამიანური რესურსი, მეწარმეობა, პროდუქტიულობა.

ძირითადი ტექსტი. ყველა სამსახური პასუხისმგებელია ბიზნესპროცესების ოპტიმატიზაციაზე და თანამშრომლების დამოკიდებულებაზე შესრულებული სამუშაოსადმი. კადრების აყვანის, სწავლებისა და კარიერის განვითარების პროცესებს ეთმობა არასათანადო დრო, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამას ადასტურებს ლი ბრაჰამის გამოკვლევები, რომლებმაც აჩვენა, რომ ორგანიზაციიდან თანამშრომლების წასვლის ძირითადი მიზეზები, ხშირ შემთხვევაში არის შემდეგი გაუმართლებელი მოლოდინები, შეუთავსებლობა სამუშაო ადგილსა და პიროვნებას შორის, კარიერული ზრდისა და პროფესიული განვითარების მცირე შესაძლებლობა. აუცილებელია მენეჯერები აცნობიერებდნენ, რომ კადრების წასვლის თავიდან არიდება სწორი მართვის პირობებშია შესაძლებელი.

მარტივია თანამშრომლების არაპროდუქტიულობა ამა თუ იმ მოვლენას მიაწერონ, მაგრამ პრობლემა იმ ძირითადი მიზეზის იგნორირებაა, რის გამოც ადამიანები საკუთარი საქმისადმი ვნებასა და ინტერესს კარგავენ. პრობლემის არსს სრულიად რომ ჩაწვდეთ, აუცილებელია, გვესმოდეს, რომ საქმის საკეთებლად გვჭირდება მოტივაცია და იმის განცდა, რომ შრომა ვიღაცას სჭირდება. ე. წ. “ძებნის სისტემა” ჩვენი ტვინის ნაწილია, რომელიც ქმნის ბუნებას, იმპულსებსა და მისი საშუალებით ვსწავლობთ და ვაკეთებთ საქმეს, ვიღებთ ახალ გამოწვევებს, ვასრულებთ რთულ, მაგრამ მნიშვნელოვან დავალებებს. როდესაც გონებაში “ძებნის სისტემა” აქტიურდება, მაშინ ვართ უფრო მოტივირებულები, მიზანსწრაფულები და მიზანდასახულები.

როდესაც კომპანია ინდივიდუალურ დონეზე საზღვრავს რაიმე საქმის ავკარგიანობას, თანამშრომლებს უმძაფრდებათ სურვილი, ინდივიდუალურად მიაღწიონ კარგ შედეგებს და არა – გუნდურად. სწორედ ამიტომ, ამგვარ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი მიდგომით ისარგებლებს კომპანია და ხელმძღვანელობა. როდესაც კომპანია მიზნად დაისახავს იმას, რომ გუნდის წევრებს შორის საერთო/გაზიარებული შეხედულებები და ღირებულებები იყოს, თანამშრომლები ისწავლიან იმას, რომ კომპანიის კეთილდღეობა მხოლოდ მათი ბრალი კი არა, მთელი გუნდის მუშაობის შედეგია, თუნდაც მაშინ, როცა მათი როლი განუზომელი იქნება.

დრო ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციაა. დრო დაუთმეთ თქვენს თანამშრომლებს პირადად გაიცნოთ - რა მოსწონთ, რითი არიან დაკავებულნი თავისუფალ დროს? როგორ არის მათი ოჯახი და ა.შ. ამ ტიპის დეტალების ცოდნა და თანამშრომლებთან პირად დონეზე საუბარი ხელს უწყობს მორალისა და ნდობის ჩამოყალიბებას.

ის, რაც ერთ კომპანიაში მუშაობს, მეორეში შეიძლება არ იმუშაოს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია თქვენი კომპანიის კულტურაზე და იმაზე, თუ როგორ გეგმავთ სამუშაოს. თქვენი მოტივაციური აზრების ან თქვენი მოტივაციური რჩევების გაზიარება ყველას სარგებელს მოუტანს. მოტივაცია არის ის, რაც მათ ენერგიას აძლევს მუდმივად შეეცადონ საკუთარი თვითგამოყენების დახვეწას, აგრეთვე სხვის მოტივაციას. შესაბამისად, გავზარდოთ ჩვენი ხელმძღვანელობის გავლენა და მოტივაცია გავუწიოთ, ჩვენივე თანამშრომლების მოტივაციას.

დასკვნითი ნაწილი. ორგანიზაციებმა უნდა შექმნან განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, ორგანიზაციული სტრატეგია და ადამიანური რესურსებისთვის წარმოდგენილი ღირებულებები. ეს პროცესი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ორგანიზაციული წარმატებისთვის.

კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტს შეუძლია მრავალფეროვნების გამოყენება, ამავდროულად გვაჩვენა, რომ სამოტივაციო ფაქტორს განსხვავებული ხასიათი აქვს სხვადასხვა თანამშრომლებზე. მენეჯმენტმა უნდა გააცნობიეროს განსხვავებები, თანამშრომელთა ღირებულებების, საჭიროებების, ამოცანების, კმაყოფილების დონეების, სამუშაოს შესრულებისა და პროდუქტიულობის გაზრდის თვალსაზრისით. ბიზნესი წარმატებული შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის სწორი სტრატეგია, ეფექტიანი მართვა კი უმთავრესი ფაქტორია.

პროცესების მართვის კუთხით, სისტემები მოქმედ თანამედროვე ორგანიზაციებში დასახვეწია და საჭიროებს უფრო მეტ ყურადღებასა და განვითარებას. მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ არსებობს ფორმალიზებული პროცედურები და მეთოდოლოგიები, რაც განაპირობებს დამოკიდებულების დიდ დონეს ადამიანებზე და არა სისტემებზე. ხარისხი დამოკიდებულია თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე და არამარტო ორგანიზაციაში დამკვიდრებულ მუშაობის სწორ მიდგომაზე.

დღეს, როცა კომპანიებს საქმიანობა უხდებათ ისეთ რთულ გარემოში, რომლისთვისაც დამახასიათებელია: გლობალიზაცია, კონკურენციის გაღრმავება, ტექნოლოგიური ინოვაციები, სამუშაო ძალის სტრუქტურის ცვლილება, ეკონომიკური პრობლემები, რთულია ისეთი მენეჯერის პოვნა, რომელსაც შეეძლება ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან, რთულ ვითარებებში გაუძლოს მსგავს ზეწოლას. სწორედ რთულ ვითარებებში ვლინდება მათი შესაძლებლობები რადგან ამ დროს თანამშრომლები არიან დამოკიდებულნი მენეჯერებზე, რომლებიც ელოდებიან მათგან მოტივაციურ ნაბიჯებს. სწორედ მოტივაცია სხვა არაფერია, თუ არა საკუთარ თავზე მუშაობა, რომელიც მოიცავს მოტივსა და ქცევას, რაც უბიძგებს მათ მოქმედებაში.

დ. ეიზენშაუერმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა მოტივაციის განმარტება: „მოტივაცია არის უნარი, ადამიანი იქამდე მიიყვანო, რომ გააკეთოს ის, რაც საჭიროა, როდესაც საჭიროა და როგორც საჭიროა, იმიტომ რომ ეს თვითონ მას სურს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. როსტომ ბერიძე - “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი” თბილისი 2011. 39-44 გვ
 2. ც. ლომია, “ადამიანური რესურსების მენეჯმენტი”, 2012
 3. Ikhlas K. M., The impact of training and motivation on performance of employees, Business Review 7(2) (2012) 84-95
 4. Miriam E., Kleinbeck U., Thierry H., Work motivation in the context of a globalizing economy, Psychology Press, (2012) 39-41.
- ინტერნეტ-რესურსი:
5. <https://researchleap.com/hrm-in-relation-to-employee-motivation-and-job-performance-in-the-hospitality-industry/>
 6. <https://www.professionalacademy.com/blogs-and-advice/what-hr-managers-can-use-to-motivate-employees>
 7. <https://corporatecoachgroup.com/blog/solutions-to-common-management-problems>
 8. <https://www.hrmagazine.co.uk/article-details/the-science-of-motivation>
 9. <https://www.griffith.ie/blog/importance-human-resource-management>
 10. <https://researchleap.com/hrm-in-relation-to-employee-motivation-and-job-performance-in-the-hospitality-industry/>
 11. <https://www.marketer.ge/how-engaged-is-your-team/>
 12. <https://www.linkedin.com/pulse/-irina-baramidze>
 13. <http://execdev.kenan-flagler.unc.edu/blog/the-role-of-motivation-in-the-workplace>

მენეჯმენტის მოდელების ანალიზი Analysis of management models

დავით ჩახვაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

Davit Chakhvashvili - PhD of Economics. Professor
Georgian National University
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

Abstract: The following statement is popular in our time: "Management, as part of economic activity, becomes international, loses its cultural identity." National peculiarities of organization management are important for a manager for the following reasons: Currently, many organizations actively interact with foreign firms and companies, and in the process of interaction, problems may arise due to the fact that its participants act in accordance with the traditions adopted in their culture; The experience of foreign companies can be useful in other cultures; The manager can find work abroad. Naturally, he will need at least some knowledge of how it is customary to manage the activities of people in a given country.

For management practice, it is important to have knowledge of national-historical factors in order to determine their impact on the culture of the organization, to assess the possibility of merging elements of different national cultures within one organization.

ძირითადი ტექსტი: ეროვნული ისტორიული ფაქტორების გავლენა მენეჯმენტის განვითარებაზე. დღესდღეობით პოპულარულია შემდეგი განცხადება: "მენეჯმენტი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ნაწილი, ხდება საერთაშორისო, კარგავს თავის კულტურულ იდენტურობას".

ორგანიზაციის მართვის ეროვნული მახასიათებლები მენეჯერისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო: დღეისათვის მრავალი ორგანიზაცია აქტიურად ურთიერთობს უცხოურ ფირმებსა და კომპანიებთან და ურთიერთქმედების პროცესში შეიძლება წარმოიშვას პრობლემები იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მისი მონაწილეები მოქმედებენ თავიანთ კულტურაში მიღებული ტრადიციების შესაბამისად; უცხოური კომპანიების გამოცდილება შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა

კულტურებში; მენეჯერს შეუძლია სამუშაოს პოვნა საზღვარგარეთ. ბუნებრივია, მას მინიმუმ გარკვეული ცოდნა სჭირდება იმის შესახებ, თუ როგორ არის ჩვეულებრივი ადამიანების საქმიანობის მართვა მოცემულ ქვეყანაში.

მენეჯმენტის პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანია ცოდნა ეროვნული ისტორიული ფაქტორების შესახებ, რათა განისაზღვროს მათი გავლენა ორგანიზაციის კულტურაზე, შევავასოთ სხვადასხვა ეროვნული კულტურის ელემენტების ერთ ორგანიზაციაში შერწყმის შესაძლებლობა.

ორგანიზაციაში მართვის განვითარებაზე ეროვნულ-ისტორიული ფაქტორების გავლენა საკმაოდ ეფექტურად არის აღწერილი გ. ჰოფსტედის ხუთფაქტორიანი და გ. ლეინისა და გ. დისტეფანოს ექვსფაქტორიანი მოდელებით.

ჰოფსტედის მოდელი ითვალისწინებს კულტურის ხუთ განზომილებას: 1) ძალაუფლების მანძილი ახასიათებს ადამიანთა შორის უთანასწორობის ხარისხს, რომელსაც მოცემული ქვეყნის მოსახლეობა მისაღები ან ნორმალურად თვლის. ძალაუფლების დაშორების დაბალი დონე ნიშნავს ფარდობით თანასწორობას საზოგადოებაში და პირიქით; 2) ინდივიდუალიზმი ახასიათებს რამდენად მოცემული ქვეყნის მოსახლეობას ურჩევნია იმოქმედოს როგორც ინდივიდუალური, ვიდრე ჯგუფის წევრი; 3) მამაკაცურობა გულისხმობს მიზანსწრაფულობას, შრომისადმი ნდობას, კონკურენციის წარმატების რწმენას. 4) გაურკვევლობის თავიდან აცილების სურვილი ცხადყოფს, თუ რამდენად გარკვეულ ქვეყანაში ადამიანები ურჩევენ აშკარა და ზუსტი წესების მქონე სტრუქტურულ სიტუაციებს, არამდგრადი წესებისა და გაუგებარი შედეგების მქონე სტრუქტურული სიტუაციებისგან; 5) გრძელვადიანი განვითარებისკენ ორიენტაცია ახასიათებს ქვეყნის მოსახლეობის ვალდებულებას გრძელვადიანი მიზნების დასახვისა და განხორციელებისათვის, განსხვავებით წამიერი წარმატების ძიებისა.

G. Lane- ისა და J. Distefano- ს მოდელი განიხილავს ექვს ცვლად ფაქტორს, რომლებიც განისაზღვრება როგორც პრობლემები, რომელთა წინაშეც დგას საზოგადოება მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში. გ. ლეინისა და ჯ. დისტეფანოს მიერ მოდელის ცვლადებია: ადამიანის მიმართება ბუნებასთან; დროში ორიენტაცია; რწმენა ადამიანის ბუნების შესახებ; საქმიანობის ორიენტაცია; ურთიერთობა ადამიანებს შორის; სივრცეში ორიენტაცია. მოდელი მიიჩნევს, რომ თითოეული ამ ცვლადის

ეროვნული ვარიაცია პირდაპირ კავშირშია მოცემულ ქვეყანაში ორგანიზაციაში მენეჯმენტის განვითარებასთან.

იმის გაგება, რომ მენეჯმენტი ორგანიზაციის ფუნქციონირების განსაკუთრებული ასპექტია, პირველად განხორციელდა შეერთებულ შტატებში. ეს ნიშნავს, რომ მენეჯმენტი თავისთავად მეტწილად ამერიკული ფენომენია, რომელიც ასახავს მსოფლიოს ამერიკული სურათის თავისებურებებს.

თანამედროვე ამერიკული მენეჯმენტი, როგორც დღეს მოქმედებს, სამ ისტორიულ საფუძველს ემყარება: 1) ბაზარზე ყოფნა; 2) წარმოების ორგანიზების სამრეწველო გზა; 3) კორპორაცია, როგორც მეწარმეობის ძირითადი ფორმა.

თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი წამყვანი ტენდენციაა მენეჯმენტის სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, ადამიანის მიმართ მისი ორიენტაცია. მკვლევარები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ორგანიზაციული ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა კომპანიის ფილოსოფია, ორგანიზაციული ან კორპორატიული კულტურა, სოციალური პასუხისმგებლობა და ბიზნესის ეთიკა. იაპონური კომპანიების მენეჯერების მიერ მენეჯმენტის საქმიანობის საფუძველი უკვე დიდი ხანია დაყენებულია ყველა ამ კითხვაზე. იაპონიამ თავისი მაგალითით დაამტკიცა მსოფლიოს, თუ რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს მენეჯმენტის სისტემა დასახული მიზნების მისაღწევად.

იაპონიაში განვითარდა მმართველობის თანამედროვე მეთოდები ომისშემდგომ განადგურებაში, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელობა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების აღდგენის ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. ამერიკულმა კონცეფციამ გავლენა მოახდინა ამ პროცესზე, მაგრამ შეერთებულ შტატებში გამოყენებული მართვის მეთოდების გამოყენებამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი. ამის მიუხედავად, ამერიკელი მკვლევარების იდეებმა ხელი შეუწყო აზროვნების განსაკუთრებული მეთოდისა და მიდგომის დამკვიდრებას, რომელიც მხოლოდ იაპონელი მენეჯერებისთვისაა დამახასიათებელი. შედეგად, იაპონური მენეჯმენტის სისტემის ძირითადი მახასიათებლები განისაზღვრება ამერიკული მოდელის არარსებობის მრავალი კონცეფციით, კერძოდ, მთელი ცხოვრების განმავლობაში დასაქმების პრინციპებით და სტაჟირებით, გადაწყვეტილების კოლექტიური მიღებით და ა.შ.

ეს მახასიათებლები ტრადიციულად ფეოდალიზმის მემკვიდრეობად ითვლება, ზოგჯერ მათ ტოკუგავას შოლუნატის პირდაპირ ნარჩენებსაც კი უწოდებენ (მე -17 საუკუნე - მე -19 საუკუნის მეორე ნახევარი).

ქვეყნების ჯგუფებად დაყოფა ღირებულებების მსგავსების საფუძველზე შეიძლება სასარგებლო მიდგომა იყოს საერთაშორისო კომპანიების მენეჯერებისთვის. ერთ – ერთი ყველაზე ფართო კვლევა, რომელიც კულმინაციას მიაღწია ქვეყნების დაჯგუფების სისტემის განვითარებაში, იყო რონენისა და შენკარის მიერ 1985 წელს ჩატარებული კვლევა.

ქვეყნების ჯგუფებად დაყოფა შეიძლება სასარგებლო იყოს მენეჯერებისთვის, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ კულტურული ადაპტაციის ხარისხი, რომელიც საჭიროა სხვა კულტურის ქვეყანაში გადასვლისას. საკუთარი ჯგუფის წევრი ქვეყნის კოლეგებთან კომუნიკაციისას მენეჯერს შეუძლია დაეყრდნოს ღირებულებების შედარებით მსგავსებას და მარტივ ადაპტაციას. მაგალითად, ავსტრალიელების კანადელებთან ურთიერთობა გარკვეულწილად მოხდება ნაცნობ ტერიტორიაზე.

ანთროპოლოგებმა კლუხონმა და სტროდტბეკმა აღწერეს კულტურული მსგავსება და განსხვავებები იმ ძირითადი პრობლემების თვალსაზრისით, რომელთა წინაშეც ნებისმიერი ადამიანის საზოგადოება აღმოჩნდა. ეს მოდელი გამოიყენა სტატიების ბევრმა ავტორმა საერთაშორისო მენეჯმენტის შესახებ და წარმოადგენს ეროვნული კულტურის შეფასების საშუალებას, რომელიც მათთვის სასარგებლო აღმოჩნდა.

აშშ-ს მენეჯმენტის მოდელის მახასიათებლები: ითვლება, რომ მართვის ამერიკული მოდელი დაიბადა წარმოების მართვის პრინციპების წინააღმდეგ ბრძოლაში G. Ford.

ჰენრი ფორდმა XX საუკუნის დასაწყისში უდიდესი სამრეწველო წარმოება ააშენა და აქედან \$ 1 მილიარდი (36 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა), მისმა პრინციპებმა უდიდესი გავლენა იქონია აშშ-ს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ის თავის ბიზნესს ეწეოდა საყოველთაოდ მიღებული წესების საწინააღმდეგოდ. როდესაც მანქანებზე მოთხოვნა გაიზარდა, მეწარმემ ფასი შეამცირა. იგი თვლიდა, რომ აუცილებელია ადამიანების მსყიდველობითი უნარის გაზრდა ხელფასების გაზრდით და გაყიდვების ფასების შემცირებით. დიდი დეპრესიის დროს, როდესაც ქარხნებისა და ქარხნების მეკატრონეებმა ხელფასები ორჯერ ან სამჯერ შეამცირეს, ფორდმა არამარტო გააორმაგა ისინი, არამედ ათი საათიანი

სამუშაო დღევ შეცვალა რვასაათიანი (რითაც დიდწილად გადაარჩინა თავისი ქარხნები უკმაყოფილებისგან, გაფიცვებისგან, მშრომელთა წასვლისგან) ...

წარმატების კიდევ ერთი საიდუმლო იყო მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. მაგრამ ამავე დროს, ფორდმა შემოიღო სამუშაოს განაწილების სპეციალური გზა (ამ ფენომენს "ფორდიზმი" უწოდეს). მას სჯეროდა, რომ მშრომელს უნდა დაემორჩილოს, არ აიღოს რაიმე პასუხისმგებლობა, ყველაზე ეფექტურად - იგივე მარტივი მოქმედებების ერთფეროვანი შესრულება.

ფორდმა 15 მილიონნახევარი Ford-T მანქანა გაყიდა, აწყობის ხაზი რუტინული და აუცილებელი რამ გახდა. მან მუშებს ორჯერ მეტი გადაუხადა და ამით შექმნა ლურჯი საყელოების კლასი. მისმა მუშებმა დაზოგეს ფული "მათი" მანქანის - "Ford-T" - ს შესაძენად. ფორდმა არ შექმნა მოთხოვნა მანქანებზე, მან შექმნა პირობები მოთხოვნისთვის.

იგი ემყარება შრომის განაწილების პრინციპს. კონვეიერის თითოეული თანამშრომელი ასრულებს ერთ ოპერაციას, რითაც სტანდარტიზებს მათ მუშაობას და მნიშვნელოვნად აჩქარებს წარმოებას.

ამასთან, ასამბლეის ხაზის აწყობა ძალზე დეჰუმანიზებული პროცესია. ადამიანი იძულებულია იმუშაოს როგორც ავტომატი, მუდმივად ასრულებს ერთსა და იმავე მოქმედებას მთელი სამუშაო დღის განმავლობაში და არა შესაძლებლობა, რომ ყურადღება გადაიტანოს. ეს იწვევს ნერვულ აშლილობას, ემოციურ დაშლას და სხვა პრობლემებს, რაზეც, რა თქმა უნდა, მეწარმეებს არ უფიქრიათ ან უბრალოდ არ აღიარებენ უბრალო ადამიანებში კარგი გონებრივი ორგანიზაციის შესაძლებლობას.

თანამედროვე ამერიკულ მენეჯმენტის სკოლაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კომპანიის წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია შიდა ფაქტორებზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წარმოების რაციონალურ ორგანიზაციას, შრომის პროდუქტიულობის მუდმივ ზრდას და რესურსების ეფექტურ გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ გარე ფაქტორები უკანა პლანზე ქრება.

წარმოების რაციონალიზაცია გამოიხატება კომპანიის ცალკეული თანამშრომლებისა და სტრუქტურული ერთეულების სპეციალიზაციის მაღალ ხარისხში და მათი პასუხისმგებლობის მკაცრ განსაზღვრაში. სპეციალიზაციის უპირატესობები ის არის, რომ ის საშუალებას გაძლევთ შეამციროთ მუშახელის მომზადების მოცულობა, გაზარდოთ პროფესიული

უნარების დონე თითოეულ სპეციალიზირებულ სამუშაო ადგილზე, განცალკევებით წარმოების ამოცანებისაგან, რომლებიც არ საჭიროებენ კვალიფიციურ შრომას და შეიძლება შესრულდეს არაკვალიფიციური მუშაკების მიერ, რომლებიც იღებენ უფრო დაბალ ხელფასს და ასევე ზრდის სპეციალიზებული აღჭურვილობის შესაძლებლობები.

გადაწყვეტილებები ყველაზე ხშირად ინდივიდუალურად მიიღება, ხოლო პასუხისმგებლობის დონე მენეჯმენტის პირამიდაში ერთი ან ორი ნაბიჯით მაღალია, ვიდრე ფორმალური უფლებამოსილების მქონე მენეჯერების დონე. ეს ნიშნავს, რომ მენეჯმენტი პასუხისმგებელია მათი ქვეშევრდომების საქმიანობაზე.

ამერიკული ფირმა მუშაობს სოციალურ ატმოსფეროში, რომელიც ხელს უწყობს თანასწორობას. შესაბამისად, აქ მუშები უფრო მობილური არიან, ადვილად ცვლიან სამსახურს ინდივიდუალური შეღავათების ძიებაში. თანამშრომლებს შორის კონკურენცია ხშირად წახალისებულია ფირმაში. მართვის ძირითადი მახასიათებლები ამერიკულ კომპანიაში: 1. კარგად განსაზღვრული სამუშაო პასუხისმგებლობა; 2. თანამშრომლის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა. ახალი იდეების წახალისება; 3. სავალდებულო გადამზადება და უწყვეტი განათლება; 4. მართვა მიზნების მიხედვით. მიღწევის მკაფიო ალგორითმი; 5. საპირისპირო ტენდენციების განხორციელება: ხისტი ფუნქციონალური მიდგომა და ლიდერების და შემოქმედებითი პირების დიდი რაოდენობა, დეცენტრალიზაცია და ცენტრალიზაცია, სიმკაცრე საკუთარი ინტერესების დაცვაში და მოქნილობა განხორციელებისას; 6. კარიერის ზრდა მკაცრად პროფესიული სპეციალიზაციის ფარგლებში; 7. განვითარებული კორპორატიული კულტურა.

კორპორაციის დაგეგმვის მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც წარმოიშვა მე -19 საუკუნის დასაწყისში ბაზრის გაჯერების და რიგი კორპორაციების ზრდის შედეგების პირობებში. ამერიკული კორპორაციები მას ფართოდ იყენებენ თავიანთი საქმიანობის დროს. სტრატეგიული მენეჯმენტი - საწარმოს განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის პერსპექტიული მიზნების დასაბუთება და შერჩევა, მათი კონსოლიდაცია გრძელვადიან გეგმებში, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. სტრატეგიული მენეჯმენტის შინაარსი მოიცავს, პირველ რიგში, გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც

აუცილებელია კონკურენციის მოსაპოვებლად და, მეორე, მენეჯმენტის რეალურ დროში განხორციელებაში. კორპორაციების შემუშავებული სტრატეგია შემდგომში გადაკეთდა

დასკვნა: ბოლო ათწლეულის განმავლობაში უცხოური გამოცდილების გამოყენების პრობლემა ყველაზე აქტუალური გახდა. ჩვენს ქვეყანაში დისკუსიები მიმდინარეობს მენეჯმენტის სფეროში დასავლური მოდელების გამოყენების აუცილებლობაზე. ამ საკითხზე კონსენსუსი არ არსებობს. ყველაზე გონივრული ჩანს ეროვნული და უცხოური გამოცდილების გონივრული პროპორციებით გამოყენება.

ამ დროისთვის ორი ტენდენცია გამოირჩევა. ზოგიერთი ფირმა, ჩვეულებრივ მსხვილი, იცავს მართვის დასავლურ მოდელებს. ხშირად ესენი არიან ფირმები, ნაწილობრივ ან მთლიანად უცხოურ ინვესტიციებზე დაფუძნებული. ცნობილია, რომ ჩვენთან ასეთ კომპანიებში დისციპლინის სტანდარტები გაცილებით მკაცრია, ვიდრე დასავლეთის მსგავს კომპანიებში და ნაკლებია სოციალური გარანტიები. ასეთ ფირმებში დასაქმებულს შეუძლია სწრაფად გააკეთოს კარიერა, მაგრამ მას გარკვეული პერიოდის შემდეგ ხშირად არ აქვს რაიმე დასაქმების გარანტია.

მცირე ფირმებში ერთი თანამშრომელი ხშირად იძულებულია შეასრულოს მრავალი ფუნქცია, რაც ხშირად მისთვის დამახასიათებელი არ არის. ასეთ ფირმებში ჩვენ არ ვსაუბრობთ მართვის რომელიმე მოდელებზე. ამავე დროს, თანამშრომლის პოზიციის არასტაბილურობა ხშირად იგივეა, რაც მსხვილ კომპანიებში. ეჭვგარეშეა, რომ მენეჯმენტის დასავლური გამოცდილება ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი. მენეჯმენტის დარგში უცხოელი სპეციალისტების მიერ დაგროვილი შედეგების გააზრების გარეშე შეუძლებელია საკუთარი თანამედროვე მენეჯმენტის სკოლის შექმნა. რა თქმა უნდა, ქართულ კომპანიებს უკვე აქვთ საკუთარი გამოცდილება და არც ეს უნდა იყოს უგულვებელყოფილი. ამასთან, ეს გამოცდილება გარკვეულწილად სპეციფიკურია განსაკუთრებული ეკონომიკური პირობების გამო, რომელშიც მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ჩვენი ქვეყანა, ამიტომ შეუძლებელია თანამედროვე პირობებში დაგროვილი ცოდნის ბრმა გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Scott Filostin - Models of Management. Published in: Leadership & Management. 2016
2. Tony Morden - Models of national culture – a management review. Cross Cultural Management: An International Journal. 2011
3. Wolf Heydebrand - Models of Management: Work, Authority, and Organization in a Comparative Perspective. Published in: Academy of Management. 2012
4. Fons Trompenaars and Piet Hein Coebergh - Management Models. Published in 2014
5. Robert Agranoff and Michael McGuire - American Federalism and the Search for Models of Management. <https://www.jstor.org/stable/3110002>

პოლ სამუელსონი
Paul Samuelson

კუზნეცი (Kuznets) საიმო (30.IV. 1902. ქ. ხარკოვი, უკრაინა, - 10. VII. 1985, ქ კემბრიჯი, აშშ), ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში (1971). დაიბადა ქ. ხარკოვში აბრამ და პოლინა კუზნეცების (ქალიშვილობის გვარი ფრიდმანი) ოჯახში. კუზნეცის მამა, რომელიც იყო ბეწვეულით მოვაჭრე 1907 ჩავიდა აშშ-ში, რათა შემდეგ თან წაეყვანა თავისი ოჯახიც, მაგრამ ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა და შემდეგ რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ დაამსხვრია მისი გეგმები. კუზნეცი შევიდა ადგილობრივ გიმნაზიაში, სადაც დაიწყო ეკონომიკის შესწავლა.

კუზნეცი და მისი უმცროსი ძმა სოლომონი მიდიან ნიუ-ორკში მამასთან. ზაფხულში ძმები დამოუკიდებლად სწავლობენ ინგლისურ ენას და იმავე წლის შემოდგომაზე კუზნეცი შედის კოლუმბიის უნივერსიტეტში. მომდევნო წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი, ხოლო 1924 ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. კოლუმბიის უნივერსიტეტში მისი ხელმძღვანელი იყო ეკონომისტი უისლი მიტჩელი, მათი მეგობრობა სწავლის დამთავრების შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა.

1926 კუზნეცმა მიიღო დოქტორის ხარისხი- დაიცვა დისერტაცია „ციკლური რყევები: საცალო და საბითუმო ვაჭრობა, შეერთებული შტატები, 1919-1925“. ამ ნაშრომში, რომელიც შეასრულა მიტჩელის ხელმძღვანელობით, აისახა მათი საერთო მისწრაფება, გაეგოთ ეკონომიკური ქცევა სტატისტიკური ინფორმაციის დაგროვების მეშვეობით და ემპირიული გზით აეხსნათ ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებანი.

კუზნეცი 1929 დაქორწინდა ედიტ ჰანდლერზე. რომელთანაც ჰყავდა ქალ-ვაჟი.

1930 გამოქვეყნდა მისი წიგნი „წარმოებისა და ფასების ასწლიანი დინამიკა“. მიტჩელის რჩევით კუზნეცი ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (ეკებ) თანამშრომელი ხდება და მალევე სათავეში ჩაუდგა ეროვნული შემოსავლის კვლევის პროგრამას. ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებაში გაწეული მუშაობით უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ მეცნიერებაში. იგი პირველი მეცნიერია, ვინც

შეისწავლა ურთიერთდამოკიდებულება ეკონომიკურ რყევებსა და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას შორის.

კუზნეცმა დაამუშავა აშშ-ის ეროვნული შემოსავლის განსაზღვრის მეთოდოლოგია, თუმცა, იგი არ იყო პირველი, ვინც ცდილობდა ასეთი გაანგარიშება ეწარმოებინა (გრეგორი კინგი, ოსვალდ ანაუტი).

კუზნეცის წვლილი ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდების დამუშავებაში ემყარება ურთიერთდამოკიდებულებების ერთიან თეორიულ კონცეფციას რომელიმე წელს პროდუქციის ეროვნული გამოშვების გამოთვლილ მოცულობასა და კეთილდღეობის გარკვეულ დონეს შორის, რომელიც შეესაბამება ამ მოცულობას.

კოზნეცის გამოკვლევები ეროვნული შემოსავლის ოდენობასა და კომპონენტების და მათი დროში ცვლილებების შესახებ მისი ყველაზე დიდი წვლილია ეკონომიკურ მეცნიერებაში. მის პირველ წიგნში სიმპიმისცენტრი გადატანილი იყო ეროვნული შემოსავლის ცვლილებაში მოქმედ ტენდენციებსა და სხვადასხვა ხანგრძლივობის რყევებს შორის შიგა ურთიერთდამოკიდებულების კვალობაზე. აქ ირველად იყო განსაზღვრული 20-წლიანი ვადა, ანუ ე.ე. „კუზნეცის ციკლი“- ტექნიკური პროგრესი მოსახლეობისა და ეროვნული შემოსავლის სწრაფი და შენელებული ზრდის ტემპების მონაცვლეობის პერიოდი. „კუზნეცის ტალღების“ გამოვლენას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ანალიზისთვის. კუზნეცი ეკონომიკური ზრდის კვლევის დროს უპირატესობას აძლევდა დაკვირვების პერიოდად აეღოთ 50-წლიანი პერიოდი.

ეროვნული შემოსავლის კვლევებში კუზნეც იესწრაფვოდა იმას, რასაც იგი უწოდებდა ეკონომიკური განვითარების ანალიზურ აღწერას კვლევის პროცესის გამოყენებით, რომელიც მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მოძრაობა „გაზომვიდან შეფასების მეშვეობით, შემდეგ კლასიფიკაციის მეშვეობით, ახსნის მეშვეობით თეორიის შექმნამდე“.

კუზნეცმა ასევე შექმნა საფუძველი სტატისტიკური მაკროეკონომიკისადმი კეინზური მიდგომისთვის. ეროვნული შემოსავლის „ორმაგი ანგარიშის“ გამოყენებით იგი ეროვნულ შემოსავალს ანგარიშობდა ორი პოზიციით. ჯე გამოითვლიდა ისეთ მაჩვენებლს, როგორცაა ერთობლივი მოთხოვნა. კეინსის მიხედვით ეს არის დანახარჯების ჯამი სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე, ინვესტიციები და სახელმწიფო ხარჯები. შემდეგ ანგარიშობდა საერთო შემოსავლის

მაჩვენებელს მიწოდების მხრივ. ხელფასის, მოგებისა და რენტის ჯამი. ამრიგად, ეროვნული გაანგარიშების მისმა მეთოდმა ემპირიული შინაარსით შეავსო პოლიტიკური პრობლემების კეინზური განსაზღვრა.

1931 კუზნეცი გახდა ეკონომიკისა და სტატისტიკის პროფესორი პენსილვანიის უნივერსიტეტში, ხოლო მოგვიანებით - სამხედრო მრეწველობის სამინისტროსთან არსებული დაგეგმვისა და სტატისტიკის ბიუროს დირექტორის მოადგილე (1944-46). 1949 იგი უკვე ეკონომიკური ზრდის კომიტეტის თავმჯდომარეა სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საბჭოში. 1954-60 იყო ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი, ხოლო 1960 გახდა ეკონომიკის პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტში.

1957-67 სერიების სახით გამოქვეყნდა 10 ფუძემდებლური სტატია „ერის ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი ასპექტები“.

შრომების უმეტესობაში კუზნეცი განიხილავდა დაგროვებისა და ინვესტიციების როლს, აგრეთვე კაპიტალისა და ტექნოლოგიური ცვლილებების წვლილს ეკონომიკური ზრდის პროცესში. იგი ამ პრობლემებს იხილავდა ნაშრომში „კაპიტალი და მაერიკული ეკონომიკა“ (1961).

კუზნეცი აღნიშნავდა, რომ კაპიტალის წვლილი ეროვნული წარმოების ზრდაში შედარებით მცირეა. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოაშკარავა „ადამიანისეული კაპიტალის“, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის როლი და აღნიშნა, რომ „ქვეყნის ყველაზე დიდ კაპიტალი არის მისი ადამიანები მათი დახელოვნებით, გამოცდილებითა და სასარგებლო ეკონომიკური საქმიანობის რწმენით“. აჩვენა, რომ ტექნოლოგიის ცვლილებები, სამუშაო ძალის გადნაწილება საწარმოო და სხვა სექტორებში, აგრეთვე გამოუყენებელი შრომის ხარისხის გაუმჯობესება გვიხსნიან-გვაგებინებენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების შემთხვევათა უმეტესობას.

კუზნეცი უდიდესი გულისყურით სწავლობდა ურთიერთობას ეკონომიკურ ზრდასა და მოგების განაწილებას შორის. ნაშრომებში „ყველაზე მაღალშემოსავლიანი ჯგუფების მონაწილეობა მოგების დაგროვებაში“ (1953) და „თანამედროვე ეკონომიკური ზრდა“ (1966), კუზნეცმა აჩვენა, რომ აქციონერული კაპიტალის მოცულობის გადიდება წარმოების საერთო მოცულობაშიდა მოგების შემცირება ინვესტიციურ კაპიტალზე ადიდება შრომის როლს ეროვნულ შემოსავალში.

კუზნეცმა შეაგროვა 10 ქვეყნის შემოსავლის მონაცემები და დაამტკიცა, რომ ხშირად პირადი შემოსავლის განაწილებას აქვს გამოთანაბრების ტენდენცია მომავალში. გარდა ამისა, მან წამოაყენა „კუზნეცის კანონი“ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის: განვითარების პირველ 10 წელიწადში უთანაბრობა შემოსავლების განაწილებაში მკვეთრად გადიდება, შემდეგ გაჩნდება გათანაბრების ტენდენცია.

ნობელის პრემია მიიღო 1971 „ეკონომიკური ზრდის ემირიულად დასაბუთებული გაგებისთვის, რამაც მიგვიყვანა როგორც ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის, ისე განვითარების პროცესის ახალ, უფრო ღრმა გაგებამდე“. პრეზენტაციის დროს, შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრმა ბერტილ ოლინმა, თავის სიტყვაში თქვა: „კუზნეცი გამუდმებით ცდილობდა მიეცა ეკონომიკური სიდიდეების რაოდენობრივი განსაზღვრა, რომლებიც, როგორც ჩანს, ეხებოდა სოციალურ ცვლილებათა პროცესების ახსნას. იგი იყენებდა ჭეშმარიტად უზარმაზარ სტატისტიკურ მასალას, რომელსაც უკეთებოდა იმდენად ღრმა და გუდასმითი ანალიზი, რომ ეს მასა ლა ბრწყინავდა აზრით და სრულიან ახალ ნათელს ჯფენდა ეკონომიკური ზრდის პრობლემებს“.

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში კუზნეცი შეფასებულია როგორც კეინზის შემდეგ ერთ-ერთი დიდი თეორიტიკოსი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XX ს. ეკონომიკურ აზროვნებაში.

კუზნეცის მეცნიერული დამსახურება აღიარა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ. იგი იყო ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის, ამერიკის სტატისტიკის ასოციაციის პრეზიდენტი, ეკონომიკური ისტორიის ასოციაციის, საერთაშორისო ეკონომიკური საზოგადოების, საერთაშორისო სტატისტიკის ინსტიტუტის, სამეფო სტატისტიკური საზოგადოების (დიდი ბრიტანეთი), ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის, შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის საპატიო წევრი.

მინიჭებული ჰქონდა ბევრი უნივერსიტეტის, მათ შორის, ჰარვარდის, პრინსტონის, კოლუმბიის, პენსილვანიის უნივერსიტეტების საპატიო სამეცნიერო წოდებები.

ჰიკსი (Hicks) ჯონ (8. IV. 1904, ქ. უორიკი, დიდი ბრტანეთი, 20. V. 1989), ინგლისელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში კენეტ ეროუსთან ერთად, 1972). დაიბადა ქ. უორიკში, ბირმინგემთან ახლოს. მისი

მამა ედვარდ ჰიკსი იყო ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი. მიიღო რა მათემატიკის (მათემატიკური) სტიპენდია 1917-22 სწავლობდა ალფტონ-კოლეჯში, ხოლო 1922-26 ბელიოლ-კოლეჯში ოქსფორდში. მათემატიკის შესწავლის შემდეგ ჰიკსის ინტერესებმა გადაინაცვლა პოლიტიკის, ფილოსოფიის და განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში. მისი აკადემიური მახაიათებლები თითქმის არაფერს არ ამბობდნენ მის მომავალ მიღწევებზე, და როგორც მოგვიანებით თვითონ აღიარა „სწავლა დაამთავრა მეორე თანრიგოსნის ხარისხით და არასაკმარისი ცოდნით მის მიერ შესწავლილ რომელიმე საგანში“.

საბედნიეროდ, ეკონომისტებზე მოთხოვნა სჭარბობდა მიწოდებას და 1926 ადვილად მიიღო დროებითი სალექციო კურსი ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. თავიდან სპეციალიზდებოდა შრომის ეკონომიკაში, მაგრამ მალე გადაერთო ეკონომიკურ თეორიაში, რომელშიც მისი მათემატიკური ნიჭი ფრიად ეფექტიანი ინსტრუმენტი აღმოჩნდა. ჰაიეკისა და ლაიონელ რობინსის შრომებმა ჰიკსს გააცნეს მაკროეკონომიკის პრობლემები.

ჰიკსის პირველმა წიგნმა „ხელფასის თეორია“ (1932), ეკონომიკურ ანალიზში, შეიტანა ორი ფუნდამენტური სიახლე. ჯერ ერთი, განსაზღვრა და ეკონომიკურ ანალიზში შემოიტანა „სუბსტიტუციის ელასტიკურობა“ - მაჩვენებელი, რომელთაც იზომება წარმოების ერთი ფაქტორის მეორეთი შეცვლის სიიოლე. თუ ელასტიკურობა უდრის ნულს, არანაირი შეცვლა არ შეიძლება, თ უ იგი გამოიხატებოდა უსასრულობით, ორივე ფაქტორი სავსებით ურთიერთმემცვლელი იყო. მეორე, მან გვიჩვენა, რო მელასტიკურობის ეს ფაქტორი პირდაპირ კავშირშია შემოსავლის განაწილებასა და ეკონომიკურ ზრდასთან.

1935 ჰიკსი ჩარიცხეს კემბრიჯის უნივერსიტეტის ჰონვილდ-ენდ-კიზკოლეჯის შტატში. იმავე წელს ქორწინდება ურსულა ვებზე, რომელიც ასევე ეკონომისტი იყო.

1935-38 ჰიკსმა დაწერა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი „ღირებულება და კაპიტალი“, რომელიც გამოაქვეყნა 1939. აღნიშნული ნაშრომი ეკონომიკური ციკლის თეორიასა და ზოგადი წონაწილობის თეორიას შორის არსებულ ძირითადი კონფლიქტის გადაჭრას დაეხმარა. ამ წიგნს ხშირად მიიჩნევენ პ. სამუელსონის „ეკონომიკური ანალიზის საფუძვლებს“ უფრო ადრინდელ ბრიტანულს ვერსიად. წიგნის პირველ თავებში მსჯელობაა იმაზე, რასაც ახლა ეწოდება მომხმარებლებისა და მწარმოებლების ქცევისა და მისი შედეგების ორთოდოქსული თეორია.

ჰიკსი ამტკიცებდა, რომ ცვლილებებს საქონლის ფასში აქვთ „სუბსტიტუციური“ ეფექტი, რაც ყოველთვის ნეგატიურია, და „შემოსავლის“ ეფექტი, რაც შეიძლება იყო ნეგატიურიც და პოზიტიურიც. წიგნმა ასევე საფუძვლი ჩაუყარა „კომპენსაციური პრინციპის“ შემდგომ კვლევებს დანახარჯებისა და შედეგების თანაფარდობის ანალიზში.

მართალია ჰიკსის შეხედულებები კომპენსაციურ პრინციპებზე გააკრიტიკეს პ. სამუელსონმა და სხვა ეკონომისტებმა იმის გამო, რომ იგი ყურადღებას აქ იქცევდა განაწილების პრობლემებს, მაგრამ ამ პრინციპის, როგორც „დანახარჯები - შედეგები“ შეფარდების ანალიზის ინტიტუტის სარგებლობა, საყოვეთაოდ იყო აღიარებული.

მეორე წვლილი, რაც ჰიკსის წიგნმა „ღირებულება და კაპიტალი“ შეიტანა ეკონომიკურ მეცნიერებაში, იყო ეკონომიკური მდგრადობის პრობლემების ანალიზი. ზოგადი წონასწორობის თეორიის ჩარჩოებში ჰიკსი ცდილობდა გაერკვია პირობები, როცა დაუბალანსებელ ეკონომიკურ სისტემას შეუძლია დაუბრუნდეს ბალანსირებულს. მის მიერ ეკონომიკის ბალანსირებული მდგომარეობის პირობების დამუშავებამ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოწყვეტილი იყო ეკონომიკურ რეალობას, უდავოდ ფასეული იყო და დინამიკურ სტაბილურობისათვის მათი მნიშვნელობა შემდგომ დაამტკიცა ჟენარ დებრესა და კენეტ ენოუს გამოკვლევებმა. ჰიკსის დინამიკური კონცეფციის ერთ-ერთი ძირითადი ცნება - „დროებითი წონასწორობა“ - ახლა ფართოდ გამოიყენება თეორიულ მაკროეკონომიკაში. საერთოდ ჰიკსის გავლენა მეტწილად დაკავშირებულია ანალიზის მისეულ მეთოდებთან, ვიდრე მის შედეგებთან.

30-იან წლების ბოლოს სათავე დაედო კეინზიანურ რევოლუციას და ჰიკსმა ორი რეცენზია დაწერა კეინზის წიგნზე „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“. ერთი რეცენზია ახლა თითქმის დავიწყებულია, მეორემ კი - „ბატონი კეინზი და კლასიკოსები“ (1937), მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. მასში ჰიკსმა წარმოადგინა თავისი ცნობილი დიაგრამა „დანაზოგები კაპიტალდაბანდებებისათვის - ფულის ბატარი (CK-DP)“, რომელიც შემდგომ გამოხატავს ეროვნული შემოსავლისა და სარგებლის განაკვეთის ყველა კომბინაციას, რომლებიც შეესაბამება კაპიტალდაბანდებათა დანაზოგების წონასწორობის სიტუაციას. ორი მრუდის გადაკვეთა მიუთითებს წერტილს, რომელშიც სარგებლის განაკვეთი და ეროვნული შემოსავალი წონასწორობის მდგომარეობაში არიან.

ჰიკსის თეორიამ ფულისა და DP-ის მრუდიდან გადახრის შესახებ გაუსწრო ფულზე მოთხოვნის თანამედროვე თეორიებს, რომლებიც განისაზღვრებოდა ფასიანი ქაღალდების პორტფელით და გარიგებების, რომლებიც მოგვიანებით დაამუშავა ჯეიმს ტობინმა. ჰიკსმა ასევე გვიჩვენა, რომ სამთავრობო ხარჯების დამოუკიდებელი გადიდება CK-ს მრუდს გადაადგილებს მარჯვნივ, რაც ნიშნავს ეროვნული შემოსავლის გადიდებას. გაიზრდება აგრეთვე სარგებლის განაკვეთიც გრდა იმ შემთხვევისა, როცა DP-ის მრუდი აღმოჩნდება ბრტყელი (ეს შემთხვევები ცნობილია როგორც კეინზური „ლიკვიდურობის ხაფანგი“). მიაჩნდა რა, რომ „ლიკვიდურობის ხაფანგი“ ხასიათდებოდა 30-იანი წლების დიიდ დეპრესიის ფულის ბაზრების მდგომარეობა.

1939-1946 ჰიკსი იყო ეკონომიკის პროფესორი მანჩესტერის უნივერსიტეტში, 1952 გახდა პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი ოქსფორდში, სადაც მუშაობდა 1965 წლამდე. 50-60 იან წლებში იგი ნაკლებად მონაწილეობდა დისკუსიებში, რომლებიც იმართებოდა მისი წვლილის შესახებ ზოგადი წონასწორობისა და კეთილდღეობის თეორიაში. მან მედლესთან ერთად დაიწყო მუშაობა გამოყენებით ეკონომიკაში. აგრძელებდნენ რა II მსოფლიო ომის დროს დაწყებულ მუშაობას, ისინი ასრულებდნენ ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველებების ფუნქციას საგადასახადო პოლიტიკაში. ისინი ასევე ეხმარებოდნენ ერთა(ერების) ბრიტანული თანამეგობრობის ზოგერთ ყოფილ წევრს, მაგ., ინდოეთსა და იამაიკას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც წარმოიშვა დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით. ჰიკსი ინტენსიურად უწყობდა ხელს ეკონომიკური თეორიის განვითარებას, თუმცა ბევრი რამ, რაც გააკეთა თავისი „ღირებულება და კაპიტალის“ შემდეგ, ჯერაც არ არის საკმარისად გააზრებული. მის წიგნში „კაპიტალი და ზრდა (1965) გამოყენებული იყო შედარებითი დინამიკის ცნება განვითარების სტაბილური და ოპტიმალრი გზების შესასწავლად. ამ წიგნში ანდ შემოიღო „ფიქსირებული ფასისა“ და „მოქნილი ფასის“ ბაზრების კონცეფცია, რომელთა შორის განსხვავება პროდუქტიული აღმოჩნდა თანამედროვე მაკროეკონომიკაში. „ეკონომიკური ისტორიის თეორიაში“ (1969) ჰიკსმა გამოიყენა თავისი თეორია ეკონომიკური ისტორიის ანალიზისათვის და ამით ახალი შეხედულება წამოაყალიბა ეკონომიკურ სინამდვილეზე. მაგ., მან ყურადღება მიაწვია მოვლენათა თანამიმდევრობას, რომელთა წყალობით ახალი ტექნოლოგიების გავრცელება იწვევს ეკონომიკურ

ზრდას. მან ეს იდეა განავითარა წიგნში „კაპიტალი და დრო“ (1973). წიგნში „მიზეზობრიობა ეკონომიკაში“ (1979), მან გამოიკვლია ეკონომიკური პროცესების თანამიმდევრობა . განსვავება ეკონომიკურ მარაგსა და ნაკადებს შორის ეკონომიკურ ცვლილებებს შორის მიზეზობრივი გამოკიდებულების გამოვლენის პრობლემა.

ნობელის პრემია 1972 გაიყო კენეტ ეროუსთან ერთად „ნოვატორული წვლილისათვის წონასწორობის თეორიასა და კეთილდღეობის ტეორიაში“. ლაურეატების პრეზენტაციაზე შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრმა რაგნარ ბენტცელმა განაცხადა, რომ ჰიკსის წიგნმა „ღირებულება და კაპიტალი“ „ახალი სიცოცხლე შთაბერა ზოგადი წონასწორობის თეორიას“, ხოლო წონასწორობის მოდელმა „უფრო კონკრეტული, ხასიათი მისცა განტოლებებს, რომლებიც ჩართულია სისტემაში და შესაძლებელი გახდა ეფექტების შესწავლა, რომლებიც სისტემის შიგნით ჩნდება გარედან მიღებული იმპულსის ზემოქმედებით“.

ნობელის პრემიის გარდა მას მიღებული ჰქონდა ბევრი საპატიო წოდება და ჯილდო. ჰიკსი იყო ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის, შვედეთი მეცნიერებათა სამეფო აკადემიის, იტალიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრი. იგი იყო რამდენიმე ბრიტანული უნივერსიტეტის(გლაზგოს, მანჩესტერის, ლესტერის, უორიკისა და სხვ.), აგრეთვე ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. იყო სამეფო აკადემიური საზოგადოების პრეზიდენტი. 1964 უბოძეს აზნაურის წოდება.